



ახალი წელი



უნივერსიტეტი

21
საქართველო,
ოთხშაბათი
2016 წ., №10

წომარები

■ **დარაჯან თვალთვალი:**
იმაღლი მაქვს, რომ
რეპტორის არჩევნები
მშვიდ ვითარებაში
ჩაივლის



გვ. 16

■ **გიორგი შარვაშიძე:**
საჭიროა
რეალური
ავტონომია და არა
დეკლარირებული!

გვ. 3,5

■ **ცირა ბარამიძე:**
უნივერსიტეტი არ
არის ექსპერიმენტების
ადგილი!

გვ. 3,4

■ **რატომ არ ქვეყნდება**
რეპტორების
კანდიდატთან გიორგი
ბარამიძესთან
ჩანერილი ინტერვიუ?

გვ. 3,6

რეპტორების
კანდიდატების
გიორგაფიული
მონაცემები

გვ. 9

■ **აკადემიური საბჭოს**
რა წინასწარ
განწყობაზე
საუბრობს
„აუდიტორია 115“?



გვ. 11

■ **რამაზ საყვარელიძის**
და დავით მაღრაძის
შეფასებები —
საზოგადოებრივი აზრი

გვ. 15-16

23 საქართველოს ტსუ რეპტორს აირჩიეს!



გიორგი ბარამიძე



გიორგი შარვაშიძე



ცირა ბარამიძე

23 საქართველოს ტსუ-ის რეპტორის არჩევნები და-
ნიშნული. არჩევნები მსოფლიო 3 კანდიდატი
იღებს მონაწილეობას: ტსუ-ის ყოფილი პროფე-
სორი, ფილოსოფოსი გიორგი ბარამიძე, განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის ყოფილი მოადგილე და ტსუ-ის
ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებათა ფაკულ-
ტეტის მოწვეული პედაგოგი (უმაღლესი განათლების სპე-
ციალისტი) გიორგი შარვაშიძე და ტსუ-ის კუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, კავკასიოლო-
გი ცირა ბარამიძე. ამ სამი კანდიდატიდან ერთს სწორედ
23 საქართველოს უნივერსიტეტს ტსუ-ის აკადემიური საბჭო.

ვის რა სამომავლო პროგრამით მოდის? ვის რა ხედვა-
ები აქვს უნივერსიტეტისთვის იმ საჭიროოტომ თემაზე,
რასაც სახე აქვს უნივერსიტეტისთვის? ვისთვის რეალური საუნივერსიტეტო პრო-
გრამებია აქცენტირებული და ვინ როგორ აპირებს უნი-
ვერსიტეტისთვის მთავარი ღირებულების – ავტონომიის
პრინციპის დაცვას?

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ ამ წომარს უკლ-
ვის რეპტორების კანდიდატთა წინასწარჩვენო კამ-
პანიას (საუნივერსიტეტო საზოგადოების მხრიდან ამ
მხრივ ინფორმირების დიდი ინტერესია) და ვაქვეყნებთ
კანდიდატებთან ინტერვიუს, ამთ გიორგაფიულ მონა-
ცემებსა და შეხვედრებს ფაკულტეტების პროფესორებ-
თან თუ სტუდენტებთან.



მ-3-6, 11-14 გვერდებზე

სტუდენტური კომიტიები რეპტორების კანდიდატებზე



მარიამ ნანიშვილი



ბატვა კვირიკაშვილი

რექტორების კანდიდატების მიერ წარმოდგენილი უნივერ-
სიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა ტსუ-ის
ვებ-გვერდზე განთავსებული და ყველასთვის ხელმის-
აწვდომია, თუმცა ინფორმაციის სიმწიფეზე მაინც საუბრობენ.
სტუდენტური თვითმმართველობის წევრები და „აუდიტორია
115“-ის წარმომადგენლები ნეიტრალურ სტუდენტებთან შე-
დარებით ინფორმირებულები არიან. ერთადერთი რექტორების
კანდიდატი, ვის მიმართაც სტუდენტური ჯგუფების წარმომადგენ-
ლებს უარყოფითი
დამოკიდებულება
აქვთ, გიორგი შარ-

მ-2 გვერდზე

რეპტორების რეპტი — არა პროფესორა სტუდენტებს რეპტორების კანდიდატებთან დაკავშირებით?

**გამოკითხვა სტუდენტთა
ჯგუფების მიერ განმარტებულ
პროგრამებზე აქცენტით**

დასაშუალო კითხვა:

— რექტორების სამი კანდიდატი გვყავს: ტსუ-ის
ყოფილი პროფესორი (2006 წლამდე) გიორგი ბარამიძე,
განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე და ტსუ-ის
მონვეული პედაგოგი გიორგი შარვაშიძე და ტსუ-ის
პროფესორი ცირა ბარამიძე. თქვენი აზრით, რატომ არ
წარმოადგინა უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორე-
ბიდან უფრო მეტმა თავისი კანდიდატურა რექტორის
პოსტზე ასარჩევად და რატომ არის კანდიდატთა ასეთი
სიმწიფე?

— როდესაც მინისტრის მოადგილე ტოვებს თანამ-
დებობას და რექტორების კანდიდატად რეგისტრირდ-
ება, ამაში ხედავთ თუ არა უნივერსიტეტის ავტონომიის
შეზღუდვის საშიშროებას (როგორც ამაზე სტუდენტთა
გარკვეული ჯგუფი მიუთითებს თავის საპროტესტო
გამოსვლებში)?

მ-2 გვერდზე



სტუდენტური პოზიციები რეპტორების კანდიდატურაზე

პირველი გვერდიდან

ვაშიძე. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ყოფილ მოადგილეს ახალგაზრდების ნაწილი უნდობლობას უცხადებს. „აუდიტორია 115“-ს პრეტენზიები აქვს აკადემიური საბჭოს მისამართითაც. მათი ინფორმაციით საბჭოს წევრებთან გარეგნული მიმდინარეობს.

სტუდენტური თვითმმართველობა მიიჩნევს, რომ გიორგი შარვაშიძის რექტორად არჩევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომიის შეზღუდვა იქნება. ამავე დროს, მათ პრეტენზიები, ზოგადად, თსუ-ის მიმართაც აქვთ. აცხადებენ, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოებამ ვერ შეძლო გაერთიანება და რექტორის პოსტზე ისეთი კანდიდატის წარდგენა, რომელიც უნივერსიტეტის ინტერესებს ნამდვილად დაიცავს.

„სამწუხაროდ უნივერსიტეტმა ჩუმი და ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, ვერ წარმოადგინა კანდიდატი, რომელიც კარგი მეცნიერი, კარგი მენეჯერი და კარგი უნივერსიტეტული იქნებოდა. ჩვენ აკადემიურ საბჭოს ორჯერ შევხვდით, ვკითხეთ მოსაზრებები, თუმცა ისინი კონკრეტულ პოზიციას ვერ აფიქსირებენ. მართალია, ეს აკადემიურ საბჭოს ყველა წევრს არ ეხება.“

ბატონ გიორგი შარვაშიძისთან პიროვნული პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ ცუდი ფაქტია, როდესაც ადამიანს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის პოსტიდან პირდაპირ უნივერსიტეტის რექტორად სურს გადმოსვლა. ეს არის უნივერსიტეტის ავტონომიაში ჩარევა. დანარჩენი ორი კანდიდატი — გიორგი ბარამიძისა და ცირა ბარამიძის შესახებ საფუძვლიანი ინფორმაცია ჯერ არ გვაქვს. შევისწავლით მათ კონცეფციებს, შევხვდებით და ჩვენს პოზიციას შემდეგ დავაფიქსირებთ. არ ვაპირებთ რომელიმე კანდიდატის მხარდაჭერას, რადგან არ გვინდა, ეს საუნივერსიტეტო საზოგადოებამ აღიქვას, როგორც ზენოლის თუნდაც პოზიტიური ფორმა. მთავარია, რომ თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღოს. მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საბჭოს წევრებს. — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ბახვა კვირიკაშვილმა.

თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ რექტორის კანდიდატებთან დაკავშირებით სოციალური ქსელის საშუალებით გამოკითხვა ორჯერ ჩაატარა. ერთ შემაჯავებელში თსუ-ის სტუდენტებს მათთვის სასურველი კანდიდატი უნდა დაეფიქსირებინათ (შედეგები ჯერჯერობით ცნობილი არ არის). რაც შეეხება მეორეს — უშუალოდ გიორგი შარვაშიძის კანდიდატურას უკავშირდებოდა. გამოკითხვაში, როგორც თვითმმართველობის წევრები ამბობენ, 1000-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა და 80%-ზე მეტმა რესპონდენტმა დააფიქსირა მოსაზრება, რომ გიორგი შარვაშიძე უნივერსიტეტის ავტონომიას შეზღუდავს.

„ჩვენ ეს შედეგები გავაცანით აკადემიურ საბჭოს და შეხვედრა პროტესტის ნიშნად დავტოვეთ. ჩვენი პროტესტი მათმა დამოკიდებულებამ გამოიწვია, თითქოს

სტუდენტების წინაშე პასუხისმგებლები არ არიან. არადა, მათ პროფესორ-მასწავლებლების გარდა სტუდენტების ლეგიტიმაციაც აქვთ. აქვე აღვნიშნავ, რომ გავრცელებული ხმები, თითქოს სტუდენტურ თვითმმართველობას სურდა ერთი კანდიდატის გაყვანა, უბრალოდ ჭორებია და სასაცილოა. იმედია, აკადემიური საბჭო რაციონალურ გადაწყვეტილებას მიიღებს“, — აღნიშნა სტუდენტური თვითმმართველობის წევრმა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა რეზო ჯაჭვლიანმა.

ამ დროისთვის „აუდიტორია 115“ გიორგი ბარამიძესა და ცირა ბარამიძესთან დაკავშირებით გარკვეულ პოზიციას არ აფიქსირებს. სტუდენტური გაერთიანება აღნიშნული კანდიდატების შესახებ განაცხადებებს მათთან შეხვედრის შემდეგ გაავრცელებს. რაც შეეხება გიორგი შარვაშიძეს, „აუდიტორია 115“-ს მასთან ურთიერთობის გამოცდილება უკვე აქვს და რექტორობის კანდიდატის უმოქმედობაში ადანაშაულებს, აქედან გამომდინარე უნდობლობას უცხადებს.

„ცირა ბარამიძე აქტიურად იყო ჩართული მარტის მოვლენებში და ცდილობდა მამინ არსებული დაპირისპირების მოგვარებას. სიმართლე გითხრათ, ამის მეტი ჩვენ ამ კანდიდატის შესახებ არაფერი ვიცით. გია ბარამიძისთან დაკავშირებით ჩვენი გამოხრებისგან, რომლებიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სწავლობენ, გაგვივინა, რომ კარგი პროფესიონალია, მეტი არაფერი. ამ ორ კანდიდატზე უკეთესი წარმოდგენა პროგრამების გაცნობის შემდეგ გვექნება. გიორგი შარვაშიძე გაზაფხულზე მიმდინარე მოვლენებისას ჩვენთან ანარმობდა მოლაპარაკებებს და ძალიან ბევრი რამ მოგვატყუა. მასში, როდესაც პრემიერთან შეხვედრა მიმდინარეობდა, მოგვცა დაპირება, რომ საფაკულტეტო საბჭოებში სტუდენტთა არჩევის ნესი შეიცვალა, რაც ამ დრომდე არ მოხდა. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს კითხვები. თუ მას სურდა ცვლილებების განხორციელება, ამას მინისტრის მოადგილის პოსტიდან უკეთ შეძლებდა, რადგან რექტორის უფლება არ აქვს, რომ პარლამენტს საკანონმდებლო ცვლილებები შესთავაზოს. თუ ნამდვილად სურდა, რომ რექტორის არჩევის ნესი შეეცვალა, ან სტუდენტური თვითმმართველობების კუთხით რეფორმა განხორციელებინა, რატომ არ გააკეთა აქამდე შესაბამისად, მიგვანინა, რომ გიორგი შარვაშიძის შემთხვევა სანდრო კვიციანიშვილის რექტორად გადმოყვანის ანალოგიური მოდელია, რისი საშუალებითაც „ქართული ოცნება“ უნივერსიტეტში თავისი კადრის მოყვანას ცდილობს“, — აღნიშნა „აუდიტორია 115“-ის წევრმა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა გოჩა ლობჯანიძემ.

„აუდიტორია 115“ მოვლენების განვითარებას ელოდება და ჯერჯერობით კონკრეტული სამოქმედო გეგმა არ აქვს. თუმცა, გაერთიანების წევრებს პრეტენზიები აქვთ აკადემიური საბჭოს მისამართით. მათი ინფორმაციით, გავრცელდა ხმები, რომ საბჭოს წევრებთან გარეგნული მიმდინარეობს და ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილია.

„კარგია, რომ ორი დამოუკიდებელი კანდიდატი, პროფესორიც იყოს კენჭს. იმედი გვქონდა, რომ მეტი მსურველი იქნებოდა. ახლა რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილია. ვრცელდება ხმები, რომ აკადემიური საბჭოს წევრებს პირადად ესაუბრებიან და მოუწოდებენ, რომ თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე გახდეს. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნისას ბევრად მეტი კანდიდატი იყო. ეს ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ თითქოს ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილია და ჩვენ ამას გამოხმაურების გარეშე არ დავტოვებთ“, — აცხადებს „აუდიტორია 115“-ის წევრი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი მარიამ ნანეიშვილი.

ერთი შეხვედრით, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა და „აუდიტორია 115“ ერთ პოზიციას დგას — გიორგი შარვაშიძის კანდიდატურასთან დაკავშირებით მათი მოსაზრებები ემთხვევა. თუმცა, „აუდიტორია 115“-ის წევრები ამბობენ, რომ თვითმმართველობა საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოიღობს.

„სტუდენტური თვითმმართველობა გიორგი შარვაშიძის შემთხვევაზე უნივერსიტეტის ავტონომიის შეზღუდვად აფასებს. თუმცა, გავისხენით მარტის მოვლენები, როდესაც მათ აქციაზე „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წევრები იდგნენ. ჩნდება კითხვა — ეს არ არის ავტონომიაში ჩარევა? გარდა ამისა, ისინი არაფერს ამბობენ შიდა კლანების შესახებ. მათ მოსწონდათ დარეჯან თვალთვადის კანდიდატურა. ჩვენ დარეჯანის მიმართაც გვქონდა კითხვები, გვაქვს გია შარვაშიძისთანაც“, — გვითხრა „აუდიტორია 115“-ის წევრმა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა გოჩა ლობჯანიძემ.

რექტორობის კანდიდატებზე და, ზოგადად, არჩევნებთან დაკავშირებით ინფორმაციას თითქმის არ ფლობენ ის სტუდენტები, რომლებიც თსუ-ში არც ერთი სტუდენტური გაერთიანების წევრები არ არიან. ისინი ზოგადი შეფასებებით შემოიფარგლებიან და აცხადებენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელმწიფო სტრუქტურების ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირი არ იყოს და არჩევნებმა მშვიდ გარემოში ჩაიაროს.

„მხოლოდ ის ვიცი, რომ წინა წლებთან შედარებით რექტორობის კანდიდატთა რიცხვი ძალიან მცირეა. როგორც გავიგე, სულ სამი კანდიდატი იყოს კენჭს, აქედან კი უნივერსიტეტთან უშუალო შეხება მხოლოდ ორს აქვს.“

სამწუხაროდ, დასვენების პერიოდში საჭირო ინფორმაციაზე ხელი არ მიმიწვდებოდა უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მხოლოდ ახლა ვეცნობი სიახლეებს. რაც შეეხება რექტორის არჩევნებს, იმის აღნიშვნით შემოვიფარგლები, რომ ამ მოვლენამ გამჭვირვალედ და ყველანაირი პროცედურის დაცვით უნდა ჩაიაროს.

სტუდენტებს უფლება გვაქვს ვიცოდეთ ნებისმიერი ინფორმაცია პოტენციური რექტორების შესახებ. პირადად მე, საკუთარი მწირი გამოცდილებიდან გამომდინარე, არც ერთ კანდიდატზე ინ-

ფორმაცია არ მაქვს. სასურველია, სხვა, ჩემ მდგომარეობაში მყოფ სტუდენტებს, სწრაფად და მარტივად მიეღოს ცნობები რექტორობის კანდიდატების თაობაზე“, — გვითხრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა გიორგი ვახტანგაშვილმა.

„როგორც ვიცი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის გამორჩეული კანდიდატები არიან: თსუ-ის ყოფილი პროფესორი და ფილოსოფოსი გიორგი ბარამიძე; თსუ-ის პროფესორი ცირა ბარამიძე და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ყოფილი მოადგილე გიორგი შარვაშიძე. ვისურვებდი, რომ რექტორობის კანდიდატების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია მქონოდა. მართალია, ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია მათი მოღვაწეობის შესახებ მშრალი მონაცემების მოპოვება, თუმცა, ჩემთვის უფრო საინტერესო იქნებოდა გამეგო პირდაპირი მოტივაცია (კონკრეტულად და დეტალურად ჩამოყალიბებული, თუ რატომ უნდათ სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობა) და მათი წვლილი (თუ რა აქვთ აქამდე გაკეთებული უნივერსიტეტისთვის და სტუდენტებისთვის). აქვე დავძენდი, რომ ჩემთვის, როგორც რიგითი, თუმცა აქტიური და იდეების მქონე სტუდენტისთვის, ყველაზე მეტად მისაღება რექტორი, რომელსაც არ ექნება არანაირი ზენოლა სამთავრობო წრეების მხრიდან; შეეცდება მონაწილეობის მართვის ორგანიზება; ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ შეიქმნას უფრო თავისუფალი გარემო ახალი იდეების განსახორციელებლად; ჩვენ გვჭირდება მეტი კვლევა, მეტი სამეცნიერო აქტივობა, მეტი დისკუსია და შეხვედრები, განხილვები, ახალ-ახალი პროექტები გამოცდილების ასამაღლებლად და პროფესიული განვითარებისთვის — ეს კი აპირირს უნდა წარმოადგენდეს კავკასიაში საუკეთესო უნივერსიტეტის რექტორისთვის. იმედი მაქვს, აკადემიური საბჭო 23 სექტემბერს გააზრებულ გადაწყვეტილებას მიიღებს და იმ კანდიდატზე შეაჩერებს არჩევანს, რომელსაც ზემოხსენებული საკითხების ღირსეული გამკლავება შეეძლება“, — აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა მარიამ ხუროშვილმა.

„უნივერსიტეტთან მხოლოდ სწავლის კუთხით ვარ დაკავშირებული. არ მაქვს ინფორმაცია რექტორის არჩევნებისა და დარეგისტრირებული კანდიდატების შესახებ. თუმცა, ვფიქრობ, რომ ისეთი რექტორი უნდა აირჩიონ, რომელიც სტუდენტების აზრს გაითვალისწინებს, განავითარებს მენეჯმენტს, სწავლების, კვლევის ხარისხს და არ დაარღვევს უნივერსიტეტის ავტონომიას“, — ასეთი პოზიცია აქვს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს საბა ბერიამაშვილს.

თსუ-ის რექტორობის კანდიდატებთან საჯარო შეხვედრების მოწყობას როგორც სტუდენტური თვითმმართველობა, ასევე „აუდიტორია 115“ უკვე გეგმავს.

ნატო მოვლავა

რაში ეთანხმება და რაში — არა პროფესორი სტუდენტებს რექტორობის კანდიდატებთან დაკავშირებით?

პირველი გვერდიდან

ზაალ კოკაია, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი, ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი (შვედეთი):

— ჩემი აზრით, უნივერსიტეტის ავტონომიისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ სად მუშაობდა ადამიანი რექტორად არჩევამდე. მთავარია, კანდიდატს ჰქონდეს სწორი ხედვა, სამოქმედო გეგმა, ცოდნა, გამოცდილება და უნარები, რაც ამ თანამდებობისთვის არის საჭირო. მე გია შარვაშიძეს კარგად ვიცნობ და ამიტომ ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ იგი რექტორად იმით მოდის უნივერსიტეტში, რომ მიზანმიმართულად

შეზღუდოს უნივერსიტეტის ავტონომია. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არის რექტორობის ასე ცოტა კანდიდატი, ამაზე პასუხი არ მაქვს. ალბათ მხოლოდ ეს სამი კანდიდატი თვლის, რომ მოცემულ ვითარებაში შეუძლია გაუძღვეს თსუ-ს.

ლევან გორღაზიანი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— არის ოფიციალური ინფორმაცია, რომ რექტორობის 3-მა მსურველმა შემოიტანა განცხადება, სამივეს ვიცნობ, სამივეს კარგად ვუყურებ, ისიც სრულიად ბუნებრივია, რომ არსებულ ვითარებაში ბევრს არ მოუწდება კანდიდატად დარეგისტრირება

(გფულისხმობ კრიზისულ ფონს და იმ პასუხისმგებლობას, რაც ამ კრიზისიდან გამოყვანას სჭირდება). რაც შეეხება ავტონომიურობის დარღვევის სამიშროების საკითხს, იმის გამო, რომ შარვაშიძე იყოს კენჭს, ამის მიზეზი ავტონომიურობის დარღვევის თემასთან აბსოლუტურად არაადაეკვატორია. ავტონომია, რატომღაც, ცუდად გვესმის (გვეგონია, რომ ეს არის ფეოდალური შეუვალობა), ანუ მთავრობამ ფული მოგვცეს და არ ჩაიბრის. სინამდვილეში ავტონომია არის ის, რომ ლექციაზე ვილაპარაკო, რაც მინდა; სტუდენტმა ისწავლოს, რაც უნდა; ხოლო რექტორი დანიშნული იქნება თუ არჩეული, ამას ავტონომიასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ბევრ

ქვეყანაში ხელმძღვანელი პირი დანიშნულია, მაგრამ წესები არის შეუვალი და ამ წესებს ადგენენ პროფესორები და სტუდენტები. ჩვენთან იყო ფეოდალური ვითარება, როდესაც პირველი პირი წვეტდა ყველაფერს. ამიტომ ჩემთვის დღეს იმის თქმა, რომ ავტონომიურობა იზღუდება, სრულიად მიუღებელია. უნივერსიტეტს თუ არ უნდა, არ აირჩევს არც გიორგი შარვაშიძეს, არც ცირა ბარამიძეს და არც გიორგი ბარამიძეს (სამივე ღირსეული კანდიდატია), ან აირჩევს იმას, რომელსაც ჩათვლის უფრო მისაღებად.

მე-7 გვერდი

საჭიროა რეალური ავტონომია და არა დეკლარირებული!

ინტერვიუ რეპტორების კანდიდატთან
გიორგი შარვაშიძესთან



— რა სამოქმედო გეგმით მოდიხართ? რატომ უნდა დაგიჭირონ მხარი აკადემიური საბჭოს წევრებმა? რა არის თქვენი პრიორიტეტები და რას გააკეთებთ უნივერსიტეტში რექტორად არჩევის შემთხვევაში?

— ძირითადი პრიორიტეტი არის ის, რაც მიწერია კონცეფციაში: ერთი კვლევითი მიმართულების გაფართოება, ანუ კვლევა და სწავლება ერთ კომპონენტად უნდა შეიკრას, მეორეა აკადემიური პერსონალის პრესტიჟის აღდგენა უნივერსიტეტში და მესამეა სტუდენტური ცხოვრების გააქტიურება, სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება და სტუდენტების ჩართულობა მმართველობით პროცესებში — ეს არის იმ მიმართულებების ქვაკუთხედი, რაზეც ვიმუშავებ, თუკი აკადემიური საბჭო მხარს დაუჭერს ჩემ კანდიდატურას. ცალკე საკითხია თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან. უნდა გაძლიერდეს ის კომპონენტი, რომელიც დაკავშირებულია სამეცნიერო ხარისხების მინიჭებასთან. ვაპირებ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში რაც შეიძლება ბევრი პარტნიორი შემოვიდეს, რათა სხვადასხვა მიმართულებით „გავცეთ“ ის ხარისხები, რომლებიც აღიარებული იქნება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპასა და შეერთებულ შტატებში. ჩემი კონცეფციის შედეგისას ვხელმძღვანელობდი იმ პრინციპით, რომ დაპირებები იყოს რეალისტური. ჩემ მიერ შემოთავაზებული სამოქმედო გეგმა არის დოკუმენტი, სადაც შემოთავაზებული პუნქტები შესრულებადია.

ცალკე თემაა, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს მთავარი წარმმართველი ძალა ნებისმიერი რეფორმისა, რომელიც მიმდინარეობს უმაღლესი განათლების სისტემაში. ეს მისია უნდა აღდგეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩვენი უნივერსიტეტი უნდა იყოს ფლაგმანი ყველა პოზიტიური ცვლილებებისა, რაც ხდება უმაღლესი განათლების სფეროში. ჩვენ ვართ რეგიონში ყველაზე წარმატებული უმაღლესი სკოლა, თუმცა მეტის გაკეთებაც შეიძლება: საუბარია უფრო ფართო მასშტაბით იმ უნივერსიტეტის პოზიციონირებაზე (როგორც საგანმანათლებლო შაბის), რომელიც რეალური ფლაგმანის როლს შეითავსებს პოზიტიური ცვლილებების ველზე და რომელიც სხვადასხვა შესავაზებს ამ ცვლილებებს. ამის პოტენციალი უნივერსიტეტს ნამდვილად აქვს, მთავარია მოიძებნოს „ოქროს ის კვეთა“, როცა სწორი მენეჯმენტის პირობებში შევძლებთ ჩვენი სერვისების გარე აუდიტორიისთვის მაქსიმალურად შეთავაზებას.

ერთი მიმართულებაა ინფრასტრუქტურა, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია და სერიოზულად ვაპირებ, რომ მაქსიმალურად მოვიზიდოთ თანხები, რათა გაიმართოს კვლევითი და სასწავლო ინფრასტრუქტურა უნივერსიტეტში. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, მაგრამ შესრულებადია.

მინდა, ასევე, კვლევის აღდგენის კვალდაკვალ, შეიქმნას იმ სამეცნიერო სკოლების მხარდაჭერისთვის პირობები, რომლებიც ტრადიციულად ძლიერი იყო ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში. არც ის დავივიწყოთ, რომ 2010 წლიდან ბევრი კვლევითი დაწესებულება შეუერთდა უნივერსიტეტს, თუმცა ეს შეერთება იყო მექანიკური და დღემდე პრობლემების გარდა არაფერი გამოუწვევია. პრობლემა იმან შექმნა, რომ, ერთი მხრივ, სამეცნიერო ინსტიტუტები რეალურად ვერ გახდნენ საუნივერსიტეტო სივრცის ნაწილი და, მეორე მხრივ, მეცნიერების-

მ-5 გვიარღვა

უნივერსიტეტი არ არის ექსპერიმენტების აღგილი!

ინტერვიუ რეპტორების კანდიდატთან
ცირა ბარამიძესთან



— ქალბატონო ცირა, პირველ რიგში, გავაცანით თქვენი სამოქმედო გეგმის მთავარი ასპექტები — რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრამა და რატომ უნდა დაგიჭირონ მხარი აკადემიური საბჭოს წევრებმა?

— ჩემი სამოქმედო გეგმის მთავარი ასპექტია უნივერსიტეტის მართვის ორგანიზაციის, პროფესორთა და სტუდენტობასთან თანამშრომლობით განვხორციელო საუნივერსიტეტო იდეა — უნივერსიტეტის ავტონომია. უნივერსიტეტში მოღვაწეობის ოთხი ათეული წელი არის ჩემი მოტივაცია და მზაობა იმისთვის, რომ ვიზრდოლო უნივერსიტეტის ავტონომიურობისათვის სამართლებრივი გზით.

მე ვადაგვარ დიდი ივანე ჯავახიშვილის გზას მეცნიერულ და ეროვნულ საკითხებში. ვფიქრობ, ჩემი მოღვაწეობით უკვე მოვიპოვე უფლება, ეს განვაცხადო. ვისთვისაც ძვირფასია ეს გზა და ჩვენი უნივერსიტეტი, იგი გამოიძახებდა ნდობას აკადემიურ საბჭოში და მეც მთელ ჩემს ადამიანურ რესურსს, კომპეტენციას, თავდადებას აკადემიურ საბჭოსთან ერთად მივმართავ იქითკენ, რომ ავტონომია რეალურად განხორციელდეს აკადემიურ თავისუფლებაში, ფინანსების განკარგვაში, ადმინისტრირებაში. ჩემს პროგრამაში ჩადებულა, რომ შეიქმნას სამართლიანი აკადემიური გარემო, დაცული იყოს პროფესორის ღირსება, ამაღლდეს სწავლებისა და სწავლის დონე, დაიხვეწოს სახელფასო სტრატეგია, გაუმჯობესდეს სტრუქტურული ერთეულების მუშაობა, მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებები და მოხდეს ამ ცვლილებების ინიცირება, კიდევ უფრო პრესტიჟული გახდეს ჩვენი უნივერსიტეტის განათლება, რომელიც არ ჩამოუვარდება ევროპულს (რიგ დარგებში ჩვენი უკეთესიც არის), სწორად ვმართოთ ადამიანური რესურსები, საუნივერსიტეტო ქონება, უნივერსიტეტში დაბრუნდნენ კონკურსის წესით ღირსეული პროფესორები, განვხორციელოთ სახელფასო სტრატეგია არა სიღარიბეში, არამედ სიმდიდრეში, სწორად და წარმატებულად გამოვიყენოთ ჩვენი სამეცნიერო ინსტიტუტების მაღალი სამეცნიერო რესურსები, ვისარგებლოთ იმ ფუფუნებით, რაც ამ ინსტიტუტების შემოერთებით გავაჩნია; უნდა მოხდეს მათი ჩართულობა, ინტეგრირება სასწავლო პროცესში, განხორციელდეს სასწავლო ინსტიტუტებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების ერთობლივი პროექტები. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ისეთი დამოკიდებულებისათვის, რომ შევქმნათ სახელმწიფო სტანდარტი — სახელმწიფომ დააფინანსოს უნივერსიტეტი, მაგრამ არ ჩაერიოს მისი მართვის საქმეში; ჩვენ ჩვენი შეცდომების გაანალიზებითა და გამოსწორებით მივიყვანთ უნივერსიტეტს იმ კონდიციამდე, რომ ის დაბრუნდეს ძველ ღირსებას. უნივერსიტეტი არ არის ექსპერიმენტების ადგილი — ეს უნდა ესმოდეს ხელისუფალს. ჩვენ განვხორციელებთ ფაკულტეტების დამოუკიდებლობას და მოვახდენთ ძალაუფლების დეცენტრალიზაციას. ჩვენ უნდა დავაარსოთ საუნივერსიტეტო კლინიკა, ავაშენოთ ახალი კორპუსები, ვიმუშავებთ თანხების მოსაძიებლად, დავაარსებთ უნივერსიტეტის განვითარების ფონდს, გავზრდით საზოგადოების, მეცნიერების, ბიზნესმენების ინტერესს უნივერსიტეტისადმი; დავამკვიდრებთ სტანდარტს, რომ განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ყველაზე გრძელვადიანი და სტაბილური, მომგებიანი ინვესტიციაა; გავზრდით ეკონომიკურ შემო-

მ-4 გვიარღვა

რედაქციის სკები რატომ არ ძვეყნდება რეპტორების კანდიდატთან გიორგი ბარამიძესთან ჩანერილი ინტერვიუ?

„კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ჩემთან ინტერვიუს თქვენი უკიდურესად დამახინჯებული ვარიანტის გამოქვეყნების“, — ასეთი კატეგორიული მითითება მოგვცა რექტორობის კანდიდატმა გიორგი ბარამიძემ, რომლის ინტერვიუსაც სხვა კანდიდატებთან ჩანერილი ინტერვიუების გვერდით ვეღარ ვბეჭდავთ. რექტორობის კანდიდატმა საინფორმაციო საშუალებისთვის — For.ge-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „აღმაშფოთებელია, როცა შეუწყნარებელ არაობიექტურობას იჩენს უნივერსიტეტის გაზეთი, რომელმაც არსებითად დაამახინჯა ჩემს ინტერვიუში მოტანილი ფაქტები და შეხედულებები. გაზეთის რედაქტორს, ქალბატონ ნინო კაკულიას მინდა შევასხენო, რომ უნივერსიტეტის გაზეთი თსუ-ის ორგანიზაციული რგოლია და მისი სახელით გაკეთებული ყველა განცხადება და განხორციელებული ქმედება ალიქმება, როგორც თსუ-ის ადმინისტრაციის — რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულია გაზეთი და მისი რედაქტორი — უხეში ჩარევა საარჩევნო პროცესში, რაც გონივრულ ეჭვს აჩენს მათ მიერ ჩემი, როგორც რექტორობის კანდიდატის, დისკრედიტაციის მცდელობაზე“.

ჩვენ ამ სიცრუეს, არ შეგვიძლია, პასუხი არ გავცეთ, მით უფრო, როცა რექტორობის კანდიდატი შეუწყნარებელ არაობიექტურობაში გვდებს ბრალს და როცა, რეალურად, ნესიერი ჟურნალისტიკა აგრესიად გვიბრუნდება.

ძალიან სამწუხაროა, რომ რექტორობის კანდიდატი თავის წინასაარჩევნო კამპანიას იწყებს უნივერსიტეტის პრესასთან კონფლიქტით და მასზე სიცრუის ტირაჟირებით. ცნობისთვის: ჩვენწერეთ ბატონ გიორგი ბარამიძესთან, როგორც უკვე კანდიდატთან, ინტერვიუ, სადაც იგი გვედავებოდა იმაში, რომ არ დაეზებებოდა მისი „ლექცია“ აპრილის თვეში „აუდიტორია 115“-თან შეხვედრისას და მაშინვე მისგან ნამოვიდა აგრესია იმის თაობაზე, რომ სპეციალურად დავუბლოკეთ „სტატია“, რაც აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს. მას ავუხსენი, რომ მასალების სიმრავლის გამო ვერ მოხვდა მაშინდელი „სტატია“ გაზეთში და პასუხად მოაყოლა მთელი კორიანტელი ბრალდებებისა უნივერსიტეტის იმ პროფესორების მიმართ, რაზეც მისი ადრინდელი „ლექციის“ დროს იყო საუბარი — იგი გვადანაშაულებდა „აკადემიურ კორუფციაში“ იმის გამო, რომ პლაგიატსა და ეგრეთწოდებულ ოდერობაში მისი მხრიდან „მხილებული“ პროფესორების თაობაზე ინფორმაცია (ზემოთ ხსენებული სტატია) არ დავბეჭდეთ. ბატონ გიორგი ბარამიძის ინტერვიუ გავშიფრეთ დეტალურად და რედაქტირება გავუკეთეთ — დავალაგეთ მხოლოდ წინადადებები (რათა მისი მეტყველება უკეთ წარმოგვეჩინა!) და გადავუზავეთ ელექტრონული ფოსტით — რათა, თუკი რაიმე ექნებოდა დასამატებელი ტექსტი, დაემატებინა ინტერვიუს დაბეჭდვამდე (რედაქტირებისას შესავალი ნაწილი, სადაც იგი პრესისა და პროფესორების ლანძღვით იწყებდა საუბარს, გადავადგილეთ და უცვლელად (აზრის სრული დაცვით) ტექსტის შუაში მოხვდა, რადგან

მ-6 გვიარღვა



უნივერსიტეტი არ არის ექსპერიმენტების ადგილი!

ინტარვიუ რაქტორობის კანდიდატთან ცირა ბარამიძესთან

მესამე გვერდიდან

საველებს, გამოვიყენებთ ყველა კანონიერ გზას უნივერსიტეტში თანხის მოსაზიდად და უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის; სწორად დავეგეგმავთ შიდა გრანტების პრიორიტეტებს სამეცნიერო კვლევებისათვის; შევცვლით დაზღვევას და სულ რაღაც 10 ლარიანი სხვაობისათვის არ ვიტყვი უარს მაღალი ხარისხის მომსახურებაზე — ეს ხომ ჩვენი მეცნიერ-პროფესორების, ადმინისტრაციის, თანამშრომლების პრესტიჟის საქმეა. ჩვენი უნივერსიტეტი არის რანჟირების სისტემის მიხედვით 30-ე ადგილზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით. ჩვენ ვიღვანებთ, გავაუმჯობესოთ ეს მაჩვენებელი. სწორედ ამას ვემსახურები, როგორც რიგითი მეცნიერი, რომელსაც აქვს შესაბამისი გამოცდილება და არის არა მხოლოდ მეცნიერი, არამედ მეცნიერების კარგი ორგანიზატორი, კარგი მენეჯერი (კონგრესები, გამოცემები, განახლებული პროგრამები, ინგლისური ენის პროგრამების მომზადება, ასამდე ახალი საგნის დანერგვა, საერთაშორისო ურთიერთობები, რომელიც 2007 წლის შემდეგ ახალ ფორმატში გადავიტანეთ სწორედ სამეცნიერო კონტაქტებით — დაწყებული უკიდურესი აღმოსავლეთიდან, დამთავრებული ევროპისა და ამერიკის ქვეყნებით).



ცირა ბარამიძე

უნივერსიტეტი უნდა იყოს ავტონომიური, სამოქალაქო ინსტიტუცია. ჩვენ არ ვართ ერთადერთი უნივერსიტეტი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ჩვენ კონკურენციაში ვართ სხვა უნივერსიტეტებთან, რომლებიც არიან ავტონომიური, განვითარებული, ფინანსურად და სასწავლო-სამეცნიერო პოტენციალით ძლიერები. ახალგაზრდებმა კარგად იციან, რომ საჭიროა არა ვერტიკალური მართვა, არამედ შიდა რესურსების მაქსიმალური გამოყენება, რაც აქამდე არ ხორციელდებოდა და მათ სრულიად სამართლიანად ჰქონდათ პრეტენზიები. მიმაჩნია, რომ გაზაფხულის აქციებზე სტუდენტების ორივე ჯგუფს ჰქონდა სამართლიანი პრეტენზიები. ამ პრეტენზიების არათავსებადობამ გამოიწვია მათ შორის ზღვარს გადასული ურთიერთობები, რაც საუნივერსიტეტო გარემოს არ შეეფერება. ჩვენ ბევრი რამ გვახსოვს უნივერსიტეტში, მაგრამ არ გვახსოვს, რომ სტუდენტური ჯგუფები ყოფილიყვნენ ერთმანეთთან დაპირისპირებული.

— **მათი ერთ-ერთი პრეტენზია იყო ის, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა ავტონომიის შენარჩუნება. თუ თქვენ ავირჩევთ რექტორად, როგორ აპირებთ სახელისუფლებო ძალებთან ურთიერთობას, რა გზით მოახერხებთ დამოუკიდებლობის მიღწევას, თუკი ის აქამდე არ არსებობდა?**

— ჯერ ის ვთქვათ, რატომ ვერ მოახერხებთ და რა იყო ბატონი ლადო შეცდომა. ამის მიზეზი იყო მთავრობის მიერ 2013 წლის 29 ივლისში გამოცემული 187-ე ბრძანება, რომელმაც უნივერსიტეტისგან დამოუკიდებლად შეცვალა ჩვენი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმა. უნდა ითქვას ისიც, რომ არც ამ ფორმის წინა — 2011 წლის ცვლილება შეუთანხმებია ვინმეს უნივერსიტეტისთვის, როცა ჩვენს ფინანსებს ზემოთ, მინისტრების მოადგილეები (რეგენტთა საბჭო) განკარგავდა, მაგრამ იმ კანონში იქვე იდო მე-6 მუხლი, რომლითაც შეგვედოა ნელ-ნელა გადასულიყავით რეალურ ავტონომიაზე. ახალი, 2013 წლის ცვლილებით კი ეს შესაძლებლობა იკარგებოდა. მე მაშინ ოფიციალური წერილით მივმართე ახლად არჩეულ რექტორს, რომ გაეპროტესტებინა ეს ცვლილება, რომლითაც გვერთმეოდა საშუალება ჩვენი ფინანსების დამოუკიდებლად განკარგვისა. სამწუხაროდ, მაშინ ერთადერთი ადამიანი ვიყავი, რომელმაც ეს ცვლილება სენატზეც გააპროტესტა (იხ. სენატის ოქმი — 2013 წლის 9 სექტემბერი). მე მაშინ ავხსენი, რა შეცდომები დაუშვა წინა ხელისუფლებამ უნივერსიტეტთან ურთიერთობაში და რა შეიძლებოდა მომხდარიყო ახალი ხელისუფლების პირობებში, თუ ბრძალ დავეთანხმებოდით ახალ ცვლილებებს. იქვე ვთქვი, რომ ამ ცვლილების შედეგებს ძალიან მალე — 2-3 წელიწადში ვინწევდით. უნივერსიტეტს რომ ჰქონოდა ძალა — დაეცვა თავისი თავი და ერთად ეთქვა აკადემიურ საბჭოს და სენატს, რომ არ ვეთანხმებოდით ჩვენი ფინანსების სახელმწიფო ხაზინის გავლით ხარჯვის მექანიზმებს, ვერავინ ვერაფერს იზამდა. ეს არ გაკეთდა, სამწუხაროდ.

— **თუმცა იყო ხმები, რომ რექტორის გადადგომა გამოიწვია სწორედ იმან, რომ ბატონი ლადო განათლების სამინისტროს და მთავრობას ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა...**

— როგორც კი სამთავრობო ვერტიკალს იმის უფლებას მისცემ, რომ როგორც უნდა, ისე მოგვეცეს, ის ვერტიკალი ამ შესაძლებლობას აუცილებლად გამოიყენებს — სამწუხაროდ, ასეთია საბჭოთა პრაქტიკა, რომელიც ინერციით ისევ გრძელდება. ბატონმა ლადომ ბევრი რამ დადებითი გააკეთა, რასაც მივესალმებოდი, მაგრამ თუ უნივერსიტეტის რექტორი არ დაიცავს უნივერსიტეტის პოზიციას და უაპელაციოდ მიიღებს სამთავრობო დირექტივას, შედეგი ყოველთვის ასეთი იქნება — ზემდგომი იქნება განათლების სამინისტრო.

ორგანიზაციული ფორმის შეცვლამ (ჯერ სსიპ-იდან აიპ-იზე გადასვლა 2011 წელს და შემდეგ პირიქით — აიპ-იდან სსიპ-ზე, 2013 წელს) გამოიწვია წესდების ცვლილება (5 წლის მანძილზე 3 ჯერ შეცვალეთ წესდება და ეს არ არის სტაბილურობის გარანტი). სენატზე კი არცერთხელ არ გამხდარა ფართო მსჯელობის საგანი — არა მოუტანდა ეს ცვლილებები უნივერსიტეტს. პირიქით, სენატის ერთ-ერთი იმედი შემაღვნილობამ უყარა კენჭი ცვლილებებს 2011 წელსაც და 2013 წელსაც და არც ერთხელ არ გაანალიზებულა, რომ სამართლებრივი ფორმა ასეთ ტრანსფორმაციას ვერ უძლებს. ასე რომ, მხოლოდ რექტორის დადანიშნულება არ იქნება გამართლებული.

— **და თქვენ როგორ მოახერხებთ ამ ზენონისაგან გათავისუფლებას და ავტონომიის დაცვას?**

— **კანონის ვერც ერთი ჭკუაშიყოფილი ვერაფერს ვერ განახორცილებს. ჩემთვის უზენაესობა არის კანონი და კანონშემოქმედება არის ცხოვრების წესი. კანონი უნდა იყოს დახვეწილი.**

მინდა ძალიან კარგად გამოიკვეთოს: უნივერსიტეტი, თავისი არსით და იმანეტური ბუნებით, ყველა ნორმალურ ქვეყანაში, სადაც ის არსებობს, არის სამოქალაქო ინსტიტუცია და სახელმწიფოს ორი რამ ევალება: 1) საკანონმდებლო ორგანოსთან ერთად შექმნას გამართული კანონმდებლობა; უნდა არსებობდეს კანონის და არა პერსონების უზენაესობა; 2) სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს უნივერსიტეტი და არ ჩაერიოს ამ ფინანსების განკარგვაში. სწორედ ეს არის ავტონომია და არა მხოლოდ აკადემიური თავისუფლება. აკადემიური თავისუფლებაში მე ვერავინ შემზღულავი. ჩვენ არ ვართ ფინანსურად დამოკიდებული სახელმწიფოზე. ჩვენი ფული კი განიკარგება სახელმწიფო ხაზინის გავლით, ანუ მთავრობა ფულს კი არ გვაძლევს, პირიქით, ჩვენგან მიაქვს. გამოდის, რომ ჩვენ სხვადასხვა გზით, კანონის ფარგლებში, მოვიპოვებთ ფულს, ხოლო სახელმწიფომ, იმ მუხლის მიხედვით, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, მართავს ჩვენს თანხებს.

უნივერსიტეტი რომ დამოუკიდებელი არ არის, ამის მაჩვენებელია ისიც, რომ ამ არჩევნებში ხელისუფლება მთლად ვერტიკალში მყოფ ფუნქციონერს ზავანის, რომ ჩვენი მწიბრი 88 მილიონიან ბიუჯეტში განკარგოს. ეს არის უნივერსიტეტის დაცინვა, რასაც საფუძველს უმაგრებს კანონი და რიგი პროფესორების მდგომარეობა, რომლებიც ფიქრობენ — ოღონდაც ხელფასი ჰქონდეთ და თავიანთ კაბინეტებში ისხდეთ და უნივერსიტეტში ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. საბედნიეროდ, ყველა არ ფიქრობს ასე და ბევრს მიაჩნია ვერტიკალის ჩარევა შეურაცხყოფად, რომ რექტორი უნდა დაუნიშნონ. დიახ, ეს არის დანიშვნა და თუ ეს აკადემიური საბჭო მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, ხმაამალა ვაცხადებ — მიიღებს უფრო ცხელ შემოდგომას, ვიდრე იყო გაზაფხული.

მე ამ კონკურსში მონაწილეობას არ ვგეგმავდი, ბოლო დღეს მივიღე გადაწყვეტილება. ჩემი ამ არჩევნებში მონაწილეობის მიზანი არის ბრძოლა პროფესორის

ღირსების აღდგენისთვის, რისთვისაც სახელმწიფოს ვუგზავნი მთავარ მესიჯს — ჩვენ, პროფესორებს, გვაქვს შანსი, გვაქვს მონაცემები, გვაქვს წინაპირობა და გამოცდილება, მათ შორის, მენეჯერობისა, და არ ვართ იზოლაციაში. უნივერსიტეტს სჭირდება მორალური მხარდაჭერა საზოგადოებისა და, ვფიქრობ, აკადემიური საბჭო ამას გაითვალისწინებს, თუმცა ჩემთვის მიუღებელია რექტორის არჩევის წესიც — პარადოქსია — რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევდეს მთელი უნივერსიტეტი და რექტორს — მოცულობით შეზღუდული აკადემიური საბჭო. ნორმალურ ქვეყანაში პირიქით უნდა ხდებოდეს.

— **თქვენი აზრით, უნდა არსებობდეს თუ არა „სტუდენტური თვითმართველობა“ არსებული ფორმით? ან სტუდენტური თვითორგანიზების რომელ ფორმას უჭერთ მხარს?**

— თუ უნივერსიტეტი თავისი არსით სამოქალაქო ინსტიტუციაა, როგორ შეიძლება მას არ ჰქონდეს სტუდენტური ერთობა? რას დაარქმევ მას, სხვა რამეა, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სტუდენტური ერთობა არ უნდა იღებდეს ამორფულ ფორმებს და არ უნდა ემსგავსებოდეს ძველ ორგანიზაციას... რატომ მოხდა ისე, რომ გაჩნდა პრეტენზიები სტუდენტური ორგანიზაციის წინააღმდეგ? იმიტომ, რომ ამის საფუძველი არსებობდა. სენატში ყოფნის დროს მე მომხრე ვიყავი სტუდენტებისთვის თანხების გამოყოფისა, რადგან მიმაჩნია, რომ მათ უნდა შეეძლოთ ამ თანხის განკარგვა, მაგრამ 26 ათას 700 ლარი კლუბში ახალი წლის შესახვედრად არ უნდა იხარჯებოდეს (ასე მოხდა 2010 წელს). ამ თანხით დაფინანსდებოდა კონგრესი, სტუდენტური მივლინებები, ექსპედიციები, ითარგმნებოდა ნიგნები და გაკეთდებოდა უამრავი კარგი რამ. იმიტომ, თანხა უნდა გაციემოდეს რაციონალური და კარგად გაწერილი პროექტების განხილვის შედეგად, თანაც ისე, რომ არ უნდა წარმოიშვას პრივილეგირებული ჯგუფი და სხვა სტუდენტები არ გრძობდნენ თავს დაჩაგრულად.

არც ის აზრია მისაღები, რომ მთლიანად გაუქმდეს სტუდენტური ორგანიზაცია — სტუდენტის ჩართულობა უნივერსიტეტის მართვაში აუცილებელია, მაგრამ ამას სჭირდება ძალიან დიდი სიფრთხილე — ეს ის ასაკია, როცა მათ ჯერ შესაბამისი სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება არ აქვთ, მაგრამ აქვე უფლებები, რაც მათ გაბედულებას და პრიორიტეტის განცდას იწვევს. დანარჩენ სტუდენტებზე კი ეს ცუდად აისახება. ზოგადად, არ არსებობს კვალი ცეცხლის გარეშე, რაღაც რომ არ ხდებოდეს, ამხელა პროტესტი არ იქნებოდა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ სტუდენტების დიფერენცირება არ შეიძლება. მინდა, მათ შორის ოქროს შუალედი ვიპოვო და შევქმნა ისეთი თვითორგანიზების შესაძლებლობა, რომ მისაღები იყოს ყველასთვის. მაქვს სტუდენტური ორგანიზაციის რეორგანიზაციის მოდელიც, თუმცა ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით მოგახსენებ.

— **დღემდე არსებობს მოსაზრება, რომ უნივერსიტეტში, ისე, როგორც ქვეყანაში, სამართლიანობა არც ამ ხელისუფლების პირობებში არ აღდგა. რექტორად არჩევის შემთხვევაში რა ტიპის რეფორმების გატარებას აპირებთ, უნდა ველოდით თუ არა ცვლილებებს?**

— ზოგადად, სამართლიანობას დაცვა სჭირდება. დღემდე მტკივნეულად განიცდი უნივერსიტეტის გარეთ დარჩენილი ღირსეული პროფესორის საკითხს. გუშინ პირდაპირ ეთერში მითხრა ერთმა ჩემმა კოლეგამ — სად იყავით, როცა ამ ადამიანებს მხარდაჭერა სჭირდებოდა. თქვენი გაზეთის მეშვეობით ვუპასუხებ მას — როგორც კი საჭირო გახდა, ჩემი დარგის დისკრედიტაციისა და ჩემი კოლეგების გარეთ დარჩენის



მე-5 გვერდი

უნივერსიტეტი არ არის ექსპერიმენტების ადგილი!

ინტერვიუ რეპტორების კანდიდატთან ცირა ბარამიძესთან

მესამე გვერდიდან

გამო მე მქონდა სასამართლო პროცესები და ეს პროცესები მოვიგე (აქვე გეტყვით, ძალიან ბევრი სამუშაო აქვს იურიდიულ დეპარტამენტს. ამდენი ნაგებული პროცესი, რაც უნივერსიტეტს აქვს, მეტყველებს იმაზე, რომ აქ ყველაფერი კარგად არაა). შესაძლოა, სხვა შემთხვევაშიც ასე უნდა მოქცეულიყავი, მაგრამ ჩემი კომპეტენციის ფარგლებს ეს სცილდებოდა.

სამსუხაროდ, სამართლიანობისთვის ბრძოლა ბევრს მოუწია, ზოგი ადამიანი გარდაიცვალა და იმდენად დიდი დანაკარგი განვიცადეთ, რომ რექტორის არჩევნებში განაცხადის შეტანის ჩემი ერთ-ერთი მოტივაცია ესეც იყო — მე მინდა სამართლიანობა აღვადგინო.

მაგრამ რა გზით შეიძლება ამის გაკეთება?

პირველ რიგში, უნდა ჩატარდეს ადამიანური რესურსების მონიტორინგი.

მაგალითისთვის გეტყვით: კანონით არ არის აკრძალული — ადამიანს ადმინისტრაციულ თანამდებობასთან ერთად ეკავოს აკადემიური თანამდებობაც, მაგრამ ყველაფერი, რაც კანონით არაა აკრძალული, არც რაციონალურია და არც ეფექტური. ზის ადამიანი ადმინისტრაციაში წლების მანძილზე ერთსა და იმავე თანამდებობაზე და ამავ დროს უჭირავს აკადემიური თანამდებობაც. როგორ ნაწილდება 8-საათიანი სამუშაო დღე ორ თანამდებობაზე? ეს ხომ ვნებს მის სამეცნიერო ხარისხსაც? არის კიდევ ბევრი სხვა გზა, რომლითაც შეიძლება გამოთავისუფლდეს ადგილები პროფესიონალებისთვის, რა-

ზეც უფრო დანერგვით ჩემს პროგრამაშია მითითებული.

ჩვენ გვაქვს შეცდომები, რომელიც გარედან ჩარევებით იყო გამოწვეული, მაგრამ ეს ჩვენი შიდა სამზარეულოა და ჩვენ — პროფესორა, სტუდენტებთან ერთად, მივიყვანოთ უნივერსიტეტს იქამდე, რომ აღიდგინოს ძველი ღირსება, აღადგინოს სამართლიანობა და მოიძებნოს ფორმა ამ სამართლიანობის აღდგენისა და შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერისთვის. ჩვენ, უნივერსიტეტის მართვის ორგანოები, დავიცავთ უნივერსიტეტს დაანონსებული რეორგანიზაციის რეკვიზიტებს, ატესტაციით მოსალოდნელი საფრთხეებისაგან. ჩვენ არ დავსვამთ კითხვის ნიშანს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საქმეში; ჩვენ დარწმუნებული ვართ წარმატებაში და ეს კითხვის ნიშანი

შეურაცხყოფელია. ჩვენ ვიბრძობთ დარგების კლასიფიკაციის სწორად განსაზღვრისათვის, აღვადგენთ სახელობით სტიპენდიებს, მოვემზადებთ კამპუსისთვის, შევქმნით ახალ სტუდენტებს, შევქმნით უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერის მოტივაციას. უნივერსიტეტი აღარ იცხოვრებს არჩევნებიდან არჩევნებამდე და ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილების პარალელური არ იქნება უნივერსიტეტის ხელმძღვანელის ცვლა.

და ბოლოს, მინდა ხელისუფლებას გავუგზავნო მთავარი მესიჯი — უნივერსიტეტი არ არის ექსპერიმენტების ადგილი, ამით ზარალდება უნივერსიტეტიც, განათლების სისტემაც და მთლიანად ქვეყანაც!

მომზადდა მაია ტორაძემ

საჭიროა რეალური ავტონომია და არა დეკლარირებული!

ინტერვიუ რეპტორების კანდიდატთან გიორგი შარვაშიძესთან

მესამე გვერდიდან

თვის გაუგებარი იყო, თუ რატომ უნდა გამხდარიყვნენ ამ სივრცის ნაწილი. ახლა რაღაცნაირად მოხერხდა ის მაინც, რომ აღდგა მეცნიერის სტატუსი და პირველი ნაბიჯები გადაიდგა ამ მიმართულებით. ვაპირებთ, რომ რეალური შერწყმაც მოხდეს, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, ავტონომიურობის პრინციპიც იქნას შეუვალად — ეს არის წითელი ხაზი, რომელზეც გადის ყველაფერი. საჭიროა რეალური ავტონომია და არა დეკლარირებული (ეს ეხება მმართველ რგოლებს თუ საფინანსო სფეროს და, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ ავტონომიას იმ საკითხებში, რომელიც შეეხება სწავლების შინაარსს, ფორმას და ა.შ.). ეს გახლავთ ის პრინციპული პოზიცია, რომელიც მაქვს და მექნება.

მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს პოზიცია და კომპეტენციები სახელმწიფოსა და უნივერსიტეტს შორის: სად მთავრდება სამინისტროსა და სახელმწიფოს კომპეტენცია და სად იწყება უნივერსიტეტისა. მაქვს პოზიცია, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს სრულად ავტონომიური, თუმცა ეს არის პროცესი. ყველამ უნდა ვისწავლოთ დამოუკიდებლად ცხოვრება და შევქმნათ ის სიტუაცია, როდესაც ავტონომიურობასთან ერთად დამკვიდრდება კიდევ ერთი პრინციპი — ეს არის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება, ზოგადად, იმ საკითხებთან მიმართებაში, რაც უკავშირდება ბიუჯეტს, საკადრო პოლიტიკას და ა.შ. ვაპირებ, რომ ეს ყველაფერი იყოს გამჭვირვალე საზოგადოების მხრიდან მაღალ დონეზე ჩართულობის გათვალისწინებით.

ყოველთვის მქონდა და მექნება პრინციპი (ჩემ პრინციპებს ადვილად არ ცვლილი და თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, შეუძლია დარწმუნდეს ამ მხრივ, თუკი ჩემს საქმიანობას გადახედავს) — არ დავუშვავ საუნივერსიტეტო სივრცის პოლიტიკაზე, რისი მცდელობაც ყოველთვის იყო და იქნება. ნებისმიერი პროფესორი და სტუდენტი შეიძლება იყოს ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი, მაგრამ აკადემიურ სივრცეში უნდა მოქმედებდეს ერთი მთავარი პრინციპი — აკადემიური თავისუფლება არის შეუვალი და არ აქვს მნიშვნელობა, ესა თუ ის ადამიანი რომელ პარტიას მიეკუთვნება. პოლიტიკური პარტიების მხრიდან კი საუნივერსიტეტო სივრცეში რაღაცებით თუ ვილატებით მანიპულირება ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს. ხშირად მეკითხებიან, რომ, ალბათ, თქვენ მოდიხართ თქვენი გუნდით... არანაირი გუნდით არ მოვიდივარ! — ამას ცალსახად და ხაზგასმით ვამბობ. უნივერსიტეტს აქვს პოტენცია იმისა, რომ ვთქვათ — გუნდი შიგნით უკვე არსებობს, უბრალოდ ამ გუნდს სჭირდება სწორი მენეჯმენტი და პოზიტივზე ორიენტირება. ამიტომ ვამბობ, რომ საჭიროა ღიაობა და



გიორგი შარვაშიძე

კოლექტიური მმართველობა, აუცილებელია გუნდური პასუხისმგებლობა და დეცენტრალიზაცია მმართველობითი გადანაწილებებისა ყველაზე მაღალი დონიდან დაბალ დონემდე, ანუ ჩართულობა უნდა იყოს მაქსიმალური. ეს არის, რაც მინდა, გავაკეთო. ხშირია ხოლმე შემთხვევები, როცა დაპირება დაპირებად რჩება და გეგმა არ რეალიზდება, მე კი განვირევი მაქვს — როგორ, როდის და რა ვადებში უნდა მოხერხდეს ჩემი კონცეფციის პუნქტების განხორციელება. კარგად მესმის, რომ ჩვენ გვაქვს 4 წელიწადი. ამ 4 წელიწადში რა „პროდუქტსაც“ დავდებ, შემდეგ შევადართო გასულ წლებში გაკეთებულ საქმეს.

— ბატონო გია, რადგან უნივერსიტეტის ავტონომია ახსენეთ, აქვე მინდა თქვენს მოსაზრებას მოვისმინო სტუდენტთა ჯგუფების განცხადებასთან დაკავშირებით, რომლის წარმომადგენლებიც ამბობენ, რომ განათლების მინისტრის მოადგილის პოსტიდან წამოსვლისთანავე რექტორობის კანდიდატად დარეგისტრირება (კერძოდ, თქვენზეა საუბარი) ცალსახად უნივერსიტეტის ავტონომიას. ზოგი ამ შემთხვევას ადარებს რექტორად კვიტაშვილის ჯერ დანიშვნის და მერე ფორმალურად არჩევის პერიოდს... საინტერესოა თქვენი პოზიციიდან პასუხი სტუდენტთა ამ ჯგუფების არგუმენტებზე...

— ჯერ ერთი, არ მგონია, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეობა იყოს „მგლის ბილეთი“ და იმის პირობა, რომ შემდეგ აღარ შეგძლოს განათლების სისტემაში მუშაობა; და მეორე — განათლების მინისტრის მოადგილე მე 3-ჯერ ვიყავი, მაგრამ ჩემთვის მთავარია, რომ ვარ უმაღლესი განათლების დარგის სპეციალისტი. არ მიყვარს, როდესაც წინა რექტორებზე იწყებენ რაღაცების საუბარს — ყველას ჰქონდა პოზიტიური და ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეების გარეშე კი ადამიანი არ არსებობს. იქიდან რაც დადებითი იყო, გადასალეგია. თქვენს

კითხვაზე პასუხად კი განვმარტავ, რომ კანონით ყველას შეუძლია მიიღოს რექტორის არჩევნებში მონაწილეობა. პირველ ინტერვიუში, რომელიც ერთი თვის წინ ჩანერეს ჩემთან, ვთქვი (მაშინ უკვე გადამწყვეტილი მქონდა რექტორის არჩევნებში მონაწილეობის მიღება), რომ ვისურვებდი, რაც შეიძლება მეტი მაღალი დონის კონკურენტი მყავდეს თქო, რათა მეტი არჩევანის საშუალება მისცემოდა საუნივერსიტეტო საზოგადოებას. სამსუხაროდ, ის, რაც დღეს ხდება (მოგეხსენებათ, მხოლოდ სამმა შემოვიტანეთ განაცხადი), ძალიან ცუდია ჩემი გადასახედისა.

— სტუდენტთა ის ნაწილი, რომელიც უნივერსიტეტის რექტორად თქვენს მოსვლას აპროტესტებს, სწორედ იმას უსვამს ხაზს, რომ თითქოს საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლები დაშინდნენ, არ უნდათ თქვენს კონკურენტად დაფიქსირება და ამიტომ არ შემოიტანეს განაცხადი...

— აღარ ვარ მინისტრის მოადგილე, გადავდექი ჩემი ნება-სურვილით, ახლა ვარ დროებითი უმუშევარი, რომელმაც შემოიტანა საბუთები. წარსულთან შედარება თითქოსდა ყოველთვის მომგებიანია, მაგრამ ძალიან წამგებიანია ამ შემთხვევაში. კარგად მახსოვს — რა საბჭო იყო მაშინ, რამდენი კაცი შედიოდა იმ საბჭოში და ა.შ. ისიც მახსოვს, რა მანქანები აკითხავდნენ საბჭოს წევრებს... დაელაპარაკეთ საბჭოს ძველ წევრებს და, იქნებ, ახლა მაინც თქვენ სიმართლე შემდეგ დაელაპარაკეთ აკადემიური საბჭოს ახალ წევრებსაც, რომელთა რაოდენობა უკვე არა 12, არამედ 36-ია.

— კვლავ სტუდენტთა იგივე ნაწილი, ვინც თქვენს კანდიდატურას ეწინააღმდეგება, აცხადებს, რომ აკადემიური საბჭოს წევრებზე დღესაც ზენოლაა, მაგრამ ხმამაღლა ამის აღიარებას ყველა გაუარესს თითქოს...

— იმ ავად სახსენებელ დროს, როდესაც მართლაც ხდებოდა „პრესინგი“, მაშინ არ ეშინოდა საბჭოს უმრავლეს წევრს და ჩემთვის პირადად უთქვამთ, რომ აი, ამა და ამ მანქანამ მომაკითხა, მაძალე ბდნენ და მაინც არ დავუჭირე მხარით. გამოჩნდნენ საბჭოს დღევანდელი წევრები და თქვენ — საიდან მოდის ეს „პრესინგი“ მეც ძალიან მაინტერესებს. მე, პირადად, სხვაგვარ ზენოლას ვხედავ — ჯერ არ მქონდა შემოტანილი განცხადება და უკვე ყვიროდნენ, რომ არ შემოატანინოთ ამა და ამ სახელის და გვარის ადამიანს საბუთები! ეს არ იყო აკადემიურ საბჭოზე ზენოლა? ასე რომ, კარგად ვიცი ეს სიტუაცია, მაგრამ არა უშავს — მაქსიმალურად სტუდენტებს ყოველთვის ახასიათებთ. რაც შეეხება სტუდენტებთან ჩემს ურთიერთობას, არანაირად არ გამიჭირდება არც ერთ ჯგუფთან კომუნიკაცია. პრინციპი, რომელსაც ყოველთვის ვაფიქსირებდი და

დავაფიქსირებ მუდამ, არის ის, რომ ნებისმიერი სტუდენტისთვის რექტორის კარი მუდამ უნდა იყოს ღია. იქნება რაოდენობა სტუდენტებისა, რომლებსაც მისაღები ვერ იქნები — ეს კარგად მესმის. თუმცა, ჩემი მიზანი და მთავარი ამოცანა, ამ ეტაპზე, არის ის, რომ დეკლარირებული პრინციპები გადავიდეს ქმედებაში. ქმედება დაიწყება მაშინ, როდესაც აკადემიური საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას. მინდა, რომ ეს გადაწყვეტილება საბჭომ მიიღოს დინჯ აკადემიურ გარემოში.

ახალ საბჭოს ლეგიტიმაციის მაღალი დონე აქვს, წარმოდგენილია ყველა მხარე: აკადემიური პერსონალი, პროფესორები, ფაკულტეტების წარმომადგენლები და მეცნიერები ინსტიტუტებიდან. აღდგა სამართლიანობის ის პრინციპი, რომ კვლევით ინსტიტუტებსაც მიეცათ უფლება — მთელი უნივერსიტეტის მართვაში მიიღონ მონაწილეობა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ საბჭოს მაღალი ლეგიტიმაციის დონე აქვს და მას ყოველგვარი „პრესინგი“ გარეშე უნდა მივცეთ გადაწყვეტილების მიღების საშუალება (ჩემთვის მოსაზრონი იქნება თუ არა ეს გადაწყვეტილება, ეს უკვე სხვა საკითხია). როგორც ვიცი, „პრესინგი“ არ არსებობს. არჩევნების თემა ყოველთვის პოპულარულია, ზოგადად, საქართველოში (მით უფრო, სულ მალე საპარლამენტო არჩევნები გველის წინ) და არ მიკვირს, რომ რექტორის არჩევნების თემასაც სხვადასხვა კითხვები ახლავს. გუშინ ერთმა ჟურნალისტმა, მაგალითად, მკითხა — თქვენ ხომ პოლიტიკურ თანამდებობაზე იყავით? ჩემი პასუხია — დავანებე თავი პოლიტიკას! გადავდექი ამ თანამდებობიდან! რაც შეეხება პარტიულობას, პარტიული არ ვყოფილვარ, არც ვარ და არც ვიქნები — აი, ეს არის კიდევ ერთი ჩემი ცხოვრებისეული პრინციპი. მთელი ჩემი ცხოვრება ვიყავი განათლების სისტემაში: ვიყავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი; როდესაც მასწავლებლობა დავიწყე გერმანულ სკოლაში, ეს იყო პირველი შეხება ამ სფეროსთან; შემდეგ ავირჩიე უმაღლესი განათლება და ა.შ. ამდენად, შორს არ წავალ... შესაძლებელია არ გავხდე რექტორი, არ ამირჩიოს საბჭომ (ეს გასაგები იქნება), მაგრამ ჩემ თავს ვხედავ უმაღლესი განათლების სფეროში.

— ბატონო გია, ამჟამად უნივერსიტეტში კრიზისული ვითარებაა. მოგეხსენებათ, წინა რექტორი ლადო პაპავა სტუდენტური პროტესტის გამო გადადგა თანამდებობიდან. სტუდენტთა დიდი ნაწილის პრეტენზიები კი უნივერსიტეტში ე.წ. „ოდერების“ არსებობას, სწავლების ხარისხის დაბალ დონეს, მეცნიერების განუვითარებლობას და ძირეული რეფორმების გატარების ნების



საჭიროა რეალური ავტონომია და არა დეკლარირებული!

ინტერვიუ რედაქტორის კანდიდატთან გიორგი შარვაშიძესთან

მეხუთე გვერდიდან

არქონას უკავშირდებოდა (თუმცა ამ მიმართულებებით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები). სტუდენტები დღემდე აპროტესტებენ იმასაც, რომ უნივერსიტეტში არ ხდება კვალიფიციური კადრების შემოღობვა და რომ „გაურღვეველი წრეა“ ის ბირთვი პროფესორისა, რომელთა უმეტესობა 2006 წელს პოლიტიკური გეგმვების ნიშნით შეირჩა კონკურსების გზით. თქვენი რექტორად არჩევის შემთხვევაში, სტუდენტთა მსგავსი პრეტენზიები დარჩება თუ არა კვლავ ძალაში? ამ მიმართულებებით რის გაკეთებას აპირებთ გამარჯვების შემთხვევაში?

— უკვე ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს „სტუდენტური მდგომარეობა“ უნივერსიტეტში და ამიტომაც მგონია, რომ მაქვს უნარი, შესაძლებლობა და ცოდნა იმისა, რომ ყველამ ერთად შევძლოთ გადავლახოთ ეს კრიზისი და უნივერსიტეტი გავიყვანოთ იმ გზაზე, რა გზაზეც უნდა იყოს დღეს პირველი ქართული სასწავლებელი.

სწავლის ხარისხი არის უმთავრესი თემა, რაც ჩემი გადასახედიდან, გასაუმჯობესებელია სასწრაფოდ. კრიზისში ნამდვილად არის უნივერსიტეტი! ამდენი ხანია რექტორის გარეშე დარჩენილი, არც კანცლერია ჯერ არჩეული... ამიტომ ეტაპობრივად და რაც შეიძლება სწრაფი ტემპით უნდა გავიკვლიოთ წინ გზა. ახლა ყველანი ერთად გავდივართ ბენვის ხიდზე, ჩვენი უნივერსიტეტი დიდი გამოწვევის წინაშე დგას: ახლანდელი ავტორიტეტისა და აკრედიტაციის გავლის პერიოდი კარზე მოგვადგა უკვე და 2017 წელს გვინევს. აღარც არის დარჩენილი დრო იმისთვის, რომ ფიქრი ახლა დაიწყოთ... ახალი მიდგომებია, ახალი მოთხოვნებია, ახალი სტანდარტებია... ამდენად, ყველამ ერთად უნდა შევძლოთ, რომ დავძლიოთ ეს მართლაც კრიზისული ვითარება. უნდა მოხდეს ყველას შედუღება — ეს იქნება ადმინისტრაცია, ხარისხის მართვის სამსახური, პროფესურა, მიმართულებების ხელმძღვანელობა და ა.შ. ყველამ ერთად უნდა შევძლოთ, რომ გავიაროთ ეს კრიზისული პერიოდი. რაც შეეხება მომავალს — თუ რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას — ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტს აქვს უზარმაზარი პოტენციალი, რაც არც ერთ სხვა უმაღლეს სკოლას დღემდე არ გააჩნია. საჭიროა ამ პოტენციალის სასიკეთოდ გამოყენება და მისთვის სხვაგვარი იმპულსის მიცემა. რაც შეეხება „ოდევრების“ თემას,

ახლა, როგორც ყოფილი მინისტრის მოადგილე, ისე ვიტყვი, რომ მთავრობამ თავისი პოზიცია შესანიშნავად გამოხატა (და ხელისუფლებას ერთადერთი შანსი აქვს, რომ გამოხატოს თავისი პოზიცია). კანონი მიღებულია, „ოდევრების“ ინსტიტუტი აღარ არსებობს, უკვე აგვისტოდან (თუ არ ვცდები) იმ უწყებათა ჩამონათვალშიც არსადაა არც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და არც უნივერსიტეტი მითითებული, რომელშიც შეიძლება სჭირდებოდეს მთავრობას ასეთი ოფიცრები. ვთქვათ უნივერსიტეტს აქვს კოლაიდერი (სიტყვაზე) და ბირთვული რეაქტორი, რასაც შეიძლება დასჭირდეს სპეციალური დაცვა, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოსთან, ცივილური ურთიერთობის ფარგლებში, დაადება ხელშეკრულება, ხოლო ჩანერგილი და ჩასაფრებული კადრები რომ არ უნდა არსებობდნენ, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

ასევე გაუთავებლად არის საუბარი იმაზე, რომ არ გვინდა „სტუდენტური თვითმმართველობა“ და გავაუქმოთ. ერთხელ უკვე ავხსენი, რომ თვითმმართველობის გაუქმების მოთხოვნა მე, როგორც ადამიანს, არ მომწონს. ვილატას აქვს სუვერენული დემოკრატია ჩვენთან ჩრდილოეთში, ამიტომ გავაუქმოთ დემოკრატია? თვითმმართველობა არის სტუდენტური ცხოვრების მართვის ფორმა, რომელიც თავად სტუდენტებმა უნდა განახორციელონ ჩარევის გარეშე და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ადრე იყო სტუდ-საბჭო, რომელიც არ მოგვცნობდა, ამიტომ გავაუქმეთ, შემდეგ დაერქვა თვითმმართველობა...

— ანუ რა პოზიცია გაქვთ „სტუდენტური თვითმმართველობის“ დღევანდელი ფორმით ფუნქციონირებაზე?

— თვითმმართველობა ნიშნავს მმართველობის იმ ფორმას, როდესაც თავად მართავ შენ თავს. ჩვენს რეალობაში სხვა აქცენტებია საგულისხმო: ერთნაირი ნდობა აქვთ თუ არა ყველა სტუდენტს იმ სიკეთებთან, რაც არსებობს საუნივერსიტეტო სივრცეში? თუ გარკვეული ჯგუფის პრივილეგიაზეა საუბარი, პრივილეგია არ უნდა იყოს! მე ვამბობ, რომ ნებისმიერ სტუდენტს, გაერთიანებულ იქნება თუ არა იგი რომელიმე ჯგუფში, ყველას უნდა ჰქონდეს ერთნაირი შანსი, საშუალება, რომ რეალურად მოახდინოს თავისი უფლების, როგორც სტუდენტმა. ანუ ჩემი პრინციპია: თანაბარი სასაბურთო პირობები ყველასთვის! ეს ეხება უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში თანაბარ უფლებიანობას იქ მოხვედრის (არჩევის) თვალსაზრისითაც...

რაც შეეხება სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებას, რაც ჩემს კონცეფციაში ერთერთ მთავარ ადგილს იკავებს, გულისხმობს „ერთი ფანჯრის პრინციპის“ დამკვიდრებას. უნდა გადაიჭრას ყველა პრობლემა დაწყებული საერთო საცხოვრებლების მოწესრიგებით და კვებით დამთავრებული. უნდა დამთავრდეს სტუდენტთა რეგისტრაციის დროს ტექნიკურ პრობლემებზე თუ საგნების არჩევისას ეს გაუთავებელი უკმაყოფილება და ჩივილი.

სტუდენტურ პრობლემებს მე ჩემი სტუდენტებისგანაც ვიცი. ლექციებს სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ერთი სემესტრია, რაც ვკითხულობდი. ვასწავლიდი უმაღლესი განათლების პოლიტიკას და მგონია, რომ ჩემს სტუდენტებს ძალიან დადებითი დამოკიდებულება აქვთ ჩემთან სწორედ იმ ღიაობის გამო, რა პრინციპითაც მათთან ვურთიერთობ. ასე იქნება ყველა სტუდენტთან ჩემი არჩევის შემთხვევაში.

— რექტორად თქვენი არჩევის შემთხვევაში მალე გინვით ასოცირებული და სრული პროფესორების შესარჩევი ახალი კონკურსების გამოცხადება. სტუდენტთა ერთი ჯგუფი ასევე ითხოვს გარე რეფერირების პრინციპს პროფესორის შესარჩევ კონკურსებში. როგორ უყურებთ ამ საკითხს?

— წესი დასადგენია თავიდან, რადგან კანონი შეიცვალა და კანონის კვალდაკვალ ჯერაც არ მომხდარა ის ცვლილებები, რაც უნდა განხორციელდეს. მათ შორის, რას ნიშნავს ატესტაცია, რომელიც უნდა ყველა პროფესორს 5 წელიწადში ერთხელ შეუძლებელია მოსთხოვო ციტირების ისეთივე კოეფიციენტი ფილოსოფოსს, როგორც ფიზიკოსს — ეს გამორიცხულია. მაგალითად, გია დვალს ექნება რამდენიმე ათასი, ხოლო ფილოსოფოსს შეიძლება ჰქონდეს 6, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ცუდი ფილოსოფოსია. ამდენად, თავად დარგის სპეციალისტებმა უნდა დაადგინონ — რა უნდათ, შეფასებისთვის თამასა სადამდე აწიონ. გარე რეფერირება კი არის ერთ-ერთი მეთოდი იმის გასარკვევად, რეალურად ვინ როგორი მეცნიერია. რა თქმა უნდა, გარე რეფერირება საჭირო და აუცილებელია. ჩვენ ვცხოვრობთ პატარა ქვეყანაში, სადაც ყველა ყველას იცნობს და არის სიტუაცია, როდესაც „ერთ ოჯახში“ ერთმანეთს აფასებენ და ეს ობიექტურობასთან არის კი კავშირი? ანუ გარე რეფერირება, როგორც ვალიდატორი იმი-სა, რომ მაღალი ხარისხის კონკურსია საჭირო, აუცილებელია.

— მოგეხსენებათ, პროფესორების ანაზღაურების სხვადასხვა წესია ჩვენთან, უნივერსიტეტში. სხვადასხვა ფაქტორებზე სხვადასხვა ხელფასს იღებს პროფესურა ერთნაირი დატვირთვის მიუხედავად. ბიუჯეტის გადანაწილების ეს პრინციპი აკადემიურ პერსონალში უკმაყოფილებას იწვევს. თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამ საკითხზე?

— ჩემს კონცეფციაში ლიად და გასაგებად წერია, რომ საუბარია სამოტივაციო პაკეტზე და არა მხოლოდ ხელფასებზე. ხშირად მესმის, რომ „იმას მეტი აქვს და ჩვენ ნაკლები“, ამიტომ „იმით ჩამოაკე-ლით“... ვფიქრობ, არავის უნდა დაეკლოთ და, მეორე პრინციპი — პირიქით, სხვას უნდა მოუშალოთ. კარგ პროფესორს კარგი ანაზღაურება სჭირდება და რაც უფრო კარგი პროფესორი გყავს, მეტად უნდა დააფასო. საუბარი არ არის მხოლოდ ანაზღაურებაზე, აქ ჩამოსაყალიბებელია მთელი სისტემა — სამეცნიერო გრანტების, ინდივიდუალური გრანტების ა.შ., ანუ პროფესორს უნდა შეეძლოს, რომ რეალური კვლევითი სივრცე ჩამოაყალიბოს და სტუდენტები (ბაკალავრები, მაგისტრანტები და დოქტორანტები) მთელ ამ პროცესში ჩართოს.

მთავარი და პირველი, რასაც გავაკეთებთ ჩემი რექტორად არჩევის შემთხვევაში, ეს არის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შექმნა, რომელზეც იმუშავენ ყველა. ღიაობა და ჩართულობა არის ის პრინციპი, რასაც სერიოზულად დაუჭერ მხარს. ეს უნდა იყოს ერთობლივი ხედვა, რომელიც მოგვეცემს საშუალებას, რომ ღირსეულად შევხედეთ უნივერსიტეტის 100 წლისთავს 2018 წელს.

ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ სახელმწიფო სერიოზულად კიდებს ხელს უმაღლესი განათლების სექტორს. პირველად საქართველოს ისტორიაში დაანონსებული არის, რომ განათლება ხდება პრიორიტეტი, ერთ-ერთი პრიორიტეტი ოთხთაგანს. ახლა სწორედ ის დროა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყოს ცვლილებების ავანგარდში და არა კრიზისულ მდგომარეობაში. ამიტომ მინდა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ითაოს ის ფუნქცია, რომელიც ყოველთვის ჰქონდა საქართველოში, როგორც პირველ ქართულ უმაღლეს სასწავლებელს და გახდეს რეალური ფლაგმანი პოზიტიური ცვლილებების კუთხით ჩვენს ქვეყანაში.

მოამზადა ნინო კაკულიამ



მესამე გვერდიდან

რატომ არ ქვეყნდება რედაქტორის კანდიდატთან გიორგი შარვაშიძესთან ჩანერილი ინტერვიუ?

ყველა კანდიდატთან შეკითხვას ვინცე-ბდით ასე — რა გეგმებით მოდიხართ? ბატონმა გიორგი შარვაშიძემ, სტატია ჯერ რომ არ დაბეჭდილა ისე, „გვამხილა“ მისი აზრების დამახინჯებაში, რაც მტკნარი სიცრუეა (არსებობს ჩანანერი, გაშიფრული და რედაქტირებული ვარიანტი, სადაც გასწორებულია მხოლოდ სტილი და კორექტურა. მას, როგორც ჩანს, უნდოდა ამ მიმართულებით სკანდალის ატეხვა და გაზეითის დისკრედიტაცია, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროფესორისა (პროფესორები, რომლებსაც იგი პლაგიატში და „ოდევრობაში“ ადანაშაულებს, სრულიად მოკირბულნი არიან, როდესაც გავაცანი ის სტატია, რომელიც მის ადრინდელ ლექციას შეეხებოდა — ჩვენ მეორე მხარესაც ყოველთვის ვაძლევთ საშუალებას, პასუხი გაცეცხ მათ მიმართ ბრალდებებს). ასე რომ, გიორგი შარვაშიძესთან ინტერვიუს ჩანერისას, მიუხედავად მისი მხრიდან გაზეთის სა-

რედაქციო პოლიტიკაში ჩარევის მცდელობისა, მე მხოლოდ ბოდიშით შემოვიფარგლე და დავპირდი მას, რომ აპრილში მომზადებული „სტატია“ დაიბეჭდებოდა. რექტორობის ამ კანდიდატისადმი მიუხედავად ჩვენი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისა, ბატონი გიორგი დღეს ცილს სწამებს რედაქციას, რომ უხეში ჩარევა ხდება საარჩევნო პროცესში და მინდა გითხრათ, რომ წესიერი ჟურნალისტიკა აგრესიად დაგვიბრუნდა (სულ არ ვიყავით ვალდებული, ინტერვიუს დაბეჭდვამდე მისთვის სამუშაო ტექსტი გადაგვეგზავნი). შეუნყნა რებლად არაობიექტური ვინც არის — გამოჩნდება, თუკი დაინტერესდებით აუდიო ჩანანერით + გაშიფრული ტექსტით + რედაქტირებული ვარიანტით + მისთვის სამუშაო ტექსტის გადაგზავნის ფაქტით! (თანაც რა დავამახინჯეთ, რაც ჯერაც არ დაბეჭდილა? რით სურს და რატომ სურს მიიჭროს ყურადღება გიორგი შარვაშიძემ წინასაარჩევნოდ? მისი დაუსაბუთებელი ბრალდებებით ამდენი ადამიანი უკვე შეძრწუნებულია

და ისინი ახლა ჩვენ გვედავებიან — ყვირელი პრესა ხომ არ ხართ, ასეთ „ტერორისტულ ბრალდებებს“ რომ უბეჭდავთ ამ კაცს). ბოდიშის მოხდა, შესაძლოა მისი სტილი არ იყოს, მაგრამ, იმედია, არსებობენ ადამიანები, ვისაც შეუძლია სწორად შეაფასოს მოვლენები და კანდიდატთა წინასაარჩევნო რიტორიკის ნამდვილი მოტივები.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია გამოთქვამს სინანულს ამ ინციდენტის გამო და ბოდიშს უხდის მკითხველს, რომ არ აქვს რექტორობის ამ კანდიდატის ინტერვიუს გაცნობის საშუალება, თუმცა აქვე აღვნიშნავთ — რესპონდენტს არ აქვს უფლება, ჩაერიოს ჟურნალისტიკის საქმიანობაში და გამოიყენოს თავისი ამჟამინდელი პრივილეგიური მდგომარეობა სხვა ადამიანების დისკრედიტაციისთვის (რასაც მისი ინტერვიუ ემსახურება), ხოლო რედაქციას არ აქვს უფლება, გამოაქვეყნოს ბრალდებები ისე, რომ მეორე მხარეს არ მისცეს ბრალდებებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა („მძიმე კრიტიკის ობიექ-

ტს უნდა მიეცეს პასუხის უფლება, თუ მას საამისო საფუძველი აქვს. მხოლოდ განსხვავებული თვალსაზრისი არ ქმნის პასუხის აუცილებლობას. თუ პიროვნება კრიტიკის ობიექტია, კარგი ჟურნალისტიკური პრაქტიკა გულისხმობს, ცნობილი გახდეს მისი მოსაზრებაც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით“ — ევროპის ქვეყნებში მოქმედი ჟურნალისტიკური ეთიკის კოდექსების ანოტაცია).

და ბოლოს, ჩვენ ვიყენებთ ჩვენს უფლებას საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების თაობაზე და მკითხველს ვთავაზობთ ბატონი გიორგის ბიოგრაფიას და ფაქტობრივებთან თუ სტუდენტებთან მისი შეხვედრების ამსახველ მასალებს. ასევე უბეჭდავთ სტატიას, რომელიც ასახავს რექტორობის კანდიდატ გიორგი შარვაშიძის ლექციას „აუდიტორია 115“-თან, რასაც ახლავს ბრალდების აღრესატების პასუხებიც.

ნინო კაკულია, თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი




რაში ეთანხმება და რაში — არა პროფესურა სტუდენტებს რექტორების კანდიდატებთან დაკავშირებით?



ზალ კოჯავა




ლევან გორდეჯიანი



როლანდ თოფჩიშვილი



კორნელი კახიანი



მერაბ კვეკვესელიძე



ზაზა ტყუარავა

მეორე გვერდიდან

როლანდ თოფჩიშვილი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ვერაფერს გეტყვით, სახლში ვარ და წიგნზე ვმუშაობ, ინფორმაციასაც ვერ ვუსმენ ტელევიზიით. საერთოდ მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე ის უნდა იყრიდეს კენჭს, ვინც უნივერსიტეტის პროფესორია, ანუ ვინც უნივერსიტეტით ცხოვრობს, იცის რა სული ტრიალებს აქ და რა ვითარებაა.

ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტის სივრცეში უნდა მოძებნილიყო სახელოვანი მეცნიერი, რომელიც კარგად გაუძღვებოდა ამ საქმეს. რექტორი მაღალი დონის მეცნიერი უნდა იყოს. ვერ გეტყვით, ამ კანდიდატებს რა მონაცემები აქვთ ამ თვალსაზრისით. თუ გადავხედავთ — ვინ იყვნენ წინა რექტორები, ამ პოსტზე ყოველთვის (ბოლო პერიოდს არ ვგულისხმობ) ცნობილი ადამიანები ინიშნებოდნენ, ვის მიმართაც სტუდენტებსაც და ლექტორებსაც გარკვეული მონივნება ჰქონდათ.

კორნელი კახიანი, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ვფიქრობ, შიდა რესურსის პრობლემა ნაკლებად არის, პრობლემა უფრო გარეში (გველისხმობ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას რეფორმებთან მიმართებით და მათ შორის საუნივერსიტეტო და განათლების რეფორმებთან დაკავშირებითაც). ძალიან ბევრმა ადამიანმა თავი შეიკავა არჩევნებში მონაწილეობაზე იმიტომ, ალბათ, რომ მათ არ სჯერათ, რომ რეფორმის გატარების ნება არსებობს როგორც ხელისუფლების მხრიდან, ასევე, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდანაც. თავად საუნივერსიტეტო საზოგადოების უმრავლესობა საკმაოდ კომფორტულად გრძნობს თავს ამ რეალობაში. აქედან გამომდინარე, ისეთი განცდაა, რომ ყველა კმაყოფილია იმ ატმოსფეროთ, რაც დღეს სუფევს უნივერსიტეტში და ამ პირობებში, თუ კონკრეტული ხედავს არ გაქვს, სურვილი ნაკლებად უჩნდება ვინმეს — ებრძოლოს ქარის ნისქვილებს. არადა სტუდენტებისა და საზოგადოების მოთხოვნა კატეგორიულია რეფორმების გატარების აუცილებლობასთან დაკავშირებით. საზოგადოება გადაიღალა კიდევ რეფორმების მოთხოვნით. რაც შეეხება გიორგი შარვაშიძის კანდიდატურის მიუღებლობას, მე მას ვიცნობდი მანამდეც, სანამ მინისტრის მოადგილე გახდებოდა. შემიძლია ვთქვა, რომ იგი არის განათლების დარგის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი;

მას აქვს გარკვეული საერთაშორისო გამოცდილება და კავშირები; სასურველი იქნებოდა, რომ იგი მინისტრის მოადგილის პოსტიდან პირდაპირ არ მოსულიყო უნივერსიტეტის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მის პროფესიულ მიღწევებს ამ დარგში, ალბათ, დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ შემოიტანა განაცხადი. ვფიქრობ, შემოტანილი კანდიდატებიდან ყველაზე ლოგიკური მისი არჩევა იქნება. ვეთანხმები სტუდენტების აზრსაც, რომ მინისტრის მოადგილის პოსტიდან უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატად დარეგისტრირება ბევრ უხერხულ კითხვას აჩენს, კერძოდ, თუნდაც იმას — ხომ არ არის მისი კანდიდატურა ორკესტრიული ხელისუფლების მხრიდან? ეს ხომ არ არის მთავრობის მხრიდან ჩარევა უნივერსიტეტის საქმიანობაში? დანარჩენი, რაც შეეხება მის კანდიდატურას, ვინც მას იცნობს, გასაგები ხდება — რატომ შემოიტანა ამ ადამიანმა საბუთები კონკურსში თანაწილეობისთვის. იგი ნამდვილად არის პროფესიონალი და განათლების დარგის სპეციალისტი. ვისურვებდი, რომ მან ის კითხვის ნიშნები მოხსნას, რაც მისი მისამართით უღერდება...

მერაბ კვეკვესელიძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, რეჟისორი:

— ალბათ, საქმე იმაშია, რომ, თითქოს, დაკარგულია ისეთი ადამიანების კატეგორია, რომლებიც მთელ სიცოცხლეს უნივერსიტეტის თავისუფლების, განათლების განვითარებისთვის ბრძოლაში ატარებდნენ. სხვა პასუხის მოძებნა მიჭირს იმ კითხვაზე, თუ რატომ არის ასეთი მწირი კანდიდატების რაოდენობა. თანაც ჩახედული მთლად არ ვარ საქმეში, რადგან მთელი ზაფხული კინოსტუდიის საკითხებით ვიყავი დაკავებული და არ ვიცი — უნივერსიტეტში რა ხდებოდა. რაც შეეხება მეორე კითხვას, დღევანდელ პირობებში არ მაქვს უფლება, ვიფიქრო, რომ ხელისუფლება შეიძლება ჩაერიოს უნივერსიტეტის საქმეში. უნივერსიტეტი სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და, მერნაშენით, თუ აქ მოდის წესიერი, მებრძოლი ადამიანი, ხელისუფლება ამ საქმეში არ ჩაერევა. ბოლო პერიოდში, დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, უკვე ისეთი ნაბიჯებია გადადგმული, რომ თუ გიორგი შარვაშიძე განათლებული, წესიერი ადამიანია, მისი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის პოსტზე მუშაობის ფაქტი, არ მგონია, დამაფიქრებელი ან შემანუსხებელი მიზეზი იყოს. შეიძლება ადამიანი მუ-

შაობდეს სახელმწიფო დაწესებულებაში, ამის გამო, რა, მას უფლება არ უნდა ჰქონდეს მართოს უნივერსიტეტი? ჩემთვის ეს არ არის მიზეზი... ვიმეორებ, არ არის ის დრო, ხელისუფლება ასე ეროდეს. აქედან გამომდინარე, არ მაქვს იმის შეგრძნება, რომ მთავრობა რექტორის არჩევნებში ჩაერევა. პრობლემები, რომლებიც განათლების სისტემაშია, უნდა გამოსწორდეს, მოიძებნოს სწორი გზა განვითარებისთვის, მაგრამ აბსოლუტურად გამორიცხულია — სახელმწიფოს რაიმე სახის ჩარევა სჭირდებოდეს. ამ თვალსაზრისით თავისუფლებაა.

ზაზა ტყუარავა, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი:

— არც ერთ კანდიდატს არ ვიცნობ ისე, რომ შევაფასო. თუმცა საინტერესოა, რატომ არ ჰქონდათ სხვებს სურვილი — შემოეტანათ რექტორობის კანდიდატად განაცხადი? ვფიქრობ, საჭიროებს ანალიზს, თუ რატომ არ იყო მეტი აქტიურობა.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ავტონომიურობის შეზღუდვას ვერ დავარქმევ იმას, რომ მინისტრის ყოფილი მოადგილე იყრის რექტორობისთვის კენჭს — ამის თქმა არც სამართლებრივად შეიძლება. უნივერსიტეტის ავტონომიურობა არის სხვაგვარად უზრუნველყოფილი. რექტორი არ არის თანამდებობის ის პირი, რომ რაიმე შეზღუდოს. სხვა ორგანოებიც ჰყავს უნივერსიტეტს: ფაკულტეტის საბჭო, აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობით საბჭო და ასე ცალსახად იმის თქმა, რომ ავტონომიურობა შეიზღუდება, არ შეიძლება!

აკაკი ყულიჯანაშვილი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი:

— რატომ იქნება ავტონომიის დარღვევა გია შარვაშიძის მოსვლა? ყველას აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ავტონომიის დარღვევა იქნებოდა ის, თუკი კანონში ან წესდებაში ეწერებოდა, რომ მხოლოდ უნივერსიტეტის პროფესორი შეიძლება იყოს რექტორი. მხოლოდ აკადემიური საბჭოს გადასაწყვეტია, ვის დაუჭერს მხარს. რაც შეეხება ზენოლაზე გავრცელებულ ხმებს, ეს ჩემ თავზე მაქვს პირადად გამოცდილი, როცა რექტორად კვიტაშვილი მოიყვანეს. მაშინ აკადემიური საბჭოს წევრი ვიყავი და არ მივეცი ხმა. აი, ზენოლა და ტერორი მაშინ გენახათ! ახლა მსგავსი არაფერი ხდება. ასე რომ ყოფილიყო, აუცილებლად ვიტყვოდი. ვინმე თუ რეკომენდაციას გაგიწევს — ამას დაუჭირებ მხარით, ეს ზენოლა ნამდვილად არ არის. არ

იფიქროთ, რომ რომელიმე კანდიდატს პირადად მხარს ვუჭერ, უბრალოდ მინდა, რომ ვიყოთ ობიექტურები. ახლა არის ღია კარის პოლიტიკა. მოდის კაცი, რათა კენჭი იყაროს. დანარჩენი საბჭოზეა დამოკიდებული. მე მხარს დაუჭირდი იაგო კაჭკაჭიშვილის კანდიდატურას, მაგრამ, რატომღაც, თავი შეიკავა არჩევნებში მონაწილეობისგან.

თამარ შინგალია, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი:

— მიმაჩნია, რომ სამივე კანდიდატი ღირსეული პიროვნებაა. თავად ფაქტი, რომ კანდიდატების ასეთი მწირი რაოდენობაა, არ არის კარგი. როგორც ჩანს, ხალხი ობიექტურად აფასებს თავის შესაძლებლობებს. აკადემიურმა საბჭომ წარმოდგენილი კანდიდატების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის კარგად გათვლის საფუძველზე უნდა შეარჩიოს ღირსეული კანდიდატი. რაც შეეხება ავტონომიურობის თემას, მიმაჩნია, რომ მთავარია დაცული იქნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული კანონმდებლობა. თუ კანონმდებლობა დაცულია, ეს ემსახურება თსუ-ის პროგრესს. ანუ აქ ამოსავალი უნდა იყოს კანონმდებლობა. თუ სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ კანონმდებლობა ირღვევა, მაშინ პროტესტიც გასაგებია, მაგრამ თუ კანონი არ უკრძალავს მინისტრის ყოფილ მოადგილეს კონკურსში მონაწილეობას, მაშინ რაზეა ლაპარაკი?

თინათინ მარგალიტაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ბატონ გიორგი შარვაშიძეს პარტიულ მუშაკად მე არ განვიხილავ. არასოდეს მომისმენია მისგან რაიმე პარტიული განცხადებები. ვფიქრობ, უკეთესიცაა, რომ იგი არის განათლების და მეცნიერების სამინისტროს ან უკვე ყოფილი წარმომადგენელი, რადგან უკეთ არის გარკვეული იმ საკითხებში, რასაც განათლების მენეჯმენტი ეწოდება. მიმაჩნია, რომ მას კარგად აქვს გააზრებული იმ რეფორმების მნიშვნელობა, რაც უნივერსიტეტში უნდა გატარდეს. რამდენადაც ვიცი, ის პროფესორები, რომლებთანაც მქონდა საუბრები და რომლებიც უნივერსიტეტში გარდაქმნების მომხრეები არიან, მხარს უჭერენ გიორგი შარვაშიძეს.

რაც შეეხება ავტონომიას, ვიტყვი, რომ იგი ძალიან ბევრჯერ შეიზღუდა.

მე-8 გვერდზე



აკაკი ყულიჯანაშვილი



თამარ შინგალია



თინათინ მარგალიტაძე



ლალი სურმანიძე



გიორგი გოგოლაშვილი



იური შაშვილი



რაში ეთანხმება და რაში — არა პროფესურა სტუდენტებს რექტორობის კანდიდატებთან დაკავშირებით?


**სტუდენტების
არგუმენტი
არგუმენტი
და თან
ბასათვალის-
წინააღმდეგობა
პროფესორის —
არა?**



მიხეილ ბახტაძე



გიორგი ლომაშვილი



კატია გაბუნია



მანანა ხაჩიძე



ნანა მერაბიშვილი

მეშვიდე გვერდიდან

არ მინდა დეტალებს ჩაეზღვრა და გამოვეყენო ახალგაზრდებს (ჩვენ გვევალე, რომ მათ გაგებით მოვეყიდოთ, მოვეფეროთ და დაფუყავით). ჩემი გადასახედიდან, ავტონომია ძალიან ბევრჯერ შეილახა უნივერსიტეტში — შეილახა იმ არჩევებით, რომელიც ტარდებოდა (აკადემიური პერსონალის კონკურსებსაც ვგულისხმობ). ასე რომ, ნამდვილად არ ვიცი — რა საფუძველი აქვთ პროტესტანტ სტუდენტებს ამ ქრილში გია შარვაშიძესთან მიმართებით. რაც შეეხება კითხვას, თუ რატომ გვყავს ცოტა რექტორობის კანდიდატი, ალბათ, არსებული კრიზისის პირობებში ბევრმა აარიდა თავი კონკურსში მონაწილეობას.

ლალი სურმანიძე, თსუ-ის ფსიქოლოგისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— უნივერსიტეტის მართვაზე რეალურად ორიენტირებული ხალხი ცოტაა. ახალი იდეებით დატვირთული პიროვნება ნაკლებია ჩვენთან და ამის გამო, ალბათ, რომ კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადები ცოტაა. შეიძლება ვიღაც სამთავრობო მხარდაჭერას ელოდა, რაც, მე რომ მკითხოთ, არც არავის აქვს, რადგან მთავრობა არ ცდილობს, რომ დღეს ჩაერიოს უნივერსიტეტის საქმეში. ეტყობა, ადამიანები, ჯერ კიდევ, ძველმოდურად აზროვნებენ და მხარდაჭერა გარეთ ეძებენ და არა უნივერსიტეტის შიგნით. მე პირადად არ მჯერა, რომ შარვაშიძე არის სამთავრობო კანდიდატი. დღეს კონტექსტი შეცვლილია და ადამიანები თავიანთ სფეროებში სრული თავისუფლება აქვთ — თავად მიიღონ გადაწყვეტილება და იზრუნონ კონკრეტულ ადგილებზე თავიანთი საქმეების გასაკეთებლად. შეუდარებლად უფრო თავისუფალი სიტუაციაა, ვიდრე იყო 4 წლის წინ. ვფიქრობ, რომ ხალხი მიდის ინერციით და ჰგონიან, რომ ისევ ვიღაცამ უნდა უბრძანოს, ზემოდასულებს და ა.შ. და ამ სტანდარტით უდგებიან შარვაშიძის კანდიდატურასაც. შესაძლოა არსებობდნენ ადამიანები, რომელთათვის ეს კანდიდატი მისაღებია და ლობირებენ, მაგრამ ამას არ ჰქვია სამთავრობო კანდიდატი.

გიორგი გომოლაშვილი, თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი:

— წინა კონკურსში 20-მდე კანდიდატი იყო და აქედან რამდენიმე საკმაოდ ღირსეული გახლდათ. ამ კონკურსში კი მხოლოდ სამი კანდიდატი. აქ ორი მომენტი შეიძლება იყოს — ერთი, გაიგეს, რომ რომელიღაც კონკრეტული პიროვნება აპირებს თავისი კანდიდატურის დაყენებას და მის გვერდით სხვებმა საჭიროდ აღარ მიიჩნიეს თავისი კანდიდატურის წამოყენება, ანუ საკუთარი თავი ღირსეულ კონკურენტად არ მიიჩნიეს. მეორე, შეიძლება ვიღაცა მართავს სიტუაციას და თუ ასეა, ძალიან ცუდია. ამ კითხვის პასუხად სხვას ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება ავტონომიის შეზღუდვის თემას, გამიჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ხელისუფლება თუ მოისურვებს ჩარევას, ყოველთვის შეძლებს და მოახერხებს. რაც შეეხება არგუმენტს,

რომ გიორგი შარვაშიძე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის პოსტზე მუშაობდა და ამიტომ მისი მოსვლით ავტონომია შეიზღუდება, ვერც ამას ვაგვიზიარებ. სხვათა შორის ჯანდაცვის მინისტრის უნივერსიტეტის რექტორად მოსვლას პროტესტი არ მოჰყოლია. ახლა რექტორის კანდიდატი ადამიანი, რომელიც უმაღლესი განათლების მართვის სპეციალისტია, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. თუ ეს პიროვნება ხელისუფლების მხრიდან მართულია, აუცილებლად გამოჩნდება და მერე, ზუსტად შეიძლება ამის თქმა. ახლა, რაიმე პროგნოზის გაკეთება, ძალიან რთულია. ვთქვათ და მოხსნა კანდიდატურა, მერე რა ხდება? წინასწარ ასეთი საუბარი გამართლებულად არ მიმაჩნია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ვიბრძვით საბიუჯეტო დაფინანსების მოპოვებისთვის და ბევრი გადაუჭრელი პრობლემა გვაქვს, ხელისუფლებასთან ნორმალური ურთიერთობა აუცილებელია. უნივერსიტეტი ძალიან ბევრ რამეს დაკარგავს, თუ უნივერსიტეტის რექტორად ისეთ პიროვნებას აირჩევენ, რომელიც ხელისუფლებასთან დაპირისპირებული იქნება. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არჩეული რექტორი მართული იყოს და აკეთოს ყველაფერი, რაც ხელისუფლებას მოუწდება და არა — უნივერსიტეტს. ეს ძალიან მალე გამოჩნდება და, ცხადია, მერე ვიტყვი ჩვენს სათქმელს. წინასწარ დასკვნების გამოტანა რთულია.

იური ანანიავილი, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის პროფესორი:

— ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში, ხალხმა ფუჭ შრომად მიიჩნია, კონკურსში მონაწილეობა. რეალურად რა მიზეზით მოხდა ეს ყოველივე, ამას ვერ გეტყვით. რაც შეეხება ავტონომიის საკითხს, ჩემი აზრით, რომ არჩევანის თავისუფლება ვერ წაართმევ ადამიანს. შემდეგი ეტაპია — რას გადაწყვეტს აკადემიური საბჭო? თუ გიორგი შარვაშიძეს კანონი არ უკრძალავს — შემოიტანოს განცხადება, მაშინ რატომ ირღვევა ავტონომია? თუმცა, რა პროცესები დგას ამ პიროვნების მიღმა, თუკი ამას გავანალიზებთ, შეიძლება ვინმეს მიეცეს საბაბი თქმისა, რომ ილაზება ავტონომიურობის პრინციპი.

მიხეილ ბახტაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— უნივერსიტეტიდან, ალბათ, იმიტომ არ წარმოადგინა მეტმა თავისი კანდიდატურა, რომ თვლიან — არ არიან მზად, რომ ღირსეულად და კარგად შეასრულონ ის მოვალეობა, რაც რექტორმა აკისრია. რექტორობა დიდი პასუხისმგებლობაა უნივერსიტეტის წინაშე, მითუმეტეს დღევანდელ ვითარებაში, რაც სახეზეა. ანუ გახდეს რექტორი, რთულია და ვფიქრობ, ეს არის მიზეზი, რის გამოც ბევრმა შეიკავა თავი კონკურსში მონაწილეობაზე.

ის, რომ მინისტრის მოადგილე გადადგა და მონაწილეობას იღებს არჩევნებში, ეს ფაქტი, ჩემი აზრით, ავტონომიას არ ზღუდავს, ვინაიდან კანონით არის განსაზღვრული, რომ ყველას აქვს

უფლება მიიღოს მონაწილეობა რექტორის არჩევნებში. რომც ჩვენგან კანონში, რომ მინისტრის მოადგილემ ან რექტორობის მოვალეობის შემსრულებელმა არ უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, ეს დისკრიმინაცია იქნებოდა. ავტონომია იმ შემთხვევაში დაირღვევა, თუკი ხელისუფლების მხრიდან დაფიქსირდება აკადემიური საბჭოს წევრებზე ზეწოლა, ხოლო ის, რომ მინისტრის მოადგილე გადადგა და დარეგისტრირდა რექტორობის კანდიდატად, ეს ავტონომიურობის დარღვევა ნამდვილად არ გახლავთ.

ბია ლომაშვილი, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი:

— ყველას თავისი მოსაზრება აქვს; ყველამ აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობა და გადაწყვიტა — არ იყაროს კენჭი რექტორის არჩევნებში. თუმცა საკვირველია, რადგან წინა არჩევნებზე მომსწრენი ვართ იმისა, რომ 15-ზე მეტი კანდიდატი გვყავდა. ვფიქრობ, დღესთვის სამივე ღირსეული კანდიდატურაა. რაც შეეხება ავტონომიის ხელყოფის თემას, ვფიქრობ, არ შეიძლება ადამიანს აუკრძალო რაიმე კონკურსში მონაწილეობის მიღება. ყველას კარგად ახსოვს 2009-2010 წლებში როგორ ხდებოდა უმაღლეს სასწავლებლებში ხელმძღვანელი პირების არჩევა და იგივეს გამოვრება არ შეიძლება. ვისაც აქვს სურვილი, არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს, ხოლო რა არჩევანს გააკეთებს აკადემიური საბჭო, ეს მხოლოდ საბჭოზეა დამოკიდებული. მოისმენენ სამივე კანდიდატის პროგრამა-კონცეფციას და შემდეგ ინდივიდუალურად გადაწყვეტენ — ვის მისცენ ხმა. არ მგონია, რომ დღეს ავტონომიის დარღვევა ხდება. გაიხსენეთ ევროპული ან ამერიკული ქვეყნები, სადაც სახელმწიფო მდივნები პოსტის დატოვების შემდეგ ხდებიან რექტორები, კანცლერები... არ მგონია, რომ შარვაშიძე ხელისუფლებისგან თავსამიზნეული კადრი იყოს — ასეთ ნაბიჯს ხელისუფლება არ გადადგამს! ეს ხდებოდა 2009-2010 წლებში, როდესაც ხელისუფლება უხეშად ერეოდა უმაღლესი სასწავლებლების მართვაში. ჩემზე, მაგალითად, როგორც აკადემიური საბჭოს წევრზე, არანაირი ზეწოლა არ ყოფილა. რაც შეეხება რეკომენდაციას, შეიძლება ვინმემ შარვაშიძის სასარგებლოდ ეს რეკომენდაცია გასწია — ეს, განა, რამეს ნიშნავს? ვინმე თოვით გვადგას თავზე? ვინმე გვაშინებს? — ეს ხომ ამ ხელისუფლების პირობებში გამორიცხულია... მთავარია არჩევნები ისე ჩატარდეს, რომ იყოს ოპერატიული, გამჭვირვალე; რომ კენჭისყრის შედეგების დათვლა მოხდეს ყველას თვალწინ, რათა არავინ ეჭვი არ შეიტანოს რამეში — ეს მიმაჩნია ყველაზე მთავარ საკითხად.

კატია გაბუნია, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— როგორც ჩანს, ბევრმა იმიტომ არ შემოიტანა კონკურსში განაცხადი, რომ განწყობა ასეთი — ჭიდილის აზრს ვერ ხედავენ გიორგი შარვაშიძესთან, რადგან, შეიძლება, ეს კანდიდატურა გამსვლელი იყოს. არ მგონია, რომ იყოს შიშის ან აზრის გამოთქმის პრობლემა.

ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს უფრო სიფრთხილესთან, რომ თავი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდონ.

ჩემი პირადი აზრით, რომ შარვაშიძის კანდიდატურა ქმნის გარკვეულ უხერხულობას, არა იმიტომ, რომ იგი მინისტრის მოადგილე იყო; მიმაჩნია, რომ რექტორი უნდა იყოს უნივერსიტეტი, კარგად ერკვეოდეს და კარგად უნდა იცოდეს საუნივერსიტეტო პრობლემები. მე ბატონი გიას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, იგი არის პროფესიონალი, მართვის მენეჯმენტის სპეციალისტი, მაგრამ, ვფიქრობ, უნივერსიტეტის პრობლემებთან შეხება აქამდე ნაკლებად ჰქონია.

ვერ ვიტყვი, რომ ავტონომია ასე ცალსახად იზღუდება, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არის ოფიციალური კადრი სამინისტროს მხრიდან. ასე რომ, სტუდენტთა მიერ საკითხის ასე დასმა, რომ ავტონომია იზღუდება, სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია. რატომ? იმიტომ, რომ დიდი ხნის მანძილზე იგი იყო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე და, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — ხომ არ არის იგი სახელისუფლო კანდიდატი, რაც ავტონომიურობის იდეას მეტ-ნაკლებად სხვაგვარად წარმოაჩენს. ასე ცალსახად მე არ ვუყურებ ამ საკითხს, მაგრამ, ფაქტია, ჩნდება კითხვები. ამ ეტაპზე მაინცდამაინც სახარბიელო კანდიდატად არც ერთი არ მიმაჩნია.

მანანა ხაჩიძე, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ზოგადად, არჩევნებისთვის ცუდი პერიოდია შერჩეული. რექტორის არჩევნები რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ყოფილიყო დანიშნული, ვფიქრობ, უფრო მეტი იაქტიურება კონკურსში მონაწილეობის თვალსაზრისით. ამან გამოიწვია, რომ არ აქტიურობს ის, ვინც, წესით, უნდა აქტიურობდეს. პოლიტიკაცია ხდება ყველაფრის — ამის ფონზე ვამბობ სწორედ, რომ ცოტამ გამოთქვა კონკურსში მონაწილეობის სურვილი. რაც შეეხება სტუდენტური პროტესტის სამიზნეს, ჩემი მოსაზრებაც ერთი ერთზეა: შარვაშიძე შეიძლება მეცნიერია, ჭკვიანია, მაგრამ უნივერსიტეტის რექტორს ერთი მეცნიერება მაინც უნდა ჰქონდეს ჩატარებული უნივერსიტეტში. მაჩვენეთ უნივერსიტეტელი, რომელიც იცნობს ბატონ გიას, როგორც პედაგოგს. ემუშავა ცოტა მეტი უნივერსიტეტში და მერე ეფიქრა რექტორობაზე. ის, რომ განათლების სისტემაში ნამუშევარი ადამიანია და რომ ევროპული განათლება აქვს, ეს არ ნიშნავს, რომ იცნობს უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის რექტორი უნდა იყოს უნივერსიტეტელი, რომელსაც უნივერსიტეტი სტკივა.

ნანა მერაბიშვილი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ალბათ უნივერსიტეტის პროფესურა უნდობლობას უცხადებს პროცესს, რადგან მხოლოდ ერთმა შემოიტანა ჩვენთან განაცხადი. ავტონომიურობის დარღვევის საშიშროების შესახებ კი პასუხი არ მაქვს.

მოამზადა ნინო კაკულიამ



გიორგი ბარამიძის ბიოგრაფიული ცნობები

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ბარამიძე დაიბადა 1967 წელს;

1975-1980 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე;

1985 წელს მიენიჭა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1994 წელს — ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი;

1979-1982 წლებში მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლაბორანტად, 1983-1987 წლებში — ასისტენტად;

1987-1999 წლებში იყო თსუ-ის უფროსი მეცნიერ-მუშაკი; ხოლო 1995-1999 წლებში — ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემათა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის უფროსი;

1996-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკის მართვის სასწავლო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელად;

2000-2012 წლებში იყო თბილისის სა-



ხელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; 2000-2005 წლებში იყო ფილოსოფიურ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე;

2013-2016 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;

გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მალალრე-

ტინგულ უცხოურ გამოცემებში; მათ შორის:

„ფანტაზია და მსოფლმხედველობა“ — 1993 წ.; „განცდა და პოეზია ვილჰელმ დილთაის შემოქმედებაში“ — 2009 წ.; „თანამედროვე ადამიანის ყოფნის ფენომენოლოგიურ-ჰერმენევტიკული ანალიტიკა“ — 2009 წ.; „ნეოპლატონიზმი თანამედროვეობის კონტექსტში“ — 2009 წ.; „დიანოიას“ გაგების ზოგიერთი ასპექტის შესახებ“ — 2010 წ.; „ფილოსოფიის გაგება მამარდაშვილთან“ — 2011 წ.; „ცვალებადობა და პრევენცია“ — 2012 წ.; „პლატონის ეპისტემოლოგიის ზოგიერთი ასპექტი“ — 2009 წ.; „მარსილიო ფიჩინოსეულ ინტერპრეტაციაში“ — 2012 წ.; „გრიგოლ რობაქიძის ჰერმენევტიკა“ — 2010 წ.; „ჰუმანიტარული ცოდნის ერთი ასპექტის შესახებ თანამედროვე ეპოქაში“ — 2009 წ.; „განათლება და ეროვნული საკითხი“ — 2010 წ.; „lingvistikis metafizika deridas Tan“ — 2012 წ.; „pistemology and Humanism in Marsilio Fichino's Epitome“ — 2011 წ.; „On a new model of knowledge“ — 2011 წ.; „Nietzschean motives in Zurab Kakabadze's philosophical

thinking“ — 2014 წ.; „taphysique de la linguistique chez Derrida“ - 2012; „General Aspects of Understanding “The Federalist” and Republicanism” - 2009 წ.;

არის ავტორი თარგმანებისა:

„დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა“ (მარტინ ჰაიდეგერი) — 1992 წ.; „თემზარა“ (ჰაიდეგერი) — 1992 წ.; „პოლიტიკა, როგორც მონოდეა და ხელობა“ (ვებერი) — 1993 წ.; „განსხვავება“ (ბურდიო) — 2005 წ.; „მოქმედების კომუნიკაციური თეორიის დამატებები“ (ჰაბერმასი) — 2002 წ.; „სეკურალიზაციის დიალექტიკა (ჰაბერმასი, რატცინგერი) — 2010 წ.; „ფედერალისტური წერილები“ (ჰამილტონი, ჯეი, მედისონი) — 2007 წ.; „თეატრის ანუ ცოდნის შესახებ“ (მარსილიო ფიჩინო) — 2012 წ.; „ნოვალისი“ (ჰერმან ჰესე) — 1989 წ.; „ნმ. გრიგოლ პალამას პაექრობა ფილოსოფოს გრიგორასთან“ — 2016 წ.; „ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია“ — 2010 წ.; ფლობს რამდენიმე უცხო ენას, სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.

გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიული ცნობები

გიორგი შარვაშიძე დაიბადა 1963 წლის 25 აპრილს ქალაქ თბილისში. 1984 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი; 2006 წელს — სულხან საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი დოქტორის აკადემიური ხარისხით განათლების მართვის მიმართულებით.

1984-1993 წლებში მუშაობდა თბილისის მე-6 გიმნაზიაში მასწავლებლად; 1988-1989 წწ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში იყო მთავარი ინსპექტორი; 1989-1990 წწ. — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანაშემწე; 1989-1990 წწ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 1990 წ. — აშშ-ში სამხრეთ მილოუქის სკოლაში (South Milwaukee High School WI, USA) „გაცვლითი“ მასწავლებელი (ვისკონსინის შტატი); 1991-1994 წწ. — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი; 1994-1996 წწ. — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;



1996-2000 წწ. — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე; 2001-2003 წწ. — უმაღლესი განათლების რეფორმის პროექტის (COE, OSI) საერთაშორისო ჯგუფის ხელმძღვანელი; 2000-2003 წწ. — განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) პრეზიდენტი; 2003-2004 წწ. — „ლია საზოგადოების ინსტიტუტის“ უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის

უფროსი მენეჯერი (ბუდაპეშტი, უნგრეთი). 2004-2013 წწ. — „ლია საზოგადოების ინსტიტუტის“ აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის (AFP) დირექტორი (ბუდაპეშტი, უნგრეთი). 2013-2016 წწ. (2016 წლის 9 სექტემბრამდე) — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე; 2015-2016 წწ. — განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი; 2016 წლის იანვრიდან — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული პედაგოგი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე „უმაღლესი განათლების პოლიტიკა“.

2015 წლიდან დღემდე არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; 2015 წლიდან დღემდე — საქართველოს კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს წევრი; 2015 წლიდან დღემდე — ბოლონიის პროცესის სადამკვირვებლო ჯგუფის (BFUG) მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე (სტრასბურგი); 2015 წლიდან დღემდე — ევროგაერთიანების უმაღლესი განათლების რეფორმის ექს-

პერტი (HERE); 2000 წელს გახლდათ ადამიანური რესურსების განვითარების ცენტრის ეროვნული დირექტორი (UNDP/ET); 1996-2000 წწ. — ევროპის საბჭოს განათლების კომიტეტში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი (სტრასბურგი); 1995-2000 წწ. — ევროპის განათლების ფონდის (ETF) მრჩეველთა ფორუმის წევრი (ტურინი); 1999-2000 წწ. — ევროპის განათლების ფონდის დსთ-სა და მონღოლეთის ქვეჯგუფის თავმჯდომარე (ტურინი); 1998 წ. — გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) საქართველოს ეროვნული კომისიის წევრი; 1993-1996 წწ. — „ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის“ ბიულეტენის (WWF Bulletin) სარედაქციო საბჭოს წევრი; 1993 წ. — „ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი საქართველო“-ს მთავარი მრჩეველი.

გავლილი აქვს პროფესიული ტრენინგები საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში.

არის განათლების სფეროსადმი მიძღვნილი არაერთი პუბლიკაციისა და მონოგრაფიის ავტორი. კარგად ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

არის დაოჯახებული, უპარტიო.

ცირა ბარამიძის ბიოგრაფიული ცნობები

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ცირა ბარამიძე დაიბადა 1962 წლის 16 მარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვავაშვიში.

1979 წელს, საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება, ხოლო 1990 წელს ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია დაღესტნურ ენათა მიმართულებით თემაზე „ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა თაბასარანულ ენაში“.

1990-1994 წლებში სწავლობდა თბილისის კონსერვატორიაში ნოდარ ანდლუღაძის კლასში.

1986-2002 წლებში მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლაბორატორიაში მეცნიერ-თანამშრომლად.

1990-2002 წლებში იყო კავკასიურ ენა-



თა კათედრის დოცენტი, 2002-2006 წლებში — ამავე კათედრის პროფესორი, 2006 წლიდან დღემდე არის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სრული პროფესორი და ხელმძღვანელი.

2002 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „თაბასარანული ენის

ფონემატური სტრუქტურა და მორფოლოგიის საკითხები“.

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების კვლევით, ორი კათედრის (კავკასიურ ენათა კათედრისა და კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრის) გაერთიანებით ინტერდისციპლინარული მიდგომის საფუძველზე დააარსა კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. ცირა ბარამიძის მიერ წარმოდგენილი კავკასიოლოგიის, როგორც სასწავლო-სამეცნიერო დარგის, განვითარების კონცეფცია, თანამედროვე მოთხოვნათა სტანდარტების შესაბამისად, ერთდროულად იყო ტრადიციულიცა და ინოვაციურიც. დააარსა ახალი მოდულები (აზერბაიჯანოლოგია, ოსოლოგია, არეალური ლინგვისტიკა).

სწავლების სამივე საფეხურისთვის აღადგინა რუსული სექტორი და შექმნა რუსულენოვანი პროგრამები, მრავალი ახალი საგანი დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ქართული და რუსული სექტორებისთვის. ამგვარი მიდგომის მიზანი იყო, თანამედროვე ბაზრის მოთხო-

ვნის შესაბამისად, ფართო პროფილის კავკასიოლოგიის ჩამოყალიბება, რომელიც, იმავდროულად, იქნება, კონკრეტული მოდულის მიხედვით, კავკასიოლოგიის ვიწრო სფეროს სპეციალისტიც. მიდგომა შეპირობებული იყო კავკასიის, როგორც მულტილინგვური და მულტიკულტურული სივრცის აღქმით. სასწავლო პროგრამის ამოქმედებისათვის შედგა არაერთი პრევენცია ახალი პროგრამებისა, მაგალითად, ოსური მხარის მონაწილეობით თსუ-ში (2007 წ.), ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (2007 წ.). ცირა ბარამიძე შექმნა კავკასიოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა.

დააარსა კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი: 2007 წელს ჩატარდა I „კავკასიური ცივილიზაცია მახლობელი აღმოსავლეთის ლინგვოკულტურულ კონტექსტში“; 2010 წელს კი II — „კავკასიური ცივილიზაცია — ისტორია და თანამედროვეობა“. 2013 წლის ოქტომბერში —

ცირა ბარამიძის ბიოგრაფიული ცნობები

მეცხრე გვერდიდან

III კონგრესი (მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში).

2012 წელს თსუ-ის რექტორის მომართვის საფუძველზე კავკასიოლოგიის ინსტიტუტმა გამართა რეგიონის ქვეყნების (თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) ერთობლივი ორგანიზებით საერთაშორისო სიმპოზიუმი „კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლინგვოკულტუროლოგია“.

2008 წელს მიწვეული იყო ესპანეთში ადამიანის უფლებათა დაცვის III კონგრესზე, სადაც, პირველმა პოსტსაბჭო-

თა სივრციდან, დასვა საკითხი ჩრდილო კავკასიის ენობრივი უფლებების დაცვის თაობაზე რუსეთის ფედერაციის ენობრივი სიტუაციის მექანიზმის მეცნიერულად არგუმენტირებული მხილებით.

ინტენსიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში სხვადასხვა ქვეყანაში.

არის რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული რამდენიმე გრანტის ხელმძღვანელი. არის 5 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ცირა ბარამიძემ 2009 წელს დააარსა სამეცნიერო საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიოლოგიური ძიებანი“.

გამოცა 6 ნომერი.

იგი არის 140-მდე ნაშრომის ავტორი, მათ შორის — 5 ნიგნისა (ოთხი მონოგრაფია).

ცირა ბარამიძე იყო თსუ-ის ორი მონვევის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი; 2007 წელს კი თსუ-ის წესდების შემდგენი კომისიის წევრი. თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის კავკასიისა და დიასპორას კომიტეტთან შესაბამისი პროფილით.

არის აკადემიკოს არნ. ჩიქობავას მიერ დაარსებული ლინგვისტური კავკასიოლოგიის ქართული სკოლის წარმომადგენელი; კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი 2006 წლიდან დღემდე. საერთაშორის-

სო აღიარების მქონე მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი.


2013 წელს იყო თსუ-ის რექტორობის კანდიდატი უნივერსიტეტის ავტონომიურობის პროგრამით. მონაწილეობას იღებდა 2016 წლის გაზაფხულის მოვლენებში პროფესორთა საინიციატივო ჯგუფში.

კითხულობს საჯარო ლექციებს ფართო საზოგადოებისათვის. მუშაობს კავკასიის ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივ სამეცნიერო პროექტებზე. არის კომუნიკაბელური, კოლეგიალური, მოტივირებული, დიდი გამოცდილების პროფესორი. არის საზოგადო მოღვაწე.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ მოყვანილი სტატია შეიცავს დაუსაბუთებელ ბრალდებას, ჩვენ მას ვაქვეყნებთ რაქტორობის კანდიდატის ბიოგრაფიის კატაგორიული მოთხოვნით. სტატია აკრიტიკებს თქვენი მართლაც მსოფლიო ტექნიკური მიზანით ვერ დაიხატა. აქვე გვინდა განვმარტოთ, რომ სტატიაში გაქვეყნებულ ბრალდებას ბატონი ბიოგრაფი დასაბუთებულად მიიჩნევს.

„აუდიტორია 115“-თან შეხვედრა და ბიოგრაფიული ცნობების ლექცია თემაზე: „ვის ეშინია უნივერსიტეტის“

„რატომ არის უნივერსიტეტი სუვერენიტეტისა და კრიტიკის საბოლოო ინსტანცია, რომელიც თავად კრიტიკასაც აკრიტიკებს?! უნივერსიტეტი რომელსაც უნდა შექონდეს არაძალადობრივი წინააღმდეგობის უფლება, როგორ უნდა გამოვიდეს ინტერპრეტაციათა მონოპოლიის წინააღმდეგ?! როგორ შექმნა სამინისტრო ბიუროკრატიაში „თვითმმართველობის სახით“ უნივერსიტეტებში პოლიტიკური პარტიზანი?! როგორ იქცა დეკანტები „სერვის-ცენტრებად“?! როგორ იქცა მთლიანად უნივერსიტეტი სპონსორებისა და თავაზიანი ექსპერტული დასკვნების სამყაროდ მაშინ, როდესაც ის აღარ წარმოადგენს სტუდენტებისა და პროფესორის ერთობას?! რა არის ცოდნის დისტრიბუცია და ვინ განსაზღვრავს დღეს მის სტანდარტს?!“ — აღნიშნულ თემებზე სასაუბროდ „აუდიტორია 115“-ის წევრები უნივერსიტეტიდან გათავისუფლებულ პროფესორს, ფილოსოფოსს გიორგი ბარამიძეს შეხვდნენ. ლექცია სახელწოდებით — „ვის ეშინია უნივერსიტეტის?“ — თსუ-ის პირველი კორპუსის 115-ე აუდიტორიაში გაიმართა.



უნივერსიტეტო ადმინისტრაცია გადმოვიდა. ადმინისტრაცია კი თავისი ბუნებით არის პოლიტიკური. ეს ყველაზე მძაფრად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვიცადეთ, თუმცა პრობლემა უმაღლესი განათლების სისტემას ეხება, — აღნიშნა ლექციაზე ფილოსოფოსმა გიორგი ბარამიძემ.

საჯარო ლექციაზე, ასევე, ისაუბრეს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის მიმართულე-ბაზე არსებულ ვითარებაზე. შეკრებილმა სტუდენტებმა სასწავლო და კვლევით პროცესებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება დააფიქსირეს.

„ბატონი გიას გაგდების შემდეგ უნივერსიტეტში სტუდენტთა თაობები შეიცვალა და შეიძლება ზოგი მის ისტორიას არ იცნობდეს. მე მისი ყოფილი სტუდენტი ვარ. ბატონი გია უნივერსიტეტიდან 2011 წელს გაუშვეს, რის შემდეგაც ძალიან ბევრმა ფილოსოფიის მიმართულების სტუდენტმა თსუ-ში მაგისტრატურის საფეხურზე სწავლა აღარ განაგრძო. ამ ფაქტს, ასევე, მოჰყვა სტუდენტების მძაფრი პროტესტი, გერმანული ფილოსოფიის ლეგენდამ ბუქჰარდტ მოიხიმა გამოგზავნა საპროტესტო ნერილი, სადაც იგი ბატონი გიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გაშვების გამო აღშფოთებას ვერ მალავდა. იგი მის ფილოსოფიურ მოღვაწეობას აფასებდა, როგორც ფილოსოფიის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას. პროტესტმა გარკვეული შედეგი გამოიღო — ბატონი გიას იგივე აკადემიური თანამდებობა რამდენჯერმე შესთავაზეს, მაგრამ მან პრინციპულად უარი განაცხადა დაბრუნებულობაზე. უნივერსიტეტი იმ კორუფციული რეჟიმისგან არ განიშინებოდა, რაც დღესაც სახეზეა და რომლის წინააღმდეგაც გამოდის „აუდიტორია 115“. ახლაც უამრავი სამარცხვინო ფაქტი ხდება თსუ-ში ფილოსოფიის

მიმართულებაზე. მაგალითად, ერთ-ერთმა პროფესორმა ანასტასია ზაქარიაძემ სტუდენტებს ინგლისური ენიდან ტექსტები ათარგმნინა და შემდეგ საკუთარ წიგნში დაბეჭდა. ეს გაუგონარი შემთხვევაა, რომელიც აუცილებლად უნდა კვალიფიცირდეს, როგორც კრიმინალი და ამ ადამიანმა მის კორუმპირებულ და არაკომპეტენტურ კოლეგებთან ერთად უნდა დატოვოს უნივერსიტეტი. პირდაპირ მიდის იმაზეც საუბარი, რომ ფილოსოფიის მიმართულების ერთ-ერთი პროფესორი ვალერიან რამიშვილი „ოდეერია“, ეს ინფორმაცია დაადასტურა ბატონმა მიხეილ გოგატიშვილმა,

— განაცხადა გიორგი ბარამიძის ყოფილმა სტუდენტმა ლექსო დორეულმა.

ლექსო დორეულს ამ განცხადებას დამსწრეებიდან გამოეხმაურა რამდენიმე სტუდენტი, რომლებმაც დაადასტურეს მისი განცხადება პროფესორ ანასტასია ზაქარიაძესთან მიმართებით და განაცხადეს, რომ ისინი მართლაც იყვნენ ამ პროფესორის მსგავსი უკანონო ქმედების მსხვერპლნი და ანასტასია ზაქარიაძემ მათი თარგმანები მართლაც მიითვისა.

ფილოსოფოს გიორგი ბარამიძეს „აუდიტორია 115“-ის წევრები 21 აპრილს შეხვდნენ.

„აუდიტორია 115“-ის სტუდენტებთან შეხვედრისას პროფესორმა გიორგი ბარამიძემ ე.წ. ოდეერების სისტემაზე გაამახვილა ყურადღება. მან ასევე, უმაღლესი სასწავლებლების დანიშნულებაზე და თანამედროვე ქართულ უნივერსიტეტებში პროფესორებისა და სტუდენტების მდგომარეობაზე ისაუბრა.

„ვის ეშინია უნივერსიტეტის? — პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ უნივერსიტეტის ეშინია სახელმწიფოს და სახელმწიფოსთან ერთად ეშინია ყველა იმ ინსტიტუციას, რომელსაც პრეტენზია აქვს განუყოფელ სუვერენიტეტზე. მინდა შევეხო ამ ყბადაღებულ „ოდეერების“ თემას, თუ ვინ არიან ისინი, ეს იმდენად მნიშვნელოვანი აღარ არის, რადგან მნიშვნელოვანია „ოდეერების“ შესახებ დისკურსი. რეალობა, რომელიც ცხოვრობს, არის სიმბოლური და მოითხოვს ჩვენგან ანგარიშის განევას. „ოდეერების“ დისკურსი უპირისპირდება საუნივერსიტეტო იდეას, უნივერსიტეტის სტრუქტურას, რომელიც არის პროფესორებისა და სტუდენტების კორპორაცია. დღეს ეს კორპორაცია დაშლილია. ობიექტურები უნდა ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ ეს მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრობლემა არ არის. მიმანია, რომ ეს პრობლემა მაშინ შეიქმნა, როდესაც წინა პლანზე საუ-

გამოხედავება

ანასტასია ზაქარიაძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი, ანთიმოზ ივერიელის სახელობის ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი:

— რა კომენტარი შემიძლია გავაკეთო ამასთან დაკავშირებით? — ეს გახლავთ ბინძური ცილისწამება — კომკავშირულ-პუნჯიბინური ცილისწამებისა და „დაბეჭდების“ ტიპური ნიმუში. ჩემი აზრით, ეს განსაკუთრებით საშიში სიმპტომია: როგორც ჩანს, იწყება ტერორი, არა, ზოგადად, თსუ-ის და მისი აკადემიური პერსონალის, არამედ, პერსონალურად, პროფესორების წინააღმდეგ, სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვა: დაცული აღარავინ არ ვართ? რადგან თსუ-ის გახეთი იძულებულია უდანაშაულობის პრეზუმფციის ფუძველზე-გათოვლით ამგვარი მასალა გამოაქვეყნოს... ჩემთვის გაუგებარია, რომელ ჩემს წიგნზე და რა თარგმანზე საუბარი, რომელიც იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალში თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპის მაღალრეიტინგულ ჟურნალებშია დაბეჭდილი? სტუდენტები ჩემ მიერ თარგმნილი ტექსტებით მარაგდებიან, ხოლო ამერიკული პრეზუმფციისა და ამერიკული ფილოსოფიის სფეროში პუბლიკაციები ჩემ მიერ არის გამართული და რედაქტირებული ინგლისურად. ამიტომ ჩემთვის გაუგებარია ეს ცრუ „დაბეჭდება“.

ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ფრიდრიხ ნიცშეს „resentment“-ის ცნება, რაც უძღურთა შურისძიების ნყურვილს ნიშნავს — ამ შემთხვევაში შემოქმედებით უძღურებს ვგულისხმობ. ეს კი შესაძლებელია არასრულფასოვნების კომპლექსის გამოხატვა იყოს.

ვალერიან რამიშვილი, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:

— ეგლა მაკლია, რომ გოგიაშვილთან და ბარამიძესთან ჩავერთო კამათში. რაც შეეხება „ოდეერობას“, ვინ ვინ არის — ეს ინფორმაცია ძალიან ადვილი გადასამონმეხელია. სირცხვილია, რომ გიორგი ბარამიძე რექტორობის კანდიდატად საერთოდ დარეგისტრირდა. „ოდეერები“ მის უახლოეს მეგობრებში მოიკითხოს.



აკადემიური საბჭოს რა წინასწარ განწყობებზე საუბრობს „აუდიტორია 115“?

გავრცელდა ჭორები, რომ „აუდიტორია 115“ დაიშალა, თუმცა, მისი წევრების თქმით, ეს მტკნარი სიცრუეა და რექტორის არჩევნების წინ აქტიურ კამპანიას იწყებენ უნივერსიტეტის ავტონომიისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების მოთხოვნით – ეს განცხადება „აუდიტორია 115“-ის წევრებმა 17 სექტემბერს, სტუდენტებთან შეხვედრაზე გააკეთეს, სადაც ასევე ცნობილი გახდა, რომ რექტორის არჩევნებამდე „115“-ის წევრები შეხვედრებს გეგმავდნენ როგორც პროფესორ-მასწავლებლებთან და უნივერსიტეტის ბედი დაინტერესებულ ყველა ადამიანთან, ასევე რექტორობის კანდიდატებთანაც.

კანდიდატებთან შეხვედრა 20 სექტემბრისთვის დაიგეგმა, თუმცა უკვე 19 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ აუდიტორიის წევრები გიორგი შარვაშიძის რექტორად არჩევის წინააღმდეგნი არიან და აპირებენ, ბოლომდე იაქტიურონ, რათა უნივერსიტეტში ისეთი არჩევნები გაიმართოს, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს სხვადასხვა გავლენის ჯგუფების ჩაურევლობას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

„აუდიტორია 115“ არ დაუშვებს და ეცდება, რომ გიორგი შარვაშიძემ, რომელმაც ვერ გაბედა და მინისტრის მოადგილედ ყოფნისას ვერ გადადგა რეალური ცვლილებებისკენ ნაბიჯები, ვერ მოახერხოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება და შემდგომ გამარჯვება“, – აცხადებენ სტუდენტური გაერთიანების წევრები. როგორი იქნება მათი შემდგომი მოქმედებები, ჯერჯერობით, უცნობია, რადგან 19 სექტემბერს, პროფესორ-მასწავლებლებთან გამართული შეხვედრის შემდეგ, მედიისთვის და უცხო პირებისთვის „აუდიტორია 115“-ის შეხვედრა დაიხურა, რადგან სტუდენტებმა სამომავლო სამოქმედო გეგმის გასაჯაროება არ მოინდომეს.

რაც შეეხება პროფესორ-მასწავლებლებთან გამართული შეხვედრის დეტალებს, შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრაზე სულ რამდენიმე მათგანი მოვიდა და დიდი დაინტერესება არც აკადემიური საბჭოს წევრებს გამოუხატავთ. ერთადერთი, ვინც საბჭოს წევრებიდან შეხვედრაზე გამოჩნდა, ბატონი ნოდარ ბელქანია იყო, რომელმაც საბჭოს სხდომის დაწყებამდე რამდენიმე წუთით შემოიარა, სტუდენტებს გაესაუბრა და ისე წავიდა, მედიასთან ღია



განცხადებები არ გაუკეთებია. თუმცა, როგორც სტუდენტებისგან შევიტყვეთ, ნოდარ ბელქანია იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ აკადემიური საბჭოს უნდა გააჩნდეს გარკვეული თავისუფლება, რათა მიიღოს იმგვარი გადაწყვეტილება, რომელიც დაცლილი იქნება გავლენებისგან.

„აუდიტორია 115“-ის წევრის ნათია ქარჩილაძის თქმით, ნოდარ ბელქანიამ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს გარკვეული წინასწარი განწყობები აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ გახდება რექტორი და ვინ რომელი კანდიდატის მხარდამჭერი იქნება საბჭოში. თუმცა, არის რამდენიმე ადამიანი, ვინც არ ითვალისწინებს ეგრეთწოდებულ ზენოლებს: „ბატონი ნოდარი ამბობდა, რომ მისთვის არ დაურეკავთ, თუმცა, იყო გარკვეული საუბრები იმაზე, რომ საბჭოს წევრებს ურეკავდნენ და ეუბნებოდნენ, შარვაშიძისთვის მიეცათ ხმა“, – აღნიშნავს ნათია ქარჩილაძე.

„იმედი გვაქვს, რომ აკადემიური საბჭო ერთხელ მაინც გამოიჩინებს პრინციპულობას და არ აიჩრჩევს ამ კანდიდატურას. თუ შარვაშიძის კანდიდატურა ჩავარდება, გამოცხადდება ხელახალი არჩევნები და 50 დღის განმავლობაში ახალი კანდიდატები შეიტანენ განაცხადს რექტორის თანამდებობის დასაკავებლად. თუმცა, გამოცდილებიდან გამომდინარე, ძნელია იმ საბჭოს პრინციპულობის იმედი გვექონდეს, რომელმაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ შეძლო გაეკეთებინა საჯარო განცხადებები და ყოფილიყო ავტონომიური“, – ამბობს „აუდიტორია 115“-ის კიდევ ერთი წევრი გიორგი სოფრომაძე. მისივე თქმით, ჯერჯერობით არენა აკადემიური საბჭოს რჩება, რომელსაც აქვს არჩევანი და შეუძლია, ერთხელ მაინც მიიღოს პროგრესული გადაწყვეტილება.

რას მოილოქმედებს „აუდიტორია 115“ გიორგი შარვაშიძის რექტორად არჩე-

ვის შემთხვევაში, ამას სტუდენტები არ აკონკრეტებენ, თუმცა, არც იმას უარყოფენ, რომ პროტესტის გარკვეულ ფორმებს მიმართავენ.

სხვა კანდიდატებთან დაკავშირებით სტუდენტები პოზიციას არ აფიქსირებენ და ამბობენ, რომ მკაფიოდ არიან ჩამოყალიბებულები იმაზე, ვის მიმართაც აქვთ წინააღმდეგობა. „შარვაშიძე ცალსახად მიუღებელია. ამასთან, რექტორის კანდიდატების რაოდენობა არის ძალიან მცირე, რჩება შთაბეჭდილება, რომ უკვე მომზადებულია კანდიდატი საიმისოდ, რათა გახდეს რექტორი, რასაც ბუნებრივია „აუდიტორია 115“ არ დაუშვებს“, – აცხადებს გიორგი სოფრომაძე.

„აუდიტორიის“ წევრები კიდევ ერთხელ აკონკრეტებენ, რომ მათთვის მთავარი მიზანი უნივერსიტეტის რეალური ავტონომიაა, რაც ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას გულისხმობს, რომელიც თავისუფალი იქნება შიდა და გარე ჩარევებისგან. გარე ჩარევებში სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურები და პოლიტიკური ჯგუფების ინტერესები მოიაზრება, შიდა ჩარევებში კი, იმ კლანების გავლენები, რომლებიც უნივერსიტეტის შიგნით ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობენ. მათ შორის აუდიტორიის წევრები სტუდენტურ თვითმმართველობასაც ასახელებენ და კვლავ მოითხოვენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის გადახედვას და 45-ე მუხლის გაუქმებას, რომელიც სტუდენტების კონკრეტული ჯგუფების პრივილეგიებულ მდგომარეობაში ჩაყენების საშუალებას იძლევა.

იზიარებენ თუ არა პროფესორ-მასწავლებლები „აუდიტორია 115“-ის მოსაზრებებს, ძნელი სათქმელია, რადგან 19 სექტემბერს გამართული შეხვედრით მხოლოდ რამდენიმე მათგანი დაინტერესდა. ჩვენს შეკითხვაზე, რატომ აქტიურობენ

პროფესორ-მასწავლებლები ნაკლებად და რატომ ისმის მხოლოდ სტუდენტების მოთხოვნები, პროფესორი ლელა გაფრინდაშვილი ამბობს, რომ ადამიანებს აქვთ შიშის ინერცია და ფიქრობენ, რომ მათ პროტესტსა და აქტიურობას სავალალო შედეგები მოყვება. „აქედან გამომდინარე, ალბათ, იკავებენ თავს, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტის პროფესორების აქტიურობის და მათი პოზიციების გასაჯაროების გარეშე შეუძლებელია პროცესი სრულფასოვანი და სანდო იყოს“, – აცხადებს ლელა გაფრინდაშვილი. მისივე თქმით: „რექტორის არჩევანთან დაკავშირებით, იყო მოლოდინი, რომ მეტი კანდიდატი იქნებოდა წარმოდგენილი, თუმცა, პროფესორების ნაწილმა ჩათვალა, რომ ეს არის ჩაბმა ისეთ კონკურენციაში, სადაც წარმატების გარანტია ძალიან დაბალია. ზაფხულშივე იყო ცნობილი და ამის შესახებ უნივერსიტეტში ბევრი საუბრობდა, რომ განათლების მინისტრის მოადგილე იქნებოდა ერთ-ერთი კანდიდატი და ასეც გამოვიდა. ასევე, რაც ამჟამად არის ცნობილი და რასაც ამბობენ პროფესორები, დიდია ალბათობა, ბატონი გიორგი შარვაშიძე გახდეს რექტორი“.

უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებსა და გარდაქმნების აუცილებლობაზე საუბრობს პროფესორი ნანა გუნცაძეც, რომელიც ასევე ეხსენებოდა გუშინდელ შეხვედრას: „სტუდენტებს არ უნდათ თავისუფალი რექტორის კანდიდატურა და არც მე მინდა. მძიმე მდგომარეობაა უნივერსიტეტში, ბევრია შესაცვლელი და მომწონს სტუდენტების დამოკიდებულება, რომ არ ეგუებიან ამ ყველაფერს“.

„აუდიტორია 115“-ის წევრების თქმით, მათ მოთხოვნებს სხვა პროფესორ-მასწავლებლებიც იზიარებენ და მხარდაჭერასაც აფიქსირებენ.

მოამზადა ლელა კურდღელაშვილმა

ხანდიდატებთან შეხვედრა

სტუდენტური თვითმმართველობა რეპრეზენტაციას საჭიროებს!

გიორგი შარვაშიძის შეხვედრა „აუდიტორია 115“-თან

„აუდიტორია 115“-თან შეხვედრა რექტორობის კანდიდატმა გიორგი შარვაშიძემ დაინიშნა თავისი საარჩევნო კონცეფციის გაცნობით, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, ხაზი გაუსვა სტუდენტებისთვის საინტერესო საკითხებს, კერძოდ: კვლევის დაბრუნებას სასწავლო პროცესში და ამისთვის სხვადასხვა მექანიზმების შემოღებას სწავლების სამივე საფეხურზე; ამ კომპონენტში მან განსაკუთრებით გამოკვეთა მოქნილი საგრანტო სისტემის შემოღება, რომელიც, მისი თქმით, ხელს შეუწყობს პროფესორებს – ჩააბან კვლევაში სტუდენტები. ასევე გამოკვეთა სასწავლო და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების საჭიროება და ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოწესრიგების აუცილებლობა, რო-

მელიც უფრო მოქნილს გახდის სტუდენტურ ბაზებსა და აკადემიური რეგისტრაციის პროცესს. გიორგი შარვაშიძემ კონცეფციის გაცნობისას მნიშვნელოვანი დრო დაუთმო საერთო საცხოვრებლის კეთილმოწყობის საკითხს, რომელიც, მისი თქმით, უნივერსიტეტს მისცემს შესაძლებლობას, სოციალურად მოტივირებული სტუდენტებისთვის, გიორგი შარვაშიძის აზრით, მეტ მოტივაციას გაუჩინოს წარჩინებულ სტუდენტებს სწავლისათვის.

რაც შეეხება უნივერსიტეტის შიდა მონაცემების საკითხს, რექტორობის კანდიდატის გიორგი შარვაშიძის აზრით, უნდა მოხდეს დეცენტრალიზაცია. მისი თქმით,

„უნივერსიტეტში არსებული სტრუქტურა დისბალანსურია“ და ამ საკითხის მოგვარებაზე სერიოზული მუშაობა ჩატარდება. უნივერსიტეტი ის სივრცეა, სადაც უნდა მიმდინარეობდეს არა მხოლოდ დისკუსია, არამედ უნდა შეიძლებოდეს პოზიტიური ცვლილებების შეთავაზება სახელმწიფოსთვის. ის პოტენციალი, რომელიც აქვს უნივერსიტეტს, მეტ გაფრთხილებას მოითხოვს და ოპტიმალური მართვის პირობებში შეიძლება შეიქმნას პირობები იმისა, რომ გაცილებით სწრაფად გადავიდეთ განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე“, – აღნიშნა მან.

კონცეფციის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ სტუდენტებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

„აუდიტორია 115“-ის წევრმა ნათია ქარჩილაძემ აღნიშნა, რომ რექტორობის კანდიდატს სტუდენტებთან შეხვედრაზე არ უხსენებია, როგორ უყურებს იგი გარე რეფერირების საკითხს, არ უხსენებია, სტუდენტური თვითმმართველობა და გაზაფხულის აქციებზე დასმული პრობლემების მოგვარების გზები. იგი დაინტერესდა, რატომ თქვა უარი ბატონმა გიორგიმ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე, როცა მას მეტი ბერკეტი ჰქონდა ხელთ სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარებისა და იმ საკანონმდებლო



სტუდენტური თვითმმართველობა რეზინდინგს საჭიროებს!

გიორგი შარვაშიძის უნივერსიტეტი „აუდიტორია 115“-თან

მეთერთმეტე გვერდიდან

ცვლილებებისთვის, რაზეც კონცეფციაში ისაუბრა და რაც პირდაპირ მიემართება სახელმწიფო ორგანოებისკენ. აღნიშნულ საკითხებზე გიორგი შარვაშიძემ ვრცლად ისაუბრა: „მინისტრის მოადგილე არის პოლიტიკური თანამდებობა და გუნდის წევრი. ეს გუნდი მოვიდა სათავეში და აკეთებს საქმეს. მას შემდეგ, რაც ეს თანამდებობა დავიკავე, 2013 წლიდან, ბევრი რამ გაკეთდა: როცა საქართველოში დავბრუნდი, აქ იყო დანგრეული ბაზები; 180-ლარიანი მეცნიერი, რომელსაც არ ჰქონდა იურიდიული სტატუსი; მეცნიერება, რომელიც არ იყო დაახლოებული სწავლებასთან; 42 კვლევითი დაწესებულება, რომელიც მიუთითებდა იყო სხვადასხვა უნივერსიტეტზე და, რეალურად, ჰაერში ეკიდა. პირველი, რაც გავაკეთეთ, ეს იყო მეცნიერის პრესტიჟის აღდგენა. 250 პროცენტით გაიზარდა ანაზღაურება, 300 პროცენტით გაიზარდა ამ ინსტიტუტების დაფინანსება, გარემონტდა რამდენიმე ბაზა, მათ შორის, თსუ-ის III კორპუსი, აგლადის სახელობის ქიმიის ინსტიტუტი, მორფოლოგიის ინსტიტუტი, ელექტრონული ინჟინერიის ფიზიკის ინსტიტუტი და ა.შ. პირველი ნაბიჯები გადადგმულია და ამას შემდგომი ცვლილებები მოჰყვება“.

სტუდენტები დაინტერესდნენ, თუკი, სახელმწიფო მფლობელობაში არსებული თსუ-ის საერთო საცხოვრებელს ქვეყანა ვერ უვლის, როგორ მოახერხებს უნივერსიტეტი მის გარემონტებას თანამედროვე დონეზე? რაზეც, ბატონმა გიორგიმ უპასუხა, რომ სახელმწიფომ უკვე აავსო 320 ადგილიანი სტუდენტური საცხოვრებელი ლისის ტბაზე. რაც შეეხება თსუ-ის საერთო საცხოვრებელს, იგი აპირებს მის გარემონტებას. შეხვედრაზე სტუდენტებმა (კონკრეტულად, გიორგი არაბულიძემ) აღნიშნეს, რომ ისინი მთავრობამ მოატყუა, რადგან დაჰპირდა თვითმმართველობის გაუქმებას, სტუდენტური თვითმმართველების ახალი ფორმების შექმნამდე გარდამავალი პერიოდის გამოცხადებას და „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში სათანადო ცვლილებების შეტანას, რასაც, მათი თქმით, მაშინდელ მინისტრთან, თამარ სანიკიძესთან ერთად, გიორგი შარვაშიძეც ეთანხმებოდა. სტუდენტების ამ პრეტენზიას გიორგი შარვაშიძემ უპასუხა, რომ იგი არასოდეს ყოფილა სტუდენტური თვითმმართველობის გაუქმების მომხრე, რადგან თვითმმართველობა არის მმართველობის ფორმა და ეს მოთხოვნა ნონსენსია.

აქვე კამათი გაიმართა იმის თაობაზე, მოხდა თუ არა რეალურად ფაქტი, როცა „აუდიტორია 115“-თან შეთანხმებული ცვლილება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში 45-ე მუხლის გაუქმების შესახებ, ამავე ორგანიზაციის სხვა წევრების მოთხოვნის შედეგად, ჩანაცვლდა 43-ე მუხლის



ცვლილებით, რაც ამ საკანონმდებლო ცვლილების მიუღებლობის მიზეზი გახდა. სტუდენტები აცხადებდნენ, რომ ამგვარი ფაქტი არ ყოფილა, რექტორობის კანდიდატი კი პასუხობდა, რომ მას სწორედ ასეთი ინფორმაცია ჰქონდა. „ჩვენ ვსაუბრობდით 45-ე მუხლის გაუქმებაზე, რომელიც აკანონებდა სტუდენტურ თვითმმართველობას, როგორც სტუდენტების ერთადერთ ნარმომადგენლობით ორგანოს. რაც შეეხება ჩვენ მიერ შემოთავაზებულ 43-ე მუხლს, მასში გარკვევით ნერია, რომ თუკი სტუდენტებს აქვთ სურვილი, მიიღონ მონაწილეობა სტუდენტურ ცხოვრებაში, განხორციელონ სხვადასხვა პროექტები, ჩაატარონ ღონისძიებები, მათ თავისუფლად შეუძლიათ, დამოუკიდებლად გაერთიანდნენ სხვადასხვა ჯგუფებში და ამ გზით იმოქმედონ. ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ გაუქმებულიყო 45-ე მუხლი და ალტერნატიული მოდელი წარმოვადგინეთ, თქვენი მხრიდან კი იყო პასუხი, რომ ეს არ მოხდებოდა მაშინ, როცა პრემიერ-მინისტრიდან დანაცვებული, ჩვენ ვიღებდით დაპირებას“, — განაცხადა გიორგი სოფრომაძემ. „ნამდვილად არ ვიყავი იმ შეხვედრაზე, რომელზეც ეს დაპირებები მიიღეს“, — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ — „მაგრამ, როგორც ჩემმა კოლეგებმა მითხრეს, თქვენ შეთანხმებული იყავით 45-ე მუხლზე და ბოლოს შემოიტანეთ ცვლილება 43-ე მუხლში, რაც, თავის მხრივ, კიდევ სხვა პროცედურებს მოითხოვდა და მისი ცვლილება ფიზიკურად ვეღარ მოხდებოდა“, — დასძინა მან.

სტუდენტმა მარიამ ბაღდავაძემ აღნიშნა, რომ „აუდიტორია 115“-ს არ დაუხვევია უკან, რომ მას უნდოდა 45-ე მუხლის ამოღება, მაგრამ, ამის მზაობა მთავრობის მხრიდან არ იყო და გარდამავალ პერიოდში, სანამ სტუდენტური თვითმმართველების ახალი მოდელი შეჯერდებოდა, სტუდენტური ცხოვრება დროებით რეგულირდებოდა 43-ე მუხლით. „კიდევ ერთხელ ვამბობ — რადგან

შეიქმნა კრიზისი და დაისვა კითხვის ნიშანი, ის ფორმა, რა ფორმითაც არსებობს სტუდენტური თვითმმართველობა, საჭიროებს ცვლილებას. ამ სახით ის არ უნდა არსებობდეს და საჭიროა რეზინდინგი“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

გიორგი სოფრომაძის და გიორგი ჯავახიძის კითხვებზე — როგორ აპირებს რექტორობის კანდიდატი სოციალურად შეჭირვებული სტუდენტების დახმარებას, მათ ხელშეწყობას დასაქმებაზე, დამსაქმებლებთან ურთიერთობას და გარე რეფერირების საკითხის მოგვარებას, გიორგი შარვაშიძემ უპასუხა, რომ ხარისხის გაუმჯობესება უნივერსიტეტისთვის იმპერატივაა, ხოლო რაც შეეხება სტუდენტების სამუშაოზე დამყარებულ სწავლებას, ეს შეიძლება განხორციელდეს ბევრი, მაგრამ არა ყველა მიმართულებით: „სამუშაოზე დამყარებული პრაქტიკა შეიძლება განხორციელდეს იმ მიმართულებებში, რომელიც ორიენტირებულია შრომით ბაზარზე, მაგრამ, იქ, სადაც არის ფუნდამენტური მეცნიერება, სწავლება უნდა იყოს დაკავშირებული კვლევასთან და სამეცნიერო ლაბორატორიებთან, სადაც სტუდენტი ბაკალავრიატიდან უნდა იყოს ჩართული. როდესაც რეიტინგებზეა საუბარი, ჩემთვის რეიტინგი არის ის, თუ როგორ საქმდება უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ამას ხელი უნდა შეუწყოს უნივერსიტეტის კონტაქტებმა. რაც შეეხება არასაბაზრო მიმართულებებს, რომელიც სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს, გვულისხმობს, 21 სპეციალობის ჩამონათვალს, ვფიქრობ, ეს ჩამონათვალი გადასახედილია და მეტი მხარდაჭერა უნდა მიეცეს სტრატეგიულ მიმართულებებს. უმაღლესი განათლების მთავარი ფუნქციაა, დასაქმებასთან ერთად, არის სამოქალაქო აღზრდა და იმ უნარების მიცემა, რომელიც ადამიანს საშუალებას მისცემს

— თავად დასაქმდეს და საქმის გამოგონებელი გახდეს“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

რაც შეეხება გარე რეფერირებას, რექტორობის კანდიდატის თქმით, ეს აუცილებელი მექანიზმია და უნდა არსებობდეს გარე დაკვირვება და შეფასება, ასევე პროგრამები, რომელიც გაცემს ერთობლივ დიპლომს, რაც ასევე არის გარე აღიარების მექანიზმი: „მე ვაპირებ შემოვიყვანო ამ თამაშში სერიოზული ევროპული სააკრედიტაციო სააგენტოები და ბევრი მიმართულებით დავინყოთ ერთობლივი სწავლება დასავლეთის სხვადასხვა ნამყვან უნივერსიტეტთან ერთად. რაც შეეხება მეცნიერებს, მათი გარე რეფერირებაც ჰაერით საჭიროა, მაგრამ ამისთვის უნდა შეიქმნას მზაობა. სხვადასხვა ქვეყანა და უნივერსიტეტი სხვაგვარად ახორციელებდა ამას. მაგალითად, ესტონეთმა გამოაცხადა, რომ 4 წელი სჭირდებოდა, რათა მიეღოთ სრულიად სხვა განვითარებული განათლების სისტემა. გარე რეფერირების შემოღებასთან ერთად უნდა შემოიღო დამხმარე მექანიზმები მეცნიერებისა და პროფესორებისთვის, უნდა არსებობდეს ღია არხები კომუნიკაციისთვის, უნდა არსებობდეს ცოდნა — როგორ მოამზადო და დაბეჭდო კვლევა, რაც უნდა ისწავლებდეს სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე. მგონია, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ შევძლებთ, მთელი უნივერსიტეტი გადავწყვიტოთ გარე რეფერირებაზე“, — აღნიშნა მან.

გიორგი შარვაშიძის აზრით, ავტონომიის პრინციპი შეუვალა, მაგრამ ამას უნდა ახლდეს ანგარიშგაღებულება. „ეს არის საზოგადოების თანხები და მას უნდა ჩაბარდეს ანგარიში ნებისმიერი თანხის გახარჯვაზე, იქნება ეს კვლევები, თვითმმართველობა თუ სხვა ორგანიზაციები. ბიუჯეტის ხარჯვა უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე ყველასთვის და არა რომელიმე ჯგუფისთვის, რაოდენ კარგი ჯგუფიც უნდა იყოს ის“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

სტუდენტების კითხვაზე — იყო თუ არა გიორგი შარვაშიძის მოსვლა ზემოდან დაგეგმილი, რადგანაც ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი ლალო პაპავა, მისივე თქმით, სახელმწიფოს გარკვეული ორგანოების მხრიდან ზეწოლის შედეგად გადადგა, რექტორობის კანდიდატმა უპასუხა, რომ მის მიერ რექტორის არჩევნებში მონაწილეობა არავითარი „სუპერ-გეგმის ნაწილი“ არ ყოფილა, იგი გადადგა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერთო არჩევნებში.

გიორგი შარვაშიძის აზრით, თუ აკადემიური საბჭო გამოუცხადებს მას ნდობას და აირჩევს რექტორად, იგი მზადაა ნებისმიერ სტუდენტთან ერთად განიხილოს და გააანალიზოს პრობლემური საკითხები, რადგან მხოლოდ დიალოგის გზით შეიძლება სტუდენტების ნდობის მოპოვება.

მანია ტორაძე

„აუდიტორია 115“ გიორგი შარვაშიძის კონცეფციას იზიარებს

გარე რეფერირების დანერგვის აუცილებლობა — ეს გახლდათ მესიჯი, რომელიც რექტორობის კანდიდატმა გიორგი შარვაშიძემ „აუდიტორია 115“-თან შეხვედრაზე გააუქმა. „გარე რეფერირება“ არის საშუალება, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ „მოჯადოებულ წრეს“ გაარღვევს“, — აღნიშნა მან. კანდიდატის განცხადებით, მოქმედებს ე.წ. კლანური სისტემა, რაც ბიუჯეტის არასწორ ხარჯვას, კონკურსებში არაკვალიფიციური აკადემიური პერსონალის შერჩევას, შედეგად სახელმძღვანელოების დეფიციტს, სწავლების, კვლევის პროცესის განუვითარებლობას, აკადემიური კორუფციას და, ზოგადად, აკადემიური გარემოს მოშლას განაპირობებს.

„გარე რეფერირება დაგვეხმარება, რომ

აკადემიური კორუფცია დავამარცხოთ და ამის გაკეთებას სტუდენტებთან ერთად ვგეგმავ. აკადემიური კორუფცია რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. მათ შორის ერთ-ერთია სწავლებისა და კვლევების ხარისხის მართვა, რომელიც სტრუქტურული ერთეულია და თავის ფუნქციას პრინციპულად ვერ ასრულებს. ჩემი მესიჯია — ხარისხიანი სწავლება სტუდენტებს და ხარისხიანი კვლევები აკადემიურ საზოგადოებას! გარე რეფერირება ისეთი მექანიზმია, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს ან 100%-ით აღმოფხვრის მიკერძოების კომპონენტს აკადემიური პერსონალის შერჩევისას. არაბიექტურად ჩატარებული სამეცნიერო კონკურსები კი თსუ-ში უკვე ტრადიციად იქცა. პროცედურულად თითქოს ყველა კომპონენტი დაცულია, თითქოს დემოკრატიულ ხასიათს

ატარებს, მაგრამ ერთი კრიტერიუმი მაინც ჩნდება, რისი მეშვეობითაც სასურველ კანდიდატს ირჩევენ. ვსაუბრობ კლანურ სისტემაზე, რაც თსუ-ში აკადემიურად ჯანსაღი, კვალიფიციური კადრების შესვლას უშლის ხელს. გარე რეფერირების მექანიზმი საშუალებას მოგვცემს, რომ უნივერსიტეტში სიტუაცია რადიკალურად გავაჯანსაღოთ — საზღვარგარეთ მალალრეიტინგულ კვლევით დაწესებულებაში მომუშავე ახალგაზრდა ქართველი მკვლევრებიც მოვიწვიოთ. ბევრ მათგანთან მქონია საუბარი, მათ არ სურთ უნივერსიტეტში მუშაობა, რადგან მიიჩნევენ, რომ დეგრადირებული აკადემიური გარემოა (ფინანსურ და მატერიალურ მოტივაციაზე აღარ ვსაუბრობ). კლანური სისტემის მიერ ორგანიზებული აკადემიური კონკურსების შედეგად სტუდენტებთან ხშირად პრო-

ფესორებს შეაქვთ კვლევები, რომლებსაც სინამდვილეში სამეცნიერო ნაშრომებთან არავითარი საერთო არ აქვთ. კატასტროფული მდგომარეობაა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. ჩვენ სტუდენტობას უფლება აქვს მიიღოს მაღალკვალიფიციური და მაღალხარისხიანი თარგმანები, დამხმარე სახელმძღვანელოები, ამიტომ ეს ყველაფერი უსწრაფესად გაკეთდება. ეს მიმართულება უნდა ფინანსდებოდეს უნივერსიტეტში და იყოს პრიორიტეტი, მაშინ დამსგავსება უნივერსიტეტი უნივერსიტეტს და მაშინ შეასრულებს ის თავის ფუნქციას, რომელსაც დღეს ვერ ასრულებს“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

80-13 გვირგვინი

„აუდიტორია 115“ გიორგი ბარამიძის კონცეფციას იზიარებს

მეთორმეტე გვერდიდან

რექტორობის კანდიდატმა თსუ-ის ბიუჯეტის ხარჯვისას განსაზღვრული პრიორიტეტებიც გააკრიტიკა.

„პირველ ყოვლისა მხედველობაში მაქვს ე.წ. ყბადაღებული პრივილეგიები. უნივერსიტეტი არ უნდა იყოს დაუმსახურებელი პრივილეგიების ნახალისების ადგილი. ეს ყველაზე მეტად აისახება ბიუჯეტის განაწილებაზე. ჩემი მესიჯი არის ასეთი, რომ უნდა მოხდეს ბიუჯეტის დეპრივილეგირება. ბიუჯეტი ორიენტირებული უნდა იყოს სტუდენტსა და პროფესორზე და არა ბიუროკრატიაზე. უნდა განვასხვავოთ კვლევები და სასწავლო პროცესში ჩართული სტუდენტობა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე სტუდენტებისგან. რა თქმა უნდა, სპორტული მიმართულებაც უნდა ფინანსდებოდეს, მაგრამ ამისთვის არსებობს სხვა წყაროები. ასევე საჭიროა ე.წ. გარე აუდიტის მოწვევაც, რადგან უნივერსიტეტში ვერ ვხედავ ორგანოს, რომელსაც ნათლად აქვს წარმოდგენილი — რა ქონებაა უნივერსიტეტის ხელში და რა ფინანსების მობილიზება შეიძლება. არსებობს მხოლოდ ზოგადი პარამეტრები, რომელსაც ციფრების სახე აქვს და მის მიღმა რეალური არაფერი იგულისხმება“, — განაცხადა რექტორობის კანდიდატმა.

გიორგი ბარამიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „აუდიტორია 115“-ის მოთხოვნები, რომლებსაც გაერთიანების წევრი სტუდენტები საპროტესტო აქციებზე აჟღერებდნენ, სამართლიანი და არაგუმენტირებულია. მისი თქმით, „საუნივერსიტეტო განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო იმ პრობლემების გააზრება, რომლებიც ამ პროტესტის დროს გამოიკვეთა. გარკვეული გზებიც დაისახა მათ გადასაჭრელად, თუმცა შემდეგ სხვადასხვა ძალებისა და სტრუქტურების მხრიდან მათი სრული იგნორირება მოხდა. სტუდენტების ყველა მოთხოვნა სამართლიანი იყო. მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული“, — აღნიშნა რექტორობის კანდიდატმა.

გიორგი ბარამიძემ, ასევე, განაცხადა, რომ აუცილებელია კანონში ცვლილებების შეტანა, რის შედეგადაც სტუდენტები რე-



ქტორის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას შეძლებენ. მან ისაუბრა სტუდენტური პარლამენტისა და გაერთიანებული სენატის ფორმატზე, რისი საშუალებითაც სტუდენტები ამ პროცესში ჩაერთვებიან. ასევე, ხაზი გაუსვა, რომ აკადემიური პერსონალის შეფასებისას სტუდენტების აზრს რეალური გავლენა უნდა ჰქონდეს.

შეხვედრა, ძირითადად, კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. „აუდიტორია 115“-ის წევრები გარე რეფერირების დანერგვის პროცესულური დეტალებით დაინტერესდნენ.


„ჩვენ ვიცით, რომ გარე რეფერირების დანერგვის პრინციპს ბევრი მოწინააღმდეგე ყოვლობს, მათ შორის, აკადემიურ საბჭოშიც. რექტორი რამდენად შეძლებს ამ ცვლილებების განხორციელებას? შეუძლია ამ პროცესის დაწყება?“ — იკითხა „აუდიტორია 115“-ის წევრმა გიორგი არბოვლიძემ.

„თუ ყველა კარგად გაიაზრებს, რომ ეს პრინციპულად მნიშვნელოვანია, ტექნიკური დეტალები უკვე მარტივად დაძლევა. პირდაპირ ვამბობ, ჩემი რექტორობის პერიოდში ამას წინ ვერაფერი დაუდგება, რადგან სწორედ ამაზე უნივერსიტეტის განვითარე-

ბა დამოკიდებული. მოქმედი კანონის მიხედვითაც ამის სრული შესაძლებლობა არსებობს. კონცეპტუალურად ამას წინ არაფერი უდგას, განხორციელებაა“, — აღნიშნა პასუხად გიორგი ბარამიძემ.

„აუდიტორია 115“-ისთვის რექტორობის კანდიდატის, ფილოსოფოსის გიორგი ბარამიძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების კონცეფცია მისაღებია. ამის შესახებ მათ შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადეს. თუმცა, სტუდენტური გაერთიანების წევრმა ნათია ქარჩილაძემ იქვე აღნიშნა, რომ აკადემიური საბჭოს მხრიდან სწორი გადანყვეტილების მიღების იმედი არ აქვთ.

„გია ბარამიძეს ჩვენ მანამდე ვიცნობდით, გვექონდა შეხვედრები და საუბრები. მან გარე რეფერირების საკითხთან დაკავშირებით ვიზიარებთ. გარე რეფერირება არის ის ძირითადი საკითხი, რომელსაც „აუდიტორია 115“ უკვე დიდი ხანია ითხოვს — გვეგონია, რომ შიდა კლანებისა და გარეშე ძალებისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა. ამავე



დროს ვფიქრობთ, რომ გიორგი ბარამიძეს ამ კლანური სისტემის გამო საარჩევნო პროცესში გამარჯვების შანსი თითქმის არ აქვს. აკადემიური საბჭო არ არის იმდენად ავტონომიური, რომ შეძლოს პოლიტიკური გადანყვეტილების მიღება და ისეთი კანდიდატთან დაპირისპირება, როგორც არის გიორგი შარვაშიძე. თუმცა, ჩვენ მაინც მოვუწოდებთ მათ, რომ ერთხელ მაინც დადგნენ მოწოდების სიმაღლეზე და მიიღონ გადანყვეტილება, რის საფუძველზეც უნივერსიტეტისთვის პროგრესულ ნაბიჯს გადადგამენ“, — გვითხრა ნათია ქარჩილაძემ.

რექტორობის კანდიდატმა გიორგი ბარამიძემ „აუდიტორია 115“-თანაც გაახიზნა უნივერსიტეტის ავტონომიის პრობლემის საკითხი და დამფინანსებლებთან, მათ შორის სახელმწიფოსთან ურთიერთობის შესახებ ისაუბრა. ასევე, წამოჭრა იმ კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლების პრობლემა, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას აკადემიური და კვლევითი ინფრასტრუქტურის არქონის გამო სათანადო დონეზე ვერ ასრულებენ.

ნათო მობლაძე

სტუდენტსაც და პროფესორსაც შინაგან თავისუფლებას ვაჩუქებ!

ცირა ბარამიძის შეხვედრა „აუდიტორია 115“-თან

20 სექტემბერს თსუ-ის რექტორობის კანდიდატი, პროფესორი ცირა ბარამიძე სტუდენტური გაერთიანება „აუდიტორია 115“-ის წევრებს შეხვდა, სტუდენტებს უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია გააცნო და მათ შეეკითხა უპასუხა.

შეხვედრაზე პროფესორმა ცირა ბარამიძემ სიღრმისეულად ისაუბრა განათლების სფეროში საკანონმდებლო ცვლილების გატარების აუცილებლობაზე, რაც უნივერსიტეტს მომავალში სტაბილური განვითარების შესაძლებლობას მოუტანს.

„სამწუხაროდ, შინაარსობრივად მართვის სისტემით და მეთოდებით თითქოსდა „დემოკრატიული არჩევნები“ ჯერ კიდევ ისეთი დარჩა, როგორც ჩემი სტუდენტობის დროს, 80-იან წლებში იყო. მრავალწლიანი გამოცდილება მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ შემიძლია თქვენთან ერთად შევეცვალო ეს დამოკიდებულება და სახელმწიფოს გაუფუგავნოთ მთავარი მესიჯი იმის თაობაზე, რომ შექმნას უმაღლესი განათლების კანონი და გამართული კანონმდებლობა“, — აღნიშნავს ცირა ბარამიძე.

„აუდიტორია 115“-ის წევრებთან შეხვედრაზე ბევრი ისეთი რამ ითქვა, რაც ქალბატონ ცირა ბარამიძესთან ჩემი მიერ გაკეთებული ინტერვიუშია სრულად, ამიტომ იმ მთავარი გზავნილებით შემოვიფარგლებით, რაც რექტორობის კანდიდატმა „აუდიტორია 115“-ს დამატებით უთხრა და უპასუხა შეკითხვებზე.



„პირველ რიგში, ვებრძვი სისტემას, როგორც საბჭოთა კავშირის გადმონაშთს, იმ კლანურ მართვას, რომელიც, სამწუხაროდ, უნივერსიტეტში დღესაც არსებობს. ამისი მაგალატია არასწორად წარმართული აკადემიური კონკურსები, უნივერსიტეტის მიერ წაგებული პროცესები, უნივერსიტეტის გარეთ აღმოჩენილი მაღალი რანგის პროფესორა, რასაც ყოველთვის ვაპროტესტებდი“, — ამბობს ქალბატონი ცირა.

სტუდენტების შეკითხვას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია — რექტორი, ამავე დროს, იყოს კარგი მეცნიერიც, ცირა ბარამიძემ უპასუხა: „თუ რექტორს არ განუცდია ის სიამოვნება, რაც მნიშვნელოვანი მონოგრაფიის დაწერისას და შედეგის მიღების შემდეგ ჩნდება (ეს კი შვილის დაბადების ტოლფასია), იგი ვერ გაიგებს — რა სჭირდება მეცნიერს და უნივერსიტეტს? რომელი დარგებია პრიორიტეტული? მინდა გითხრათ, რომ უშუალოდ ჩემი დარგი არის



პრიორიტეტული. ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, პარლამენტის კომიტეტთან ვთანამშრომლობ და მონაწილეობას ვიღებ საკანონმდებლო ცხოვრებაში, აქედან გამომდინარე, გვექონდა შესაძლებლობა, რომ გადაგვეგზავნა განათლების სამინისტროში უკვე მიღებული გადანყვეტილება, რათა

80-14 გვირდვა



სტუდენტსაც და პროფესორსაც შინაგან თავისუფლებას ვაჩუქებ!

ცირა ბარამიძის შეხვედრა „აუდიტორია 115“-თან

მეცამეტე გვერდიდან

კავკასიოლოგია შეეძინათ პრიორიტეტულ დარგებში. სამწუხაროდ, სამინისტრომ ეს ვერ განახორციელა. კავკასიოლოგია ივანე ჯავახიშვილისა და არნოლდ ჩიქობავას მიერ დაარსებული დარგია და ეს უდიდესი მეცნიერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩვენი ქვეყნისთვის ამ დარგის განვითარებას.

ცირა ბარამიძე სტუდენტებს ესაუბრა თავის 35-წლიან მოღვაწეობაზე უნივერსიტეტში და სამომავლო გეგმებიც გააცნო. „ამჟამად ვმუშაობ ქართული ერის პასპორტზე — ქართული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე, რომლის შექმნაც კავკასიოლოგებს ჩვენმა მასწავლებლებმა ანდერძად დაგვიტოვეს. მე, როგორც რიგითი პროფესორი, ერთგულად და უანგაროდ ვემსახურები უნივერსიტეტს, არადა განათლების მინისტრი მეუბნება, რომ იზოლაციაში გინდათ ყოფნაო — ამ შენიშვნას ვერ მივიღებ. იზოლაციაში თავად უნდა რომ გვამყოფოს და განკარგოს ჩვენი ცხოვრება. მე კავკასიურ მენტალიტეტზე ვარ აღზრდილი და არ შემიძლია ღირსების აყრის მოთმენა. როგორც რიგით პროფესორს, ვერტიკალური მართვის მიმართ შინაგანი პროტესტის გრძნობა მაქვს. თუ ჩვენ გვინდა სამოქალაქო ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება შევქმნათ, უნივერსიტეტი უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფოს მარნუხებისგან — ეს არის ჩემი მთავარი მესიჯი.“

თსუ-ის სტუდენტის თამარ ლომიძის შეხვედრაზე, თუ რატომ არ წარმოადგინეს რექტორის „მიმზიდველ“ პოსტზე ასარ-

ჩვეად მეცნიერებმა თავიანთი კანდიდატურები, ცირა ბარამიძე უპასუხა: „ვერ ვიტყვი, რომ ეს თანამდებობა მიმზიდველია, პირიქით, ეს ძალიან საპასუხისმგებლო პოსტია მთელი ერის წინაშე — ჩვენი უნივერსიტეტი ლაკუმუსია იმისა, რა ხდება ქვეყანაში, უფრო მეტიც, რა ხდება რეგიონში. უნივერსიტეტში ნამდვილად არიან ღირსეული პროფესორები, მაგრამ დაანონსებული იყო, რომ არავის შეეძინა განაცხადი. მიზეზი კი ის იყო, რომ მაინც შარვაშიძე გავა ამ თანამდებობაზე... სამწუხაროდ, უნივერსიტეტის პროფესორთა მიერ შარვაშიძის კანდიდატურაზე, მე კი ვთვლი, რომ პროფესორისთვის ეს არ არის ნორმალური მდგომარეობა“. შეკითხვაზე, პროფესორებს ზეწოლის შექმნადათ თუ კონკურენციის, ცირა ბარამიძე თქვა: „შარვაშიძე კონკურენციას ვერ გაუწევს ჩვენს პროფესორს. მაგრამ იმის ფიქრი, რომ მას დიდი ზურგი აქვს და ჩვენ ვერაფერს შევცვლით, არასწორია. მას ცოდნა და გამოცდილება აქვს, ამიტომ იმ თანამდებობაზე უნდა დარჩენილიყო და იქიდან გაენია დახმარება ჩვენთვის. უნივერსიტეტი შეეგუა გარედან დაანონსებულ მენეჯერებს და რექტორებს. ამან რა შედეგი მოგვცა? მხოლოდ ის, რომ უნივერსიტეტის პროფესორებს აკყარეს ღირსება“.

„115“-ის წევრმა, სტუდენტმა მარიამ ბაღდავაძემ ცირა ბარამიძის მართის მოვლენები შეახსენა და ჰკითხა, რატომ არ დაუჭირა მამინ მათ მხარი უნივერსიტეტის პროფესორთა? რექტორობის კანდიდატმა განმარტა, რომ მამინ მათთვის მედიატორის როლის შესრულება იმით არ იკისრა, რომ მისთვის მიუღებელია პოლარიზებული უნივერსიტეტი. „ეს ის შემთხვევაა, როცა სრულყოფილი პასუხი არ გამაჩნია და ბოდიშს გისდით იმ

პროფესორების ნაცვლად (არ შემიძლია სხვის მაგივრად ვაგო პასუხი). უნივერსიტეტში დადის აჩრდილი ხელისუფლისა. საბჭოთა კავშირის დროსაც კი ცოტანი იყვნენ ის პროფესორები, რომლებიც ამბობდნენ თავიანთ სათქმელს. ივანე ჯავახიშვილს ორგანიზაციის მიხედვით ვიცი დაახვედრა აუდიტორიაში, მაგრამ ჯავახიშვილი კი არ იყო ვირი, არამედ, ორგანიზაციის მას ისტორიამ შავი ნაცარი მიაყარა. მე, რა თქმა უნდა, მათ არ ვედრები, მაგრამ როდესაც მეტრძიან, უფრო ვძლიერდები. თქვენ ვერაფერს დაგაბრუნებთ მონობაში, თავისუფლებაში დაბრუნებთ და თქვენ ეს თავისუფლება ჩემმა თაობამ მოგიტანათ, რომელსაც ძალიან დიდი ბრძოლები აქვს გამოვლილი. პირველი, რასაც ჩემი გამარჯვების შემთხვევაში გავაკეთებ, იქნება ის, რომ ყველას, სტუდენტსაც და პროფესორსაც ვაჩუქებ შინაგან თავისუფლებას და არ ვიქნები არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერი“, — აღნიშნა ცირა ბარამიძე.

„აუდიტორია 115“-ის სტუდენტები დაინტერესდნენ, თუ როგორია ცირა ბარამიძის პირადი პოზიცია „სტუდენტური თვითმმართველობის“ მიმართ, რაზეც პროფესორმა ასე უპასუხა: „ამ ორგანიზაციას სჭირდება რეორგანიზაცია ჯავახიშვილის ეული მიდგომით. დიდი ივანე ერთერთ ოქმში წერდა — ახალგაზრდებს ხშირად არა აქვთ არც შესაბამისი ცოდნა და არც შესაბამისი გამოცდილება ასაკის გამო, მაგრამ მათ აქვთ მოტივაცია და უწინდებობა იმის ილუზია, რომ მათ შეუძლიათ იმაზე მეტი, ვიდრე პროფესორებს. ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა მოვეყუროთ მათ. უნივერსიტეტის მართვიდან სტუდენტის გამოთიშვა შეცდომაა, მაგრამ იმ მახინჯი ფორმით მისი საქმი-

ანობის გაგრძელება დაუშვებელია, რა ფორმითაც მან დაიმკვიდრა ადგილი. უნივერსიტეტში არ უნდა იყვნენ პრივილეგიებული სტუდენტები!

„აუდიტორია 115“-ის წარმომადგენელმა გიორგი სოფროშვილმა პროფესორ ცირა ბარამიძეს ჰკითხა, თუ რამდენად არის იგი მზად რექტორის არჩევნებში დამარცხებისთვის?

„არ მაქვს იმის ილუზია, რომ გავიმარჯვებ ან თანამდებობა მექნება (პროფესორზე მაღალი თანამდებობა არ არსებობს). მაგრამ ჩემი მტკიცე აზრია — უნივერსიტეტის რექტორობა არის პასუხისმგებლობა, რომელიც კონკრეტულ ეტაპზე უნდა აიღოს უნივერსიტეტმა და არა გარედან მოსულმა ფუნქციონერმა. დამარცხების შემთხვევაშიც მე გამარჯვებული ვიქნები. 2004 წელს უნივერსიტეტის პროფესორამ არ აირჩია აკადემიკოსი მიხეილ ქურდიანი და აირჩია რუსულად ლორთქიფანიძე — ეს იყო ნონსენსი და ერის დაცემა. თუ უნივერსიტეტი დაეცემა, ერიც დაეცემა. ვერაპიდან იმისთვის დაგზრდები, რომ აქ ვიბრძოლო. არ მინდა შემინებული, „გასუსული“ პროფესორი, რომელსაც „კუდიტ ქვას ასროლინებენ“... ქვები სისტემას უნდა ვესროლოთ, სისტემას, რომელიც „კლანურ მმართველობას“, რბილად რომ ვთქვათ, იტანს...“

მაქვს იდეა, რომ შევქმნათ ორგანიზაცია — „ავტონომია უნივერსიტეტს“. მნიშვნელობა არა აქვს, რომელ პოსტზე ვიქნები. ჩემი ცხოვრების ამ მთავარ მესიჯს აუცილებლად განვახორციელებ, რა თქმა უნდა, თქვენთან ერთად!“, — აღნიშნა რექტორობის კანდიდატმა ცირა ბარამიძემ.

სურათის ბაროშვილი

ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!

გიორგი ბარამიძის შეხვედრა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

რექტორობის კანდიდატი, ფილოსოფოსი გიორგი ბარამიძე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს შეხვდა. რექტორობის კანდიდატმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებსა და საკუთარი კონცეფციის შესახებ ისაუბრა, რის მიხედვითაც, არჩევის შემთხვევაში, თსუ-ში არსებული ვითარების გამოსწორებას გეგმავს. გიორგი ბარამიძე რამდენიმე საკითხი მიმოიხილა, ესენია: ინტერდისციპლინური კვლევების ორგანიზება, კურსდამთავრებულთა სკოლების ჩამოყალიბება, არცოდნიდან ცოდნამდე მისვლის პრობლემა, პროფესორთა მოტივაციის ამაღლება და ურთიერთობა დამფინანსებლებთან.



ამერიკულ უნივერსიტეტებშია დანერგილი და, გიორგი ბარამიძის ინფორმაციით, არა მხოლოდ აკადემიური, არამედ ფინანსური პოტენციალის გაზრდის რესურსი გაჩნია. ასევე, იგი, აუცილებლად მიიჩნევს ე.წ. აკადემიური კორუფციის პრობლემის მოგვარებას, რომელიც, მისი აზრით, სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია და ეს პრობლემა არა მხოლოდ თსუ-ს, არამედ, ზოგადად, უმაღლესი განათლების სისტემისთვის არის დამახასიათებელი. გიორგი ბარამიძე ე.წ. აკადემიური კორუფციის წარმოშობის ერთერთ მთავარ მიზეზად სასწავლო პროცესის არასაკმარისი მოტივირებას ასახელებს.

„აკადემიური კორუფცია აკადემიური სივრცის სენია. მას ყველგან ებრძვიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დავასახელებ ვერც ერთ უნივერსიტეტს, სადაც ეს საკითხი ბოლომდე მოგვარებულია. აკადემიური კორუფცია იწვევს დისკვალიფიკაციას; დისკვალიფიკაცია, თავის მხრივ, არცოდნიდან ცოდნაში გადასვლის პროცესს აფერხებს. ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზი ის არის, რომ მოტივაცია, რომელსაც საუნივერსიტეტო სივრცე პროფესორს უქმნის, არასაკმარისია. ამ მოტივაციას უნდა ჰქონდეს თავისი მატერიალური გამოხატულება. ეს პრობლემა მოგვარებულია და ერთ-ერთი საშუალება ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა გახლავთ; თუ თემატიკას სათანადო მიმართულებით მივმართავთ, დაფინანსებასაც მოვიპოვებთ. იმ პრინციპებიდან

გამომდინარე, რომელსაც უნივერსიტეტს ვთავაზობ, სისტემა აუცილებლად გაიმართება. ეს ყველაფერი მატერიალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ეს მატერიალური დანახარჯები იქნება სათანადოდ კომპენსირებული“, — აღნიშნა გიორგი ბარამიძე.

რექტორობის კანდიდატმა დამფინანსებლებთან გონივრული დისკუსიის არსებობის საჭიროებაზეც ისაუბრა და მიზეზებიც განმარტა.

„დღეს ძალიან მოდურია იმაზე ლაპარაკი, რომ ფული, რომელიც უნივერსიტეტში იდება, „დაუინტერესებელი“ ფული უნდა იყოს. თუმცა, ჯერჯერობით, ვერაფერს აღმოაჩინა ისეთი ფული, რომელსაც რაიმე ინტერესი არ მოჰყვება — სახელმწიფო დაფინანსებასაც კი სახელმწიფო ინტერესი თან სდევს. ყველაზე მძაფრად უნივერსიტეტის ავტონომიისთვის ბრძოლა ამ პროცესში აღიქმება. ასეთ დროს, საჭიროა, არაძალადობრივი წინააღმდეგობის განხორციელება და გონიერი დისკუსიის დაჭერა, რომ უმაღლესი სასწავლებელი არასაუნივერსიტეტო ინტერესის ტყვეობაში არ აღმოჩნდეს“, — განაცხადა გიორგი ბარამიძე.

რექტორობის კანდიდატს შეხვედრაზე თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა შოთა კუყერაშვილმა კანდიდატ გიორგი შარვაშიძისთან დაკავშირებით დაუსვა შეკითხვა: „მინტერესებს, რამდენად რეალურად აფასებთ თქვენს შანსებს დღევანდელი აკადემიური საბჭოს შემადგენლობის გათვალისწინებით, როდესაც თქვენი კონკურენტი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ყოფილი მოადგილეა. რამდენად აქვს ბრძოლას აზრი? ასევე, კარგი იქნებოდა, ჩემი აზრით, რომ მეტი აქტივობა გაკე-

თებულებო იმაზე, თუ რას აპირებთ კონკრეტულად და როგორ აპირებთ“.

„ვფიქრობ, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე პოლიტიკური კანდიდატია, რომელიც არჩევნებამდე, წინასწარ, უკვე დანიშნულია უნივერსიტეტის რექტორად. ეს ჩემს სისქვილზე ასხმას წყალს. მიმანჩია, რომ უნივერსიტეტი სწორედ ახლა ამოწმებს თავის თავს ავტონომიურობის ხარისხთან დაკავშირებით — სწორედ ეს არის ყველაზე დიდი გამოწვევა. მე ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. თქვენ აკადემიური საბჭო ახსენეთ. აკადემიური საბჭო კრებითი პირია და, თუმცა, მის წევრებს აქვთ, ასევე, ცალკე ნებაც, რაც მოტივაციის ნიშნად მიჩნევა. თუ ისინი დეტალს განვახსენებ — კონცეპტუალურსა და ტექნიკურს, მე ვისაუბრე კონცეპტუალურ დეტალებზე“, — აღნიშნა პასუხად გიორგი ბარამიძე.

შეხვედრაზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა სოფიო მოდებაძემ: „ბატონ გიორგი ბარამიძის აქვს ყველა ის ადამიანური თვისება, რაც საჭიროა სტუდენტებთან ურთიერთობისთვის. იგი ახლოს იცნობს სტუდენტების პრობლემებს. მიმანჩია, რომ აქვს უნივერსიტეტის წინსვლისა და განვითარების გზაზე დაყენების უნარი. იმ სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ და წარმატებებს ვუსურვებ მას“.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს რექტორობის კანდიდატი, ფილოსოფოსი გიორგი ბარამიძე 19 სექტემბერს შეხვდა.

ნათო მოლაპა

ცნობისთვის:

თსუ-ის ფაკულტეტების პროფესორთა რედაქციის კანდიდატის გიორგი ბარამიძის ანგარიშით სტატიის მიწოდების გამო გამოხატული მადლობა. 20 სექტემბერს ჩართული გახარული ასეთი შეხვედრის შესახებ ვრცელ ინფორმაციას გაზიარებთ. (newspaper.tsu.ge)



საზოგადოებრივი უნივერსიტეტი

საბჭოს გადასაწყვეტია, კანდიდატთა რა პლუსებს მიანიჭებს უპირატესობას

ინტერვიუ ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძესთან

— დანიშნა რექტორის არჩევნები, კენჭს იყრის სამი კანდიდატი. რით ახსნით კანდიდატთა სიმწირეს?

— კადრების სიმწირე, მოვიბოდიშებ უნივერსიტეტთან, თითქმის ყველა მიმართულებით გვაქვს. ვხედავთ, რომ არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში ადვილი არ იყო რექტორის კანდიდატურის წამოყენება და ბევრგან იგივე რექტორი დარჩა. ჯავახიშვილის უნივერსიტეტშიც გვახსოვს, რომ ლადო პაპავას გამოჩენამდე ბუნდოვანი იყო — ვინ შეიძლება ყოფილიყო რექტორი. ლადო პაპავას აკადემიური წონამ ეს საკითხი მაშინვე გადაწყვიტა. ასეთი დიდი წონის აკადემიური ფიგურები (პროფესორი ყველა), რომლებიც უსიტყვოდაც კი უნდა აირჩიო რექტორად, ძალიან ცოტა დარჩა. არის მეორე ასპექტი — ორგანიზაციული. მე ვიყავი საუნივერსიტეტო ცხოვრების ნაწილი მაშინ, როდესაც უნივერსიტეტის რექტორი ორგანიზაციული ფიგურა იყო, ანუ აკადემიური წონა არ ჰქონდა, მაგრამ ორგანიზაციულ საკითხებს ართმევდა თავს. სტუდენტობა მომიწია ილია ვეკუას დროს, რომელიც საერთოდ არ იყო უნივერსიტეტის კადრი, მაგრამ აკადემიური წონაც ჰქონდა და ჰქონდა უზარმაზარი ადმინისტრაციული გამოცდილებაც. მომხდარა ისეც, რომ დიდი აკადემიური წონის ფიგურებს (უხერხულობის გამო ვერ დავასახელებ მათ), მართვის შესაბამისი უნარების არქონის გამო თავი ვერ გაუბრუნებიათ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის. ...და ეს ორი მხარე, ადმინისტრაციული მართვის უნარი და აკადემიური წონა — ერთად იშვიათად იყრის ადამიანში თავს. ძირითადად, მოდიან აკადემიური თავდაჯერებით, რომ აკადემიურ მხარეს მოაწესრიგებენ, მაგრამ უნივერსიტეტი უზარმაზარი სისტემაა, რომელსაც მართვა უნდა. ამ სირთულის გამო, რომ ეს ორივე მხარე მოუთხოვება რექტორს, ვფიქრობ, გააზრებული აქვთ და უმეტესობამ, ალბათ, ამიტომ აარიდა თავი დღევანდელ კონკურსში მონაწილეობას, რაც გასაგები და კორექტურია. თუკი გადავხედავთ იმ კანდიდატებს, რომელთაც კონკურსში მონაწილეობა გადაწყვიტეს, მათზე შემიძლია ერთი რამ ვთქვა: გიორგი ბარამიძე ფილოსოფოსია, ერთად ვსწავლობდით და ვიცნობ (როგორც პროფესორი, უდავოდ კარგია). ასევე კარგი პროფესორი ილია კაკასილოვიცია (ცირა ბარამიძე, სავარაუდოა, რომ, გააზრებულია განსხვავებით, მათ უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივ უფრო კარგად ეცოდინებათ. მათ უდავოდ აქვთ ის პლუსები, რომლებიც შეიძლება ბევრის თვალში ხარვეზად ჰქონდეს, მაგრამ უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მეტ ჩართულობას). აქედან, ზოგადად, გამოდის, რომ დადებითი მხარეები თითოეულ კანდიდატს აქვს. საბჭოს გადასაწყვეტია რა პლუსებს მიანიჭებს უპირატესობას.

— ვინაიდან სტუდენტები აქცენტს უფრო მეტად აკეთებენ გიორგი შარვაშიძის კანდიდატურაზე (მაგალითად, „სტუდენტური თვითმმართველობა“ ლიად აპროტესტებს მისი მინისტრის მოადგილეობის პოსტიდან წამოსვლისთანავე რექტორის კანდიდატად დარეგისტრირების ფაქტს, რასაც ცალსახად ავტონომიურობის დარღვევად აფასებენ), მინდა სწორედ ამ კანდიდატის თაობაზე გკითხოთ... თქვენ როგორ თვლით, არის ეს ავტონომიურობის შელახვა, როდესაც სახელისუფლო გუნდიდან წარმომადგენელი მოდის რექტორის პოსტზე?

— ჯერ ერთი, სახელისუფლო გუნდიდან გააზრებული არ მოდის — ახლა გვყავს ახალი მინისტრი, გააზრებული კი არის ძველი მინისტრის მიერ მოყვანილი თავის დროზე, ამიტომ სიტყვა — „გუნ-



დის წევრის“ გამოყენება, ამ შემთხვევაში, ადეკვატური არ არის; მეორე, რას ნიშნავს უნივერსიტეტის ავტონომიურობის დარღვევა? მაშინ ნებისმიერი არასაუნივერსიტეტო კადრის მოსვლა ამ პოსტზე უნივერსიტეტის ავტონომიურობის დარღვევად უნდა აღვიქვათ... გამოდის, რომ ჩემ მიერ ნახსენები ილია ვეკუაც არ უნდა ყოფილიყო დანიშნული რექტორად (მაშინ ინიშნებოდა რექტორი). რომ ჩამოსულიყო შარვაშიძე (იგი მუშაობდა უნგრეთში) ბუდაპეშტიდან და ეთქვა, რომ ვაპირებ რექტორობას, მაშინ არ იქნებოდა მისი რექტორის კონკურსში მონაწილეობა ავტონომიურობის დარღვევა, ხომ? სასაცილო სიტუაციაა. ერთი და ორი წელიწადი სამინისტროში მუშაობდა რატომ არის ისეთი „დამდა“, რომელიც აუცილებლად ცვლის ადამიანს? ბევრი თანამდებობის პირია, რომელიც არჩევს ან დანიშნის შემდეგ ამა თუ იმ სამინისტროს ექვემდებარება. როგორი რექტორიც უნდა ავირჩიოთ, მას განათლების სამინისტროსთან გარკვეული ურთიერთობა მაინც ექნება, და თუ ლოიალური იქნა სამინისტროს მიმართ რექტორი, ეს იქნება ავტონომიის დარღვევა? ანუ, იმის თქმა მინდა, რომ ადამიანის თანამდებობრივ წარმომადგენლობას არ აქვს მნიშვნელობა! მე ვიცნობ გიორგი შარვაშიძეს, თან ვაცხადებდი ილია ხანია (ჯერ სკოლის მასწავლებელი იყო, სამინისტროშიც ვიცი — რასაც აკეთებდა), იგი წარმართავდა საერთაშორისო ტიპის ურთიერთობებს, ანუ, ძირითადად, იყო უცხოეთში. იგი უნივერსიტეტების უცხოეთთან ურთიერთობის დამყარებაზე იყო ორიენტირებული. ეს არის ადამიანი, რომელიც კარგად იცის, როგორ დაიცვას უნივერსიტეტის ავტონომიურობა, იმ კანდიდატებისგან განსხვავებით, რომელთაც საუნივერსიტეტო ცხოვრების მექანიზმის ეს მხარე, შეიძლება, ასე სიღრმისეულად არც იცოდნენ. შარვაშიძემ კარგად იცის — როგორ შეიძლება განვითარდეს უნივერსიტეტი დასავლეთთან ურთიერთობის მხრივ (დღეს ხომ ჩვენ ყველაფერზე მეტად ვცდილობთ დასავლეთზე, გავიდეთ), მათ შორის უნივერსიტეტებიც ცდილობენ დასავლურ ცხოვრებაში ჩაერთონ... როგორ უნდა მოხდეს ეს ჩართვა ისე, რომ „არც მწვადი დაინჯას და არც შამფური“? — ამას ცოდნა უნდა და ეს ცოდნა აქვს გააზრებული. მან იცის დასავლეთის უნივერსიტეტების მთელი ქსელი და, რაც მთავარია, მასში ჩართვის მექანიზმი. ასეთი პიროვნება უნივერსიტეტს არ სჭირდება, რომ ვთქვათ, ძალიან არ უნდა გვენაღვლებოდეს უნივერსიტეტის ბედ-ილბადი... რაც შეეხება, იმას, რომ სამინისტროს პოლიტიკას ატარებს, რა პოლიტიკა აქვს თავად სამინისტროს? სტუდენტთა ნაწილის აუცილებელი ხომ მხოლოდ შარვის მოდების მექანიზმია (რომ, რადგან სამინისტროდანაა, იმიტომ არ გვიყინდა). რამდენი ხანია,

ხელისუფლებას, ისევე როგორც ყველა მენეჯერს, სჭირდება, რომ მასზე ძველთ ვინც მუშაობს, იმან მას პრობლემატიკა არ შეუქმნას. ანუ იმუშაოს ისე, რომ მისი ჩარევა არ გახდეს საჭირო. თუ ყველა საკითხში მისი ჩარევა გახდა აუცილებელი, მაშინ მას ასეთი ხელმძღვანელი ძველად რგოლში არ აწყობს. ვფიქრობ, ამიტომაც სტუდენტების გადასაწყვეტი გახდა, თითქმის, ლადო პაპავას საკითხი... ამ ადამიანმა კი იმოქმედა „ადამიანობიდან“ გამომდინარე მხოლოდ... შარვაშიძის შემთხვევაში კი, შეიძლება, მის კანდიდატურას მხარს უჭერდეს ვინმე სახელისუფლო გუნდიდან არა იმიტომ, რომ მათი კანდიდატია, არამედ იმიტომ, რომ მართლაც კარგი სამენეჯერო გამოცდილების მქონეა და სწორედ რომ ამიტომ ალბათ შეიძლება დასჭირდეს ჩარევა...

რაც სამინისტრო აღარ ერევა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში? თუ ვინმეს მოუწდება უნივერსიტეტის ცხოვრებაში ჩარევა, მერწმუნეთ, ხელისუფლებას უამრავი მექანიზმი აქვს ისეთი, რომ ნებისმიერი რექტორის პირობებში ჩაერევა. ანალოგიური მოვლენები ყველას გვახსოვს...

— შეგახსენებთ, რომ სტუდენტურმა თვითმმართველობამ პირველი შიშობა რომ დაიწყო ბატონი ლადოს წინააღმდეგ, მაშინ მოსთხოვეს რექტორს, რომ განათლების მინისტრი უნივერსიტეტში მოსულიყო მათთან სასაუბროდ, რა შემთხვევაშიც შეწყვეტდნენ შიშობას...

— ეს ავტონომიურობის გამოხატულებაა, ალბათ?! (ამას ლიმიტით ვამბობ).

— როგორ დავრწმუნდეთ იმაში, რომ ხელისუფლებას არ აქვს ინტერესი — ჰყავდეს თავისი კანდიდატურა უნივერსიტეტში?

— ყველაზე მარტივი დასარწმუნებელია, ამოვიღეთ კითხვიდან — რა ამოცანა აქვს ხელისუფლებას უნივერსიტეტთან მიმართებაში?

— ხომ შეიძლება 2006 წლიდან, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პირობებში ჩატარებული კონკურსების წესით მოსული პროფესორის ერთგვარი გაკონტროლება უნდოდეს დღეს ხელისუფლებას... ფაქტია, რომ უნივერსიტეტში გარედან დღეს ძნელად თუ შემოდის ახალი კადრი, რადგან საუნივერსიტეტო საზოგადოების ძირითადი ბირთვი ისევე და ისევე კონკურსების გზით ინარჩუნებს პოზიციას და იქნება ამის დასასრულის დასაწყისს ელოდება ხელისუფლებას? — მსგავსი ბევრი მიზეზია, რომ ხელისუფლებას უნდოდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტზე გარკვეული გავლენის მოპოვება... თუმცა საკითხავია, ერთი კადრი (რექტორი) შეცვლის ამ ყველაფერს?

— გაცილებით უფრო ცხადია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები არიან ილიას უნივერსიტეტში პოლიტიკური ნიშნით (გიგი თევზაძე იყო რექტორი და მოგეხსენებათ მისი სიახლოვე ნაციონალურ მოძრაობასთან — ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მთელი ილიაუნი), ბენდუქიძის უნივერსიტეტში... ვინმე ცდილობს, რომ ზემოდან ჩარევის გზით რაიმე ცვლილებები შეიტანოს რომელიმე ამ უნივერსიტეტში? რამე პრობლემა გაგვიგია ამ მიმართულებით?

— არა, მაგრამ ჯავახიშვილის უნივერსიტეტი მაინც ფლაგმანად მოიაზრება, რადგან საზოგადოებრივი აზრის მომწიფების და წარმართვისთვის ერთგვარი კერაა, ოდითგანვე, სწორედ ჩვენი უნივერსიტეტი...

— აბა ჰკითხეთ ილიაუნს, იგი თავის თავს თვლის ფლაგმანად. რა აუცი-

ლებლობაა ჯავახიშვილის უნივერსიტეტში პოლიტიკური ნიშნით დაიწყო კადრების ცვლილება, როცა სხვაგან გაცილებით უფრო კონცენტრირებულია ის ხალხი, რომელიც პოლიტიკურად არ ემხრობა ამ ხელისუფლებას. მაგრამ იმ უნივერსიტეტებში, ამ მხრივ, არ არის კორექტირება შეტანილი. ანუ არ უცდია ამ ხელისუფლებას შეეცვალა პროფესურა... რატომ უნდა ცდილობდეს ჯავახიშვილში ამას? აი, ეს საკითხია გაუგებარი.

— რატომ არ „აწყობდა“ ამ ხელისუფლებას ლადო პაპავა (ვცდითრებ, რადგან ბევრი სწორედ ასე სვამს კითხვას)? ეს ხომ გამოჩნდა... მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა შიშობის გამო არ დაუტოვებია მას თანამდებობა, როგორც შემდეგ გაირკვა...

— არ ვიცი, რადგან ვფიქრობ, დიდი დანაკარგია უნივერსიტეტისთვის ლადო პაპავას წასვლა. მაგრამ, მეორე მხრივ, პრობლემა ის კი არ იყო, რომ ლადომ ვერ შეცვალა კადრები, პრობლემა იყო სხვა რამეში — მან დატოვა ყველა კადრი, მაგრამ ამით პრობლემური საკითხები არ მოიხსნა და სულ იყო ძიძგილაობა უნივერსიტეტის შიგნით... ხელისუფლებას, ისევე როგორც ყველა მენეჯერს, სჭირდება, რომ მასზე ქვემოთ ვინც მუშაობს, იმან მას პრობლემები არ შეუქმნას. ანუ იმუშაოს ისე, რომ მისი ჩარევა არ გახდეს საჭირო. თუ ყველა საკითხში მისი ჩარევა გახდა აუცილებელი, მაშინ მას ასეთი ხელმძღვანელი ქვედა რგოლში არ აწყობს. ვფიქრობ, ამიტომაც სტუდენტების გადასაწყვეტი გახდა, თითქმის, ლადო პაპავას საკითხი... ამ ადამიანმა კი იმოქმედა „ადამიანობიდან“ გამომდინარე მხოლოდ... შარვაშიძის შემთხვევაში კი, შეიძლება, მის კანდიდატურას მხარს უჭერდეს ვინმე სახელისუფლო გუნდიდან არა იმიტომ, რომ მათი კანდიდატია, არამედ იმიტომ, რომ მართლაც კარგი სამენეჯერო გამოცდილების მქონეა და სწორედ რომ ამიტომ აღარ შეიძლება დასჭირდეს ჩარევა...

— მეორე მოტივაცია, რის გამოც გააზრებულია კანდიდატურის მიუღებლობა ასახელებენ, არის ის, რომ იგი არ არის უნივერსიტეტელი...

— ილია ვეკუა და ბევრი ვინმე სხვაც, მაშინ, არ უნდა გვეყოლოდა ხელმძღვანელ პოსტებზე... მე პირიქით ვიტყვი — ეს კარგია, რომ უნივერსიტეტელი არ არის. დიპლომატს უცხო ქვეყანაში წელიწადზე მეტ ხანს არ აჩერებენ, გამოანაკლისების გარდა და რატომ? — შემდეგ იგი ჩაებმება იმ ქვეყნის ცხოვრებაში, გააბაძს კავშირებს და ობიექტურობას დაკარგავს. უნივერსიტეტის კადრს თუ მოიყვანთ (ან ნებისმიერ დაწესებულებაში), მას ხომ თავისი ადამიანური სისუსტეები ექნება ვილატების და

